645/2
2001

# საქართველოს ქალი



ბედის ტრიალი:
თურქეთმოვლილი
ქალის აღსარება

გვ. 4

ფენომენი
კოსმოსი
ჩვენთან
კონტაქტზე
მოდის

გვ. 8-9

ცხოვრება
ლექსით:
ელა გოჩიაშვილი

გვ. 6-7

დედების სკოლა
მე ვიზრდები.
ნაბიჯი
ბავშვისკენ

გვ. 10-11

მამები და
ქალიშვილები:
თენგიზ არჩვაძე ნატო
არჩვაძის თვალით

გვ. 18-19

## მარიკა თხელიძის ამერიკული ტრიუმფი

ოჯახის ისტორია:
იფურცლება და
იცრიცება ჩვენი
ცხოვრება

გვ. 16

2001
10-11

# აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა

ყოველი ქართველის გულს სიხარულით ავსებს ის აღმშენებლობა, რაც დღეს აჭარაშია გაშლილი.

რაც შენდება, საუკეთესოდ შენდება – მსოფლიო სტანდარტების დონეზე, რაც კეთდება – ლაზათიანად კეთდება, შიგ დიდი გული და დიდი ფიქრია ჩაქსოვილი, ფიქრი სამშობლოზე – ერთიან საქართველოზე, რომლის უმშვენიერესი კუთხეა აჭარა – ღვთივკურთხეული მხარე.

და ყოველივეში, რაც კეთდება, კარგად ჩანს მისი ლიდერის, ბატონ ასლან აბაშიძის შემოქმედებითი ნება.

ვაშა, შენებას!



კლასიკური მუსიკის საღამოზე



აჭარის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი

## ბათუმის რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის გახსნა

მზე დაჰფოფინებდა იმ დღეს ბათუმს. შემოდგომის თბილი ფერების პალიტრა არაჩვეულებრივ განწყობილებას ქმნიდა. 2001 წლის 3 ნოემბერი: ისტორიაში „ოქროს ასოებით“ ჩასაწერ თარიღად ქცეულიყო უკვე. უამრავი სტუმარი ეწვია ბათუმს. ზღვასავით ღელავდა ქალაქი.

1935 წელს გახსნილი ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტი, ამიერიდან რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტად წოდებული, 21-ე საუკუნის გარიჟრაჟზე განახლებულ და გამშვენიერებულ ცოდნის ტაძრად მოევლინა საზოგადოებას.

თეთრი გედივით ყელმოღერებული, მშვენიერი, ფაქიზი და უნაკლოდ შემკული, უახლესი ტექნიკით, კომპიუტერული სისტემით, ლაბორატორიებითა და მეცნიერული კვლევისათვის მოწყობილობა-დანადგარებით







სცენები ბავშვთა საოპერო თეატრის სპექტაკლიდან „პრინცესა ტურანდოტი“



ბათუმის მერი გიორგი აბაშიძე აჯილდოებს ჭოგბურთის ტურნირის გამარჯვებულებს



ღვთისმშობლის სახელობის საკათედრო ტაძარი

# ალორძინების გზაზე

ალჭურვილი ალტაცებისა და სიამაყის გრძნობას ბადებდა.

უნივერსიტეტის გახსნის ცერემონიას ესწრებოდა საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე, რომელმაც ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენით დააჯილდოვა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელი ბატონი ასლან აბაშიძე და საუკუნის ხუროთმოძღვარი უწოდა მას. თსუ რექტორმა, აკადემიკოსმა როინ მეტრეველმა ივანე ჯავახიშვილის მედალი გადასცა ბატონ ასლან აბაშიძეს და ამ ღირშესანიშნავ მოვლენას უნივერსიტეტის ხელმეორედ დაბადება უწოდა. ასლან აბაშიძის უსაზღვრო ზრუნვა ხელოვნებისა და კულტურის მიმართ ახალი როდია, მაგრამ ნანახმა ყველაფერს გადააჭარბა. ფაქიზი და დახვეწილი გემოვნება იგრძნობა ყველგან და ყველაფერში. მზრუნველი ხელი ატყვია თითოეულ კუთხე-კუნჭულს.

მხოლოდ ესთეტიკურ გარემოში შეიძლება სრულყოფილად აღიზარდოს და ეზიაროს მომავალი თაობები მსოფლიოს ცივილიზებული სამყაროს სულიერ ფასეულობებს. ასე სწამთ ბათუმში. ასე მიაჩნია აღმშენებლობისა და აღორძინების გზაზე მდგარ მზიან აჭარას.

თეონა ბერძენიშვილი

*ბათუმი*



ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი





აუდიტორია




თანამედროვე სწრაფმავალი კატარღა „ტორნადო"

ჟურნალი ქალებისა და ოჯახისათვის

მთავარი რედაქტორი
ნარგიზა მგელაძე

სარედაქციო კოლეგია:
- ნანული შევარდნაძე
- მარიკა ბარათაშვილი
- ნაზი თარგამაძე
- ლია კაკაბაძე
- ნანა ობოლაძე
- ცინარა ტერელაძე (მხატვარი რედაქტორი)
- ირმა ჩოფიკაშვილი
- ნინო ჯავახიშვილი

ნანული ზუკია
ტექნიკური რედაქტორი

დამფუძნებელი – ჟურნალ „საქართველოს ქალის" რედაქცია და ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „შპს სამშობლო"

ჟურნალი გამოდის 1923 წლიდან

საქართველოს ჟურნალ-გაზეთების შპს „გამომცემლობა სამშობლო" მ. კოსტავას ქ. 14.

რედაქციისაგან შეუკვეთავ მასალებზე ჰონორარი არ გაიცემა

„Sakartvelos Kali„
Georgian Woman a Magazine for Woman

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

# მარიკა თხელიძის ამერიკული ტრიუმფი

## ანუ
## როგორ არ ეხმარებიან ჩვენში ნორჩ ტალანტებს, რადგან „ძალიან უჭირთ" და „ფული არა აქვთ".



ერთი კვირის მანძილზე მასპინძლობდა ჰოლივუდი ხელოვნების მსოფლიო ჩემპიონატს, რომელიც 4 ტურად ტარდებოდა და მასში 30 ქვეყნის 4600-მდე სხვადასხვა ასაკის შემსრულებელი იღებდა მონაწილეობას. ჩვენმა თანამემამულემ, ნორჩმა მომღერალმა მარიკა თხელიძემ ამ ჩემპიონატზე ორი ოქროსა და ერთი ვერცხლის მედალი მიიღო, გრან-პრი დაიმსახურა და ორ სტილში (ბროდვეი-მიუზიკლსა და ვორდ-ვოკალში) აბსოლუტური ჩემპიონობა მოიპოვა, რაც ჩემპიონატის არსებობის ხუთი წლის მანძილზე გაუგონარი რამ გახლდათ.

მარიკა 13 წლისაა, თბილისის 102-ე სკოლისა და ანასტასია ვირსალაძის სახელობის მუსიკალური გიმნაზიის საფორტეპიანო განყოფილების მერვე კლასში სწავლობს, საკმაოდ კარგად უკრავს ვიოლინოზეც. რაც თავი ახსოვს, სულ მღერის. სიმღერის ნიჭი სამი წლისას თამრიკო ჭოხონელიძის დედამ, ქ-მა ლიზიკომ აღმოუჩინა, 9 წლისა რუსიკო ბახტაძესთან მიიყვანეს და ბოლო დრომდე მისი მოსწავლე იყო, მონაწილეობდა კონცერტებში, ხოლო ფესტივალებზე „ბროლის ნაძვი" (ბორჯომი), „იმღერე რამე" (თბილისი), „აანთე ვარსკვლავი შენი" (მოსკოვი), „სლავიანური ბაზარი" (ვიტებსკი), „დილის ვარსკვლავი" (მოსკოვი) პირველი ადგილი და გრან-პრი დაიმსახურა.

ამ ქვეყნად ყველაზე მეტად სიმღერა უყვარს. თავისუფალ დროს (რაც სამწუხაროდ, იშვიათად აქვს) კერავს, ქარგავს, ქსოვს, ბურთით თამაშიც მოსწონს, გარეგნულად მშვიდი და სერიოზული, შინ ცელქი და მხიარულია. სკოლაში კარგად სწავლობს, განსაკუთრებით ჰუმანიტარული საგნები ეხერხება. მშვენივრად იცის საკუთარი ნიჭის ფასი და, თუმც სული მისდის, მზესუმზირასა და ნაყინს ახლოსაც არ ეკარება (დისნეილენდში კი გავსინჯე ცოტაო, მეუბნება). საოცრად მოწესრიგებული და შრომისმოყვარე გოგონა ჯიუტად მიიწევს დასახული მიზნისკენ, უშიშარია და სცენაზე გასვლის წინ არასოდეს ღელავს.

ორი იდეალი ჰყავს მხოლოდ: ნანი ბრეგვაძე და ბარბრა სტრეიზანდი, მომღერლებში მერაბ სეფაშვილი და თემურ თათარაშვილი, კომპოზიტორებში – მარიკა კვალიაშვილი, რუსიკო მორჩილაძე და დათო ევგენიძე უყვარს, ახალგაზრდა შემსრულებლებიდან ია ჩანტლაძე მოსწონს.

ვინ გახდება მომავალში ჯერ არ გადაუწყვეტია, თუმცა მხოლოდ მომღერალი რომ არ იქნება, ღრმადაა დარწმუნებული.

ახლო მომავალში სამხრეთ აფრიკასა და ამერიკაშია მიწვეული და, ვიდრე იქიდანაც გამარჯვებული დაგვიბრუნდებოდეს, მის მამიდას, ნანა თხელიძეს გავესაუბროთ, რომელიც თან ახლდა ჰოლივუდში:

– მაისში სოფიაში ფესტივალზე „მილიონი საოცრება" მივიღეთ მონაწილეობა. მაშინ მარიკა უკვე ნუცა ჯანელიძის მოსწავლე იყო. ფესტივალზე ორი სიმღერით ბერნსტაინის „ვესტსაიდის ისტორიითა" და „ქართული ხალხური სიმღერების პოპურით" (მისი ყველა სიმღერის არანჟირება ოთარ ყუფუნიას ეკუთვნის) წარსდგა და გრან-პრი დაიმსახურა. გამარჯვებულები შინ დავბრუნდით და უკვე დასასვენებლად ვაპირებდით გამგზავრებას, რომ ბულგარეთში ჰოლივუდის ხელოვნების ჩემპიონატის ნაციონალური დირექტორის (ჰოლივუდს მსოფლიოს 15 ქვეყანაში ჰყავს თავის წარმომადგენელი) ნინა კონსტანტინოვას მოწვევა მივიღეთ. სამწუხაროდ, ჩვენი ხარჯით უნდა გავმგზავრებულიყავით. არადა 5000 დოლარის გაღება დღეს ჩვენი ოჯახისათვის (მარიკას მამა ბაბუშერას აეროპორტში თვითმფრინავში დაიღუპა) წარმოუდგენელი რამ გახლდათ. ბავშვის შესაძლებლობებში დარწმუნებულებმა ყველა ინსტანცია მოვიარეთ, ვინ არ შევაწუხეთ, რისი გაღებაც შეგიძლიათ, დაგვეხმარეთ-მეთქი, მაგრამ, თქვენც არ მომიკვდეთ! ერთმა „დიდმა მრეწველმა" მთელი სამი საათი გვაყურყუტა მე და მარიკა მოსაცდელში და ბოლოს, როცა გამობრძანება ინება, ისიც იმიტომ, რომ შინ მიეჩქარებოდა, გვითხრა, არაფრის საშუალება არა მაქვსო. არადა, ისეთ უგემოვნო კონცერტებს აფინანსებს ხოლმე...

ბოლო დღემდე გასამგზავრებელი ბილეთებიც არ გვქონდა. ღმერთი უშველის „ბრიტიშ აირლაინზის" კომერციულ დირექტორს ლიკა დიასამიძეს, რომელმაც მეოთხედ ფასად გაგვიხერხა ბილეთები, თორემ ჰოლივუდს თვალითაც ვერ ვნახავდით. ჯგუფ „ფლეშის" ბიჭებმა მარიკას ყველა სიმღერის ჩაწერა და მოსამზადებელი პერიოდი საკუთარ თავზე აიღეს, დათო ოქიტაშვილმა 1000 ლარი გადმოგვირიცხა, ეს იყო და ეს. დანარჩენი ისევ ოჯახის ახლობლების წყალობით გავახერხეთ და ასე წვალებ-წვალებით მე, მარიკა და ნუცა ჯანელიძე ჰოლივუდში აღმოვჩნდით...

რაც იქ მოხდა, უკვე გეცოდინებათ – მარიკამ წარმატებით გაწვლო ყველა ტური და აბსოლუტური ჩემპიონობა მოიპოვა. გასაუბრება ჟიურის თავმჯდომარესთან, თვით დიდ სტივენ სპილბერგთან გაიარა, რომელიც ისე აღაფრთოვანა მარიკას ტალანტმა, განსაკუთრებით მაშინ, როცა მუსიკის გარეშე შეუსრულა „პოპური", რომ მეტყველების უნარიც დაკარგა. დიდი მოწონება დაიმსახურა მარიკას წითელმა კაბამაც, მოდელიერმა ბაკურ ბაკურაძემ რომ გვაჩუქა. ჟიურიმ, რომელიც ჰოლივუდის პროდიუსერთა ელიტისაგან შედგებოდა, სპეციალურად აღნიშნა გოგონას ჩაცმულობა და არტისტულობა.

თავად კონკურსის მონაწილეთა შორის გულთბილი დამოკიდებულება იგრძნობოდა: არავითარი შუღლი, არანაირი კონფლიქტი. ჩვენმა მთავრმა კონკურენტმა ამერიკელმა გოგონამ მეოთხე ტურის წინ პირდაპირ ლიფტში გადაკოცნა მარიკა და უთხრა, მნიშვნელობა არა აქვს ჩვენს შორის ვინ გაიმარჯვებს, შენ ჩემთვის უკვე გამარჯვებული ხარო. საოცრად თბილი ატმოსფერო სუფევდა დარბაზშიც, როცა ჩემპიონატის გამარჯვებულად მარიკა დაასახელეს, ენით აუწერელი რამ მოხდა, მაყურებელი ზე წამოიჭრა და არნახული ოვაციებითა და სტვენით მიესალმა გოგონას.

კონკურსის დამთავრებისთანავე უამრავი წინადადება მივიღეთ და რამდენიმე ხნით ამერიკაში დარჩენაც შემოგვთავაზეს, პირადად გვეწვია ბროდვეის პროდიუსერი, კონტრაქტებს ამზადებენ „ემისა" და „ოსკარის" პროდიუსერებიც. მართალი გითხრათ, ასეთი წარმატებისათვის მაინც მოუმზადებლები აღმოვჩნდით და შინ დაბრუნება ვარჩიეთ. ახლა აქ ჩამოგვივა რამდენიმე კონტრაქტი და ჩვენც საუკეთესოთა შორის საუკეთესოს ავარჩევთ.

შინ დაბრუნებისთანავე მარიკა პრესისა და ტელევიზიის ყურადღების ცენტრში აღმოჩნდა, „დიდ ჩინოსნებს" კი არც მისი წასვლისას აუტკენიათ თავი და არც ახლა იბერტყავენ ყურს. რომ მახსენდება, რა შეურაცხყოფილები გამოვდიოდით მათი კაბინეტებიდან, რა მწველი სურვილი მიჩნდებოდა, ჯიბეში ჩარჩენილი ხურდა ფულები მათთვის დამეყარა მაგიდაზე, რადგან ძალიან „უჭირდათ", სიბრაზისა და სიმწრის ცრემლები მერევა...

***

საბედნიეროდ, მარიკა თხელიძის ხალასმა ნიჭმა თავისი გზა მონახა და აღარ დაიკარგება, თანადგომა ამდენ ხანს სჭირდებოდა გოგონას, თორემ ახლა თავადაც გაიკვლევს გზას. ჩვენ კი ისღა დაგვრჩენია, წარმატებები ვუსურვოთ ნორჩ შემსრულებელს, ჩვენს „ბიზნესმენებსა" და „მეცენატებს" კი კიდევ ერთხელ შევახსენოთ, რომ ხალხზე ზრუნვა მარტო ტელევიზორში გამოსვლისას და საარჩევნო კამპანიების დროს ბრტყელ-ბრტყელი ლაპარაკი არ არის.

**P.S.ახლახანს შევიტყვეთ სასიამოვნო ფაქტი, პატარა მარიკა თხელიძე ქ. ბორჯომის გამგეობის გადაწყვეტილებით, ბორჯომის საპატიო მოქალაქედ აირჩიეს. ბედნიერებასა და ახალ-ახალ წარმატებებს ვუსურვებთ ნორჩ მომღერალს.**

მანანა იმესაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# უსინათლო, დავრდომილი ქალი ყველაფერს ხედავდა აწმყოსა და მომავალში

## *მეოცე საუკუნის დიდი წმინდანი*



ქრისტიანული სამყარო გაჩირაღდნებულია იმ მნათობებით, რომელთაც მოკვდავნი წმინდანებს ვეძახით და გაჭირვების ჟამს შემწეობას ვთხოვთ, – მათი სულის ნათელი „ზესთა სოფლიდანაც" აღწევს ჩვენამდე და ცხოვრებას გვიმსუბუქებს. ღვთისმშობელთან ერთად უდიდესი მეოხენი არიან წმ. გიორგი და წმ. ნინო, იოანე ღვთისმეტყველი და იოანე ნათლისმცემელი, წმ. სასწაულმოქმედი ნიკოლოზი, თავნი მოციქულნი პეტრე და პავლე, მოციქულთა სწორნი ნანა და მირიანი, წმიდა მეფენი თამარი და დავით აღმაშენებელი, წმ. ქალწულმოწამე ბარბარე, წმ. ქეთევან წამებული და კიდევ მრავალი, მრავალი სხვა, რომელთა ჩამოთვლას ჟურნალის ფურცლები არ ეყოფა.

ეს წერილი ეძღვნება ნეტარ მატრონას, რომელიც სამიოდე წლის წინ აკურთხეს წმინდანად... რაოდენ განუზომელია ღვთის მოწყალება, – კომუნისტების ზეობის პერიოდში, როცა ეკლესია-მონასტრებს ანგრევდნენ და მორწმუნეებს დევნიდნენ, შუაგულ მოსკოვში ცხოვრობდა უსინათლო ქალი, რომელზედაც მართლმადიდებლობის ამომავალ ვარსკვლავად წოდებულმა იოანე კრონშტადტელმა თქვა: რუსეთის მერვე ბურჯიაო. ამ „უსინათლო ბურჯს" სტალინიც კარგად იცნობდა და სამამულო ომის წლებში მის რჩევებს ითვალისწინებდა.

მატრონა ნიკონოვა დაიბადა 1881 წელს ტულის გუბერნიის სოფელ სებინოში. მისი მშობლები დიდად ღვთისმოშიშნი იყვნენ, მაგრამ დედამ გადაწყვიტა ნაბოლარა შვილი თავშესაფარში ჩაებარებინა, რადგან ასაკში შესულ ღარიბ ცოლ-ქმარს გაუჭირდებოდა ბავშვის გაზრდა. ფეხმძიმე ნატალიას ესიზმრა უსინათლო თეთრი ჩიტი, რომელიც მარჯვენა ხელზე დააფრინდა, ჩიტს ბავშვის სახე ჰქონდა. ქალი მიხვდა, რომ ღმერთმა ამ ჩიტის სახით მომავალი შვილი აჩვენა. მართლაც, ბავშვი დაიბადა უსინათლო, მკერდზე ამოტვიფრული ჯვრით. ახალშობილი დედამ ძალიან შეიყვარა და დიდი მზრუნველობით ზრდიდა. გოგონა მჭიდროდ დახუჭული ქუთუთოების მიუხედავად, ღვთის რჩეული იყო, – მის ნათლობაზე ყველამ იხილა, როგორ გადმოეშვა კეთილსურნელოვანი ნათელი სვეტი და თავთან დაადგა; – ბევრი მომინათლავს, მაგრამ მსგავსი არაფერი მინახავსო, – თქვა მოძღვარმა და თან დასძინა: ეს ბავშვი წმინდანი გაიზრდება, თუ რამე განსაკუთრებულს იტყვის, აუცილებლად მაცნობეთო.

მატრონუშკამ ყველა ლოცვა ზეპირად იცოდა და განუწყვეტლივ ლოცულობდა შინ და გარეთ, – ეკლესიაში ერთი ადგილი ჰქონდა ამორჩემებული და ზოგჯერ მარტოც მიდიოდა ხოლმე. ის ძალიან ბედნიერად გრძნობდა თავს; იმდენად იყო აღვსილი სულიწმინდის მადლით, რომ უსინათლობას არაფრად თვლიდა.

თოთხმეტი წლის მატრონა დიდგვაროვანმა ლიდია იანკოვამ რუსეთის წმინდა ადგილების მოსალოცად წაიყვანა. იმ ხანად კრონშტადში მოღვაწეობდა სიწმინდით განთქმული მამა იოანე, რომელმაც წირვაზე მისული სოფლელი მლოცველების დანახვისთანავე ამბიონიდან დაიძახა: „აი, მოდის ჩემი შემცვლელი – რუსეთის მერვე ბურჯი!"

ერთხელ მატრონამ დედა სოფლის მღვდელთან გაგზავნა და დააბარა: შენთან, ბიბლიოთეკაში, ამა და ამ თაროზე დევს წიგნი, რომელშიც არის ღვთისმშობლის ხატი "Взыскание погибших" – „დაღუპულთა მხსნელი" (იგულისხმება სულიერად დაღუპულთა მომძიებელი, გამომხსნელი). აი, ის ხატი აუცილებლად უნდა იყოს ჩვენი სოფლის ეკლესიაშიო. მითითებულ ადგილზე მღვდელმა მართლაც ნახა ღვთისმშობლის ხატი, მატრონამ ხატის დასახატად რამდენიმე ქალს დაავალა სოფელში ფულის შეგროვება. როცა თანხა მიუტანეს, უსინათლომ სათითაოდ გასინჯა გროშები, რომელთაგან ერთი მანეთიანი და ერთიც კაპიკიანი ცალკე გადადო და დედას უთხრა: „დაუბრუნე იმათ, ვინც გადაიხადა, ეს ფული მთელ ფულს მიფუჭებს". იმ ფულების გადამხდელი იყო ორი ძმა, რომელთაგან ერთმა ნაძალადევად გაიღო ერთი მანეთი, მეორემ კი დაცინვით დადო კაპიკიანი.

ერთხელ, აღდგომის შვიდეულში მატრონასთან მივიდა სამი ქალი სოფელ ორლოვკიდან. წმინდანმა ერთს მისცა სეფისკვერი, მეორეს – ნაკურთხი წყალი, მესამეს – წითელი კვერცხი და უთხრა: სოფლის ბოლოს, კალოზე გატეხე და ჭამეო. მართლაც, გატეხეს კვერცხი და ... იქიდან გადმოხტა თაგვი. მაშინვე მატრონასთან გაცვივდნენ, – შეშინებულმა ქალმა უთხრა: როგორ უნდა მეჭამა, იმ კვერცხში თაგვი იყოო. უსინათლომ კი მიუგო: აბა, რა გეგონა, რძეში თაგვი რომ ჩაგივარდა და ის რძე საცოდავ ხალხს მიეცი, ღმერთი გაპატიებდაო?

1925 წელს მატრონა საცხოვრებლად გადავიდა მოსკოვში. მძიმე დრო იყო და ვერავინ ბედავდა ბინაში მის ჩაწერას. უსინათლო ოჯახიდან ოჯახში გადადიოდა, – მორწმუნეები ღვთის წყალობად მიიჩნევდნენ ამ წმინდა ქალის სტუმრობას. მილიცია დასდევდა, მაგრამ ვერაფრით ვერ იჭერდნენ ქალაქში ჩაუწერავად მცხოვრებ უსინათლო ხეიბარს, (მატრონა 17 წლის ასაკში დადამბლავდა კიდეც, – ფეხები წაერთვა, – ლოგინში ნორმალური წოლაც აღარ შეეძლო, სულ ერთ პოზაში იჯდა დღე და ღამე, – ნახევრად მიწოლილი). ერთხელ, როგორც იქნა მიაკვლიეს, მაგრამ წმინდანმა მილიციელს უთხრა: ჩქარა წადი სახლში, იქ დიდი უბედურება ტრიალებსო. კაცმა დაუჯერა, შინ მისულს ხანძარი დახვდა, – ცოლი ძლივს გადაარჩინა, ცეცხლიც გაჭირვებით ჩააქრო, სამსახურში კი უფროსების წინაშე აღიარა: იმ ბრმა ქალს ვერ დავიჭერდი, რადგან ოჯახი გადამირჩინაო.

მსგავსი სასწაულების ჩამოთვლა ძალზე შორს წაგვიყვანს, ვიტყვი მხოლოდ იმას, რომ მატრონამ თავისი „საქმიანობა" გარდაცვალების შემდეგაც განაგრძო... აღსასრულის წინ ასე დაიბარა: „ყველანი, ყველანი მოდით ჩემთან და მომიყევით თქვენს შესახებ, მე მოგისმენთ და დაგეხმარებით ყველა განსაცდელში..." გარდაიცვალა მატრონუშკა 1952 წლის 2 მაისს. დანილოვსკის სასაფლაოზე დიდი რიგები დადგა, – საათობით იცდიდნენ შეჭირვებული ადამიანები, რათა მიეღწიათ წმინდანის საფლავამდე. იქიდან წამოღებული მიწა და ყვავილებიც კი დიდ სასწაულებს ახდენდა.

1998 წლის 8 მარტს სრულიად რუსეთის პატრიარქის ალექსი მეორის ლოცვა-კურთხევით და რუსეთის წმიდა სინოდის გადაწყვეტილებით მატრონას გაუხრწნელი ნეშტი ამოასვენეს საფლავიდან და წმინდანად აკურთხეს, მას ეწოდა: წმიდა, მართალი, ნეტარი მატრონა მოსკოველი. კუბო რომ გახსნეს, საოცარი კეთილსურნელება ამოიფრქვა... ახლა ამ წმინდანის ნეშტი განისვენებს მოოქროვილ კუბოში; რომელიც დგას მოსკოვში, ტაგანკის ქუჩაზე მდებარე დედათა მონასტერში. დანილოვსკის სასაფლაოდან რიგებმა ტაგანკის ქუჩაზე გადაინაცვლა, – წმ. მატრონა თავისთან მიმსვლელ არცერთ მლოცველს არ ტოვებს დახმარების გარეშე.

P.S. მატრონამ იცოცხლა მხოლოდ სხვებისთვის. ყოველგვარი განსაცდელიდან გამოჰყავდა ხალხი, საკუთარი განკურნებისათვის კი არც უზრუნია, – ყველაფერს ღვთის ნებად მიიჩნევდა და, სწორედ ამ უდრტვინველი მორჩილებით ღვთაებრივი გვირგვინი დაიმსახურა.

ნანა ბაგრატიონ-დავითაშვილი

# აღსარება

რამდენიმე წლის წინ „საქართველოს ქალის“ მკითხველს გულისტკივილით ვაუწყე, რომ ერთმა ჩვენმა მეზობელმა 9 თვის ბავშვი ქმარს დაუტოვა, თავად კი თურქეთში წავიდა „საშოვარზე“... ამ ქალს გათხოვებამდე არც ვესალმებოდი, ჩემთვის ის უზნეობის ნიმუში იყო.

ზიარების ლოცვებში წერია: „განმწმინდე, უფალო, ვითარცა მეძავი“... ამ მეძავში მარიამ მაგდალინელი იგულისხმება, რომელიც გულმხურვალე მონანიებით ისე განიწმინდა, ღვთისმშობლისა და უფლის მეგობარი გახდა; – ყველა სახარებისეული ეპიზოდი ჭეშმარიტებას ღაღადებს, მაგრამ თუ ჩვენს დროშიც განიწმინდებოდნენ ისეთი მეძავები, როგორიც ჩემი თურქეთმოვლილი მეზობელი იყო, ნამდვილად ვერ წარმოვიდგენდი.

... ორიოდე თვის წინ „ნათურქალმა“ მარინემ დიდი მორიდებით მითხრა, შენთან შეკითხვა მაქვს და თუ შეიძლება, სახლში გეწვევიო. სტუმარი ღვთისაა-მეთქი, კი ვუთხარი, მაგრამ წინასწარ ამემღვრა გული, მისი მიტოვებული და მერე სახლიდან გაგდებული ქმარი და შვილი რომ გამახსენდა.

ერთ საღამოს კიბეზე მორიდებული ნაბიჯების ხმა გაისმა – მარინე ამოდიოდა ფეხაკრეფით. ისეთი ღაღლილი ჩანდა, თითქოს მთა მოჰქონდა მხრებით. კიბის თავზე დამხვდა ბავშვივით გაჩერდა და ნაწყვეტ-ნაწყვეტ მითხრა: ღმერთი ჩემისთანა უბედურ ადამიანებს არ ეხმარება? ნუთუ, ჩვენთვის ღმერთი არ არის?! – ღმერთი სწორედ შენისთანებისთვის მოვიდა, კაცობრიობის ცოდვები იტვირთა და ჯვარს მიამსჭვალა-მეთქი, – კარგა ხანი დამჭირდა, ვიდრე ავუხსნიდი, თუ რატომ განკაცდა იესო ქრისტე, ვესაუბრე მაგდალინელზეც, სინანულის საიდუმლოზე, – ავუხსენი, რომ მთავარია გულით მონანიო და აღარ გაიმეორო ცოდვა.

– მთელი ჩემი ცხოვრება ცოდვებით არის დამძიმებული, რომელი ერთი მოვინანიო, განა შეიძლება ამდენის პატიება?! – ვერ იჯერებდა, რომ ღმერთი ყველაფერს შეუნდობს მონანულს.

ადრე ციხეებსა და კოლონიებში რეპორტაჟებს ვაკეთებდი. რა ცოდვით დაცემულ ადამიანებს აღარ შევხვედრივარ – ქალებს, მოზარდებს თუ მამაკაცებს, მაგრამ მარინესთანა გულახდილი არავინ მინახავს. დიდი სულიერება საჭირო, ადამიანმა საკუთარი თავი ასე რომ გაგიცხოს, – მარინეს კი, არა თუ სასულიერო ლიტერატურა, საერთოდ, არანაირი წიგნი არ წაუკითხავს და წირვას ერთხელაც არ დასწრებია. არ მინდოდა, მსაჯულად წარმოვედგინე, ამიტომ არაფერს ვეკითხებოდი, მხოლოდ გულისყურით ვუსმენდი...

– მაგდალინელი კინოში მინახავს, რომ უნდა ჩაექოლათ, ის იყო, არა?

– ის იყო. უფალმა შეიწყალა, რადგან გულწრფელად მოინანია და აღთქმა დადო, რომ აღარ იმრუშებდა.

– მე აღარ ვიმრუშებ, მაგრამ როგორ უნდა მოვინანიო?! – შეკითხა ბეჯითი მოწაფესავით.

სანამ აღსარების საკითხებს გავაცნობდი, ვეღარ მოვითმინე და დელიკატურად შევახსენე შვილთან დაკავშირებული პრობლემები. მაშინ კი ცხარე ცრემლებით აქვითინდა: ჩემმა ქმარმა მოტყუებით გამიშვა თურქეთში, მე ვიცოდი, რომ ტყავების მაღაზიაში უნდა მემუშავა, მას კი ორი ათას დოლარად მიუყიდია ჩემი თავი „მამაშასთვის“.

– ბავშვმა რომ მდუღარე გადაისხა და დამწვრობის ცენტრში იწვა, მეზობლებმა რომ ფული შეუგროვეთ, შენ ერთხელ მაინც რატომ არ ჩამოხვედი სანახავად?

– როგორც კი დამირეკეს, მაშინვე წამოვედი, მაგრამ სახლში არ მოვსულვარ: მაგ კაცის დანახვა არ შემეძლო, თორემ ბავშვიც ენახე და საავადმყოფოში მკურნალობის თანხაც დავტოვე.

– რატომ შვილთან არ დარჩი?

– ბავშვს მამამისი არ მანებებდა, მე კი იმ კაცთან ცხოვრება არ შემეძლო! როგორ უნდა დავრჩენილიყავი კაცთან, რომელმაც... (ისევ მწარედ ატირდა) მე ნორმალური ცხოვრება მინდოდა, ოჯახური გარემო მენატრებოდა, მაგრამ შვილის გაზრდა არ მაცალა ჩემმა ქმარმა, თურქეთში გამაგდო, ჯოჯოხეთში გამაგდო...

– რა იყო შენი უბედურების მიზეზი, რატომ აგერია ცხოვრება თავიდანვე?

– სკოლის დამთავრების შემდეგ ერთ-ერთ დაწესებულებაში დავიწყე მუშაობა, იქ ერთი ვაჟი იყო, რომელსაც ვერც ვამჩნევდი, მას კი შევუთვალიერებივარ თურმე... ერთხელაც მე და ჩემს თანამშრომელ ქალს მანქანით გაცილება შემოგვთავაზა. უარი ვუთხარი, რადგან სამსახური სახლთან ახლოს მქონდა და ფეხით დავდიოდი; – მეც შენსკენ ვცხოვრობ, ჯერ ნათელა დეიდა მივიყვანოთ და მერე შენ მიგიყვანო. სუსხიანი დღე იყო, ქარი ნამქერს სახეში გვაყრიდა, – ნათელა ჩაჯდა მანქანაში და მეც ხათრი ვეღარ გავუტეხე. დღის ტოლი იყო, ვარკეთილში ცხოვრობდა... იქიდან რომ წამოვედით, იქ ხიდების ქვეშ გააჩერა მანქანა და... ზამთრის საღამო იყო, მიუვალი ადგილია, ვის ჰქონდა ჩემი ჯავრი... იმ დღის შემდეგ ცოცხლად დამარხული ვარ, – ყველა იმედი მოყვდა, ყველა ოცნება გაქრა... ადამიანებისგან მხოლოდ დამცირება და გაუტანლობა მახსოვს... როგორ ვოცნებობდი



# მონობიდან

დღეს მონობამ თანამედროვე, ცივილიზებულ ქვეყნებში დაიდო ბინა. სხვანაირად მას ტრეფიკინგი ჰქვია. ეს არის ქალების საზღვარგარეთ გაყვანა და მოტყუებით, დაშინებით, ძალადობით, მუქარით მათი დაქირავება. ეს არის ქალის, როგორც პიროვნების წაშლა, მისი ნივთად ქცევა, საკუთარი ბიზნესის უკანონოდ ასაყვავებლად მისი სიცოცხლის მისაკუთრება, თვითმკვლელობამდე მიყვანა და საჭიროების შემთხვევაში გაქრობაც.

ტრეფიკინგი მძიმე სენივით მოედო მსოფლიოს და მრავალი ქალის სიცოცხლე იმსხვერპლა, ზოგი სამუდამოდ უცხოეთში ჩაიძირა, უგვაროდ, უსახელოდ დარჩა და სიცოცხლის ბოლო დღეებს ითვლის; თავისიანები მას უგზოუკვლოდ დაკარგულად მიიჩნევენ. ზოგმა რის ვაი-ვაგლახით გამოაღწია ამ ჯოჯოხეთს. შინ დაბრუნდა და შერყეულ ჯანმრთელობას როგორღაც მკურნალობს, ზოგს ისეც არ შველის და სამუდამო ცნობიერებადაკარგული რჩება.

აღსანიშნავია, რომ მონურ სიტუაციაში ქალი უმეტესად საკუთარი ინიციატივით და ნებით ხვდება. იგი გაურბის მძიმე სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას და ფულის შოვნის ილუზიით სხვა ქვეყანას აფარებს თავს. ამაში მას სხვადასხვა დამოუკიდებელი და გაურკვეველი-რეპუტაციის ფირმები ეხმარებიან, რომლებიც მოგებით არიან დაინტერესებულნი. მოგება ამოძრავებთ უცხო ქვეყნის „კეთილმოსურნეებსაც“, რომლებიც ჩასულთა საბუთებს



იბარებენ და აღარ უბრუნებენ, კარგ სამუშაოს და ანაზღაურებას პირდებიან და ატყუებენ, შემდეგ კი ქუჩაში უსახსროდ დარჩენილებს საროსკიპოებში მუშაობას სთავაზობენ. ამას ყველა ვერ ეგუება, მაგრამ იმის შიშით, რომ სამშობლოში მის ოჯახს ააწიოკებენ, იძულებული არიან დათანხმდნენ, მერე კი თავად ეძებონ გამოსავალი, სიცოცხლე საფრთხეში ჩაიგდონ, გაიქცნენ, თუ არა და...

ხოციოლოგიური გამოკვლევების მიხედვით საქართველოს მოსახლეობის 70 პროცენტს სურს საზღვარგარეთ სამუშაოდ ან სასწავლებლად წასვლა, 30 პროცენტი თანახმა არალეგალურად იმუშაოს, 46 პროცენტი კი ნებისმიერი სამუშაოს შესრულებას კისრულობს.

მოტყუებით და თვალისახვევით სასწავლებლადაც ბევრი ცოდნისმაძიებელი გაიგზავნა. უსახსრობის გამო კოლეჯში სწავლა ვეღარ გააგრძელა, ვერც სამუშაო იშოვა, დარჩა ქუჩაში, მოლიპულ გზაზე...

36 წლის ია ღვიდაშვილის მიწვევით სამუშაოდ კვიპროსში ჩავიდა. ჯერ რესტორანში ჭურჭელს რეცხავდა. რესტორნის პატრონმა საყვარლობა შესთავაზა. თავიდან უარზე იყო. სხვა გზა ვერ ნახა, საბუთები არ დაუბრუნეს. შინ ორი ბავშვი და ავადმყოფი მამა მისგან დახმარებას ელოდა, იძულებული გახდა დათანხმებულიყო. სამი თვის შემდეგ პატრონმა თავისი მეგობარი მამაკაცი შესთავაზა. თუ დათანხმდებოდა, კარგად გადაუხდიდნენ. რამდენიმე ხნის შემდეგ ია დაფეხმძიმდა. პატრონი იძულებული გახდა საბუთები დაებრუნებინა და შინ გამოეშვა...

30 წლის ლალის საბერძნეთში მხატვრად მუშაობა შესთავაზეს. ჩასვლისთანავე პასპორტი ჩამოართვეს და ერთი თვით სასტუმროში დაამწყვდიეს. დრო გავიდა. სამუშაო არ ჩანდა. ვეღარც სასტუმროს ფულს იხდიდა. ამიტომ სტრიპტიზ-ბარში მუშაობა ურჩიეს. გამოიპარა, პოლიციას ჩაბარდა და როგორც არალეგალურად ჩასული, 6 თვე სასჯელს იხდიდა. მხოლოდ ამის შემდეგ დაბრუნდა საქართველოში.

პროფესიონალი მოცეკვავე 22 წლის მაია თურქეთში სახელმწიფო ანსამბლში მიიწვიეს. საამისოდ კონკურსი თბილისში გაიარა და საუკეთესოდ ჩათვალეს. ხელფასად მაღალი ანაზღაურება შესთავაზეს, მაგრამ მოატყუეს. იქ ჩასულს საბუთები წაართვეს და აიძულეს ღამის ბარში ეცეკვა. საშინელმა პირობებმა –

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოჯახზე, მოსიყვარულე ქმარზე, რომელსაც თავს შემოვევლებოდი, ვოცნებობდი ბევრი შვილი მყოლოდა, მაგრამ... მისი მკვლავებიდან განთავისუფლება გვიანღა შევძელი, ძლივს მოვახერხე მანქანიდან გადმოსვლა და იმ ღამეში ბარბაცით მივადექი ჩემი თანამშრომლის სახლს...

ვეღარ გააგრძელა საუბარი, მწარედ აქვითინდა.

...გავთხოვდი ერთხელ – ქმარი მცემდა, მკლავდა; გავთხოვდი მეორედ – უარესი გამოდგა, – მერე უკვე სულ ერთი იყო ჩემთვის, ისე აღმოვჩნდი ქუჩაში, ვერც კი მივხვდი... მესამე ქმართან გავაჩინე შვილი, მეგონა, ახლა უკვე ადამიანურად ვიცხოვრებ, შვილები მეყოლება და წარსულს დამავიწყებენ-მეთქი, მაგრამ თურქეთში აღმოვჩნდი... რომ იცოდე, რა მოტყუებით გამიშვა, კი არ გამიშვა, გამაგდო და, მერე სად?! – ისევ მწარედ ატირდა, აცახცახდა...

... თურქეთისთვის საბუთებს ჩემი თანხმობით მიმზადებდა, რადგან ვიცოდი, იქ მაღაზიაში უნდა მემუშავა; მიჭირდა ბავშვის დატოვება, მაგრამ ბინა უნდა გვეყიდა და სხვა გამოსავალი არ ჩანდა.

– ის წასულიყო სამუშაოდ, შენ, მეძუძურ ქალს, ჩვილი რატომ უნდა დაგეტოვებინა?

– წინასწარ ჰქონია განსაზღვრული რისთვისაც მიშვებდა, ფულიც წინდაწინ აუღია „მამაშასაგან", – მე კი ის ქალი „საქმის მომგვარებლად" გამაცნო.

– „მამაშა" თურქი იყო?

– არა, ქართველი. ისეთი შესახედავია, ეჭვსაც ვერ აიღებ თუ ამდენ სისაძაგლეს აკეთებს... მოკლედ, ერთ საღამოს ჩემი ქმარი მოვიდა და მითხრა, ჩქარა გაემზადე, ამაღამ თურქეთში მიდიხარო. თავზარი დამეცა, ასე მოულოდნელი წასვლა რა იყო, ვერ გავიგე. ბავშვს ეძინა, შევვარდი მის ოთახში, პირქვე დავემხე და მოვთქვამდი: გიგილო, დედიკო გტოვებს, დედიკო მიდის-მეთქი. მამამისი კი ტირილსაც არ მაცლიდა, – ჩქარა ადექი, ავტობუსი 11 საათზე გადისო. გადავიცვი რაღაც კაბა, მეორე ჩანთაში ჩავაგდე და გავედი სახლიდან...რატომ არ დაიწვა ის გზა!

ჩასვლისთანავე „მამაშამ" მასადილა და მითრა: შხაპი მიიღე, გამოეწყვე და წავიდეთ, ის კაცი ბარში გველოდება, ვინც „სამსახურში" უნდა მიგიღოსო.

დაღლილი კი ვიყავი, მაგრამ რაკი „სამსახურში" იმ დღესვე მიღებდნენ, სიხარულით მოვემზადე, – ჩემმა „კეთილისმყოფელმა" რომ შემომხედა, ტუჩაბზუებით მითხრა: ეს რა გაცვია, იქ ასე როგორ მიგიღებენო, – იქვე, გვერდით ოთახში ვიღაც გოგოს გამოართვა კაბა და მაიძულა, ჩამეცვა, – ჭიპამდე ჩახსნილი იყო, ზურგიც მთლად მოშიშვლებული ჰქონდა, – არ ჩავიცმევ-მეთქი, – არა და სამსახურს ვერ იშოვიო! რაღას ვიზამდი, რაკი სხვა გზა არ მქონდა, ჩავიცვი ის კაბა...

ბარში ერთი ახმახი თურქი დაგვხვდა, ამხედდამხედა და მკლავზე ხელი მომითათუნა. გავერიდე. – ეტყობა ის მიჩვეული არ იყო ამისთანებს. თურმე იმ ახმახს ოთხი ათას დოლარად ვუყიდივარ ამ ქალისგან და ისე მიყურებდა, როგორც საკუთარ ნივთს, ჩემი მორიდება აცოფებდა, იმდენად უზნეო იყო, მაგიდასთანვე მკერდზე შემეხო, – რძემ შარდევანივით გადმოასხა... მაშინღა მივხვდი, რა „სამსახურიც" მიშოვა იმ ქალმა და სისხლი თავში ამივარდა, – ჩემს შვილს შიოდა, მისი რძე კი ვიღაც თურქს გამურულ ხელებზე ესხმებოდა, ვეღარ მოვითმინე, მაგიდა გადავაბრუნე და გავვარდი...

იმ ბარის პატრონს აზერბაიჯანელი საყვარელი ჰყოლია. მე რომ ქართულად მოვთქვამდი, გაიგო და გამომელაპარაკა, მერე იმ თურქთან წავიდა, რომელსაც თურმე ბორდელში სამუშაოდ ვუყიდივარ და ფულიც წინასწარ გადაუხდია „მამაშასთვის". ის ჩემი ცოდვით სავსე კი ამბობდა, ორი ათასი უკვე მარინეს ქმარს გადავუხადე, ორი ათასი კი ჩემიაო... რაკი უღვთოდ ვიყავი გაყიდული, აზერბაიჯანელმა ლეილამ მითხრა, გამოსასყიდი უნდა მივცეთო და დარბაზში გავიდა, აუხსნა ხალხს ჩემი მდგომარეობა... თურმე კარგი ადამიანები ყველგან არიან, – იმ საღამოსვე ლეილამ თანხა შემიგროვა და ის ახმახი თურქი მომაშორა. რამდენიმე დღე მათთან ვიყავი, მერე კი გამომაცილეს საქართველოში. ლეილამ მირჩია, ან რა მისი რჩევა მინდოდა – მტკიცედ გადავწყვიტე, ჩამოსვლისთანავე ქმარს გავყროდი.

მე კი გადავწყვიტე, მაგრამ შინ მოსულს ახალი „სიურპრიზები" დამხვდა, – „მამაშას" ფოტოგრაფი დაუქირავებია და, როცა ლეილას საყვარელს ველაპარაკებოდი, სურათები გადაუღებინებია... ჩემმა ქმარმა მითხრა: მე სამხილი მაქვს, რომ თურქეთში სამეძავოდ იყავი წასული, თუ ისევ იქ არ დაბრუნდები, ამ სურათებს სასამართლოში წავიღებ და დედობის უფლებას ჩამოგართმევო. ჩემს სახლში აღარ მტოვებდა, შვილის წართმევით მემუქრებოდა, ჩემს საფასურად აღებული დოლარებით კი ნაირნაირებს მიირთმევდა... რაღას ვიზამდი, დავწყევლე ჩემი გაჩენის დღე და დავადექი სტამბოლის გზას... რამდენიმე ჯოჯოხეთური წელი გავატარე იქ, მერე კი ვეღარ შევძელი, შვილი მომენატრა, ჩამოვედი, მაგრამ მამამისმა არ დამანება, – ან მეც შენთან დავრჩები, ან ბავშვს წავიყვანო. გველთან უფრო შევძლებ ცხოვრებას, იმ კაცთან კი ვერა... ჩემს უბედურებას შვილთან სამუდამო განშორებაც დაემატა – წავიდა ის კაცი და წაიყვანა ჩემი შვილიც...

– დავიღალე, დავიღალე! არაფერი აღარ მინდა! მიშველე, მირჩიე, როგორ ვიცხოვრო, – ისე შემომტიროდა, თითქოს ჩემს ხელთ ყოფილიყო მისი ბედნიერება.

– მოძღვართან წაგიყვან, აღსარება თქვი, ეზიარე და განთავისუფლდები-მეთქი.

... ეკლესიაში ცახცახით შემოვიდა, – მუხლები მეკვეთება და ვიხრჩობიო.

აღსარებას დიდხანს ამბობდა...

ღვთისმშობელთან ვლოცულობდი, როცა მომიახლოვდა და საიდუმლოსავით გამიმხილა: არ ვიცი რა მემართება, თავს ვეღარ ვცნობ, თითქოს სხვა გავხდი, სიმძიმე მომეხსნა და მგონი ნამდვილ ქალად ვიქეციო.

– ეპიტიმია არ დამიდია, რადგან ძალიან წრფელი სინანული აქვს, ასეთი შემუსვრილი გული იშვიათად მინახავს, მისი განწმენდა მკვდრის გაცოცხლებაზე დიდი სასწაულია, – მითხრა მამა აკაკიმ.

***

ჭეშმარიტად, წრფელ სინანულს უკვდავებაში მიჰყავს სული.

წმიდა მამები გვასწავლიან, რომ ადამიანისთვის უმთავრესია „განცდაი თვისთა ცოდვათა და არა განკითხვა ძმისა"...

ამიტომაც უნდა ვევედროთ უფალს, „სული სიწმიდისა, სიმდაბლისა, მოთმინებისა და სიყვარულისა მოგვმადლოს ჩვენ!"

ნანა ბაგრატიონ-დავითაშვილი

# თვითმკვლელობამდე ერთი ნაბიჯია

დაბალმა ანაზღაურებამ, ფიზიკურმა და მორალურმა შეურაცხყოფამ ჯანმრთელობა შეურყია. როგორც იქნა, დაბრუნდა საქართველოში და მკურნალობს.

მსგავსი და უარესი ფაქტების ჩამოთვლა დაუსრულებლად შეიძლება. ქართველი საზოგადოება შეძრა ჩვენი მანდილოსნების მონად ქცევამ. ხმა ამოიღეს ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციებმა. მაგრამ მათ წინ ელობება მკაცრი რეალობა: საქართველოს კანონმდებლობა არ ითვალისწინებს ტრეფიკინგის პრობლემებს, ქვეყანაში არ არსებობს საკანონმდებლო ბაზა და სხვა პირობები, რომლებიც ქალებს უცხო სახელმწიფოში იძულებითი შრომისა და ექსპლოატაციისაგან დაიცავს.

და მაინც, ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციები მაინც საქმიანობენ მდგომარეობის შესამსუბუქებლად. მათგან განსაკუთრებით საზოგადოება „ქალები მომავლისათვის" (ხელმძღვანელი ხათუნა სანიკიძე) გამოირჩევა. მან გამოიკვლია ტრეფიკინგის 30 შემთხვევა. მაგრამ ერთი დაზარალებულის გარდა, არც ერთმა არ დაასახელა ინფორმაციის წყარო. „ქალები მომავლისათვის" კვლავ ეძებს კონკრეტულ შემთხვევებს. აფრთხილებს მოსახლეობას ტრეფიკინგის საშიშროების შესახებ. აგრძელებს ქალთა ტრეფიკინგის კვლევას საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით და მხარდაჭერით.

აშშ-ში მონები მთელი მსოფლიოდან ჩაჰყავთ. ყველაზე დიდი ნაკადი უკრაინიდან, რუსეთიდან, აღმოსავლეთ ევროპიდან და ჩინეთიდან მიემართება. ცენტრალური სადაზვერვო სამსახურის სტატისტიკით აშშ-ის ტერიტორიაზე ყოველწლიურად 45-დან 50 ათასამდე ასეთი მონა შედის, მსოფლიოში კი 700 ათასიდან 2 მილიონამდე ადამიანია ტრეფიკინგის მსხვერპლი. ამ სტატისტიკაში ქართველთა ხვედრითი წილი, რა თქმა უნდა მცირეა, მაგრამ განგაშის ატეხვა აუცილებელია.

როგორც საერთაშორისო კავშირის მიგრანტთა და უცხოელ მოქალაქეთა უფლებებისა და უსაფრთხოების დაცვის ცენტრის თავმჯდომარე ნუგზარ სულაშვილი აღნიშნავს: „დღეისათვის საქართველოში არ არსებობს სამართლებრივი ბაზა, რომელიც ტრეფიკინგის პროცესებს დაარეგულირებს. ქვეყნის მოქალაქეს არა აქვს კანონით მინიჭებული უფლება ოფიციალურად გავიდეს უცხოეთში კანონიერი სამუშაოს მისაღებად (სპორტსმენის გარდა). სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს მოქმედ კანონმდებლობაში საერთაშორისო გამოცდილებაზე დაყრდნობით შექმნილი ანტიტრეფიკინგული პროგრამის ასახვა".

მანამდე? მანამდე ისღა დაგვრჩენია, მოვუწოდოთ უცხოეთში სამუშაოდ წამსვლელებს: იყავით გონიერნი, იყავით ფრთხილად!

**P. S. სულ ახლახან გახდა ცნობილი, რომ საქართველოს მიგრანტთა და უცხოელთა უსაფრთხოების დაცვის ცენტრი სექტემბრიდან ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის კოალიციის ოფიციალური წევრი გახდება. ამის თაობაზე გეა-ს კორესპონდენტს ამ ცენტრის ხელმძღვანელმა ნუგზარ სულაშვილმა აშშ-დან აცნობა. ამასთან, თბილისში გაიხსნება ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის კოალიციის წარმომადგენლობა. კოალიციაში გაწევრიანების შემდეგ საქართველოს იმ მოქალაქეებს, რომლებიც ამგვარი მონობის მსხვერპლნი აღმოჩნდებიან, უფასო იურიდიული დახმარებისა და რეაბილიტაციის მიზნით, თავშესაფრის მიღების საშუალება ექნებათ.**

აშშ-ში ნუგზარ სულაშვილმა მოინახულა ის ადგილები, სადაც ქართველები კომპაქტურად არიან დასახლებული. მისი განცხადებით „სამწუხაროა, რომ ახალგაზრდობის ძირითადი ნაწილი ნარკომანიასა და პროსტიტუციაში არის ჩართული. ესაა ძირითადად მაიამსა და ფილადელფიაში".

ლია კაკაბაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა



# „ის მეტისმეტად ქალი იყო და... შეეხეტა სიყვარულში...“



ადრე ელა გოჩიაშვილზე ვწერდი, – ჩუმად ცნობილი პოეტია, რამდენმა მწერალმა თუ კრიტიკოსმა წარმოაჩინა მისი შემოქმედების ხიბლი პირველაღმომჩენის აღტაცებით და მაინც ძალიან ცოტა თუ იცნობს, როგორც პოეტს-მეთქი.

– რატომ, ჩუმად ცნობილი? დაგეწერა – სულაც უცნობი... – მითხრა ელამ.

მე კი თქვენ გეტყვით, ლექსისმოყვარენო, გირჩევთ, მოიძიოთ (და გაიცნოთ) ელა გოჩიაშვილის ლექსები, და ეს ნათქვამი ხმამაღალი რომ არ გამომივიდეს, აქვე დავამატებ, – სასიამოვნოდ გაიოცებთ, როდესაც... თქვენს მიჩქმალულ სათუთ გრძნობებს იქ იპოვით, მის შემოქმედებაში, ზუსტი სიტყვებით გამოხატულს და უკვე სახელდარქმეულს.

ის ცნობილი მწერლები და კრიტიკოსები კი, ვისაც ელა გოჩიაშვილზე დაუწერიათ, ამბობენ, რომ იგი ოთხმოცდაათიანელთა თაობის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული პოეტია.

„ვაიმე მთვარევ, პოეტების კალმის წვერზე იოლ-უბრალოდ წამოდებულო“, – წერს ერთგან ელა... ათადან და ბაბადან მოდის ასე – პოეტები ისე ხშირად უმღერიან მთვარეს და შემოდგომური მოფარფატე ფოთლების დაძარღვულ ზედაპირზეც ტკივილიანი სიტკბოთი ისევე ხშირად კითხულობენ სიკვდილ-სიცოცხლის მთელ ფილოსოფიას, რომ კრიტიკოსები სწუხან კიდეც – რა ამბავია ამდენი მთვარე, ამდენი ფოთოლი?!..

და აი, ელა გოჩიაშვილიც თავის შემოქმედებაში სწორედ „ნოემბერთან ხელკავით“ ჩაგატარებთ, რადგანაც ნოემბერი „ტკივილთა მჯვირალობის დროა“ და ამ დროს „დარდები ფოთოლ-ფოთოლ დააწანწალებენ“

„იგი? ფოთლების ბოლოს ქარია,
ნოემბერია ქარების ბოლოს...

ბანალობაა?! იყოს ბანალობა – მის პოეზიაში მეწამულ ფოთოლთა ორომტრიალია.

ელას თავადვე უკვირს, – ბავშვობიდანვე რატომ უნდა ჰყვარებოდა შემოდგომა განსაკუთრებით. რატომ გიჟდებოდა ფოთლებით გადაყვითლებულ გზებზე და არა, ვთქვათ, აყვავებულ მდელოებზე.

იქნებ, იმიტომაც, რომ ესენინის ოქროსფერი ხუჭუჭი შემოდგომურ ფოთლებთან იგივდებოდა?

ათი წლისას? – იქნებ ნაკლებისას, სიგიჟემდე უყვარდა ესენინი. არა მარტო მისი პოეზია, არამედ, თვითონ – უცნაური კაცი უცნაური ცხოვრებით.

მერე მსახიობი ლუკშინი შეუყვარდა, ოცნებობდა მასთან შეხვედრაზე.

ვინ წარმოიდგენდა, ძალიან ჩუმ, მოუხერხებელსა და მორცხვ პატარა გოგოს რა თამამი ფიქრები უტრიალებდა თავში.

ელა: – ვიყავი ასეთი, გაბუსუნებული, უშნო, სულ უკან მდგომი, ვიგროვებდი და ვიგროვებდი წყენებს გულში და ერთხელაც „გავსკდი“ – მამიდაჩემთან სტუმრობისას. წამოვიდა და წამოვიდა ნიაღვარი ბილწსიტყვაობისა... მაინც სად მოვისმინე, როდის ავხვეტე, გაცნობიერებული არც მქონდა. რას ვკიოდი და ვწიოდი?!

მამიდაჩემი გაფითრებული მისმენდა – და მერე, ჩემ მასწავლებელ დედიკოს დიდი საყვედურები უთხრა შვილის ცუდად გაზრდისათვის.

მთლად ასე არა, მაგრამ მაინც (უფრო კულტურულად) კიდევ არაერთხელ „გავსკდი“. ვგავარ ახლა მე აშარ ქალს? ადამიანისას რას გაიგებ, ჩემო კარგო!

ასეა თუ ისე, „დრმა“ ბავშვობიდან მიყვარს შემოდგომის მიწურული, იგი ჩემთვის სიყვარულთან იგივდება, ანუ სიცოცხლესთან, ანუ სიტკბოსთან და სიმლაშესთან...

ელა მოხდენილად ეწევა სიგარეტს, საუბრობს ნაწყვეტ-ნაწყვეტ, ყავის თანხლებით, გემოჩატანებულად. ვსხედვართ ძირს გაფენილ ხალიჩაზე. გარეთ ქარია, – შენ სანამცხვრე ცომს მარილს არ უკეთებ? გემრიელი ტკბილი გამოდის...

***

– ახლა სიყვარულზე ვილაპარაკოთ, თუმცა რა – სიყვარულზე არ ვლაპარაკობდით? შენს ლექსებში გულისგამგლეჯი სიყვარული დაგრიალებს. ერთგან წერ – „ხანგრძლივი, მძიმე სიყვარულისგან გარდაიცვალაო“, მაინც რამდენჯერ გარდაიცვალე?

ელა: – როცა მეუფე სიყვარული მეწვია, უკვე გადამღერებული ქალი ვიყავი – 25 წლისაზე მეტის. მე ავდიოდი ნუცუბიძის პლატოზე ფეხით. – ეს დინჯად გამომივიდა – მე ავსკდებოდი ნუცუბიძეს და ვიდექი დიდხანს, ძალიან დიდხანს მის ფანჯრებს მიშტერებული, ხშირად სიცივეშიც, ქარსა და წვიმაშიც.

11 – წელი მიყვარდა. არ გინდა ამ სიგიჟეების ამდენი წელი გაძლება?

„გათვალული ვარ, განწირული ვარ,
არსად ჩანს, ვინაც უნდა მიშველოს,
იქით ქვეყანა – დიდი და ბევრი,
აქეთ მე – ერთი და უმნიშვნელო.
სიყვარულისთვის მედება ბრალი,
სად არის, ვინაც უნდა მიშველოს?..

მერე... კიდევ მიყვარდა, ახლაც მიყვარს და კარგად ვიცი, რომ „სიყვარული მონობამდე ამაღლებული, თვი-

**თონ ღმერთია და არავის იუფროსებს", სიყვარული მაძლევს ძალას, მატარებს, მაჭმევს და მაშიმშილებს, მასნეულმაჯანმრთელებს და ბოლო-ბოლო, ლექსს მაწერინებს.**

„შენ რა გითხარი, ევა, შენ რა გითხარი, ევა!..." ეს რა სიყვარული მოიგონე!

„მეტისმეტად ქალია" ელა გოჩიაშვილი, მგრძნობიარე ხმითა და პროფილით, რომელიც „სიყვარულში შეეხეტა" და მიუხედავად უღრანისა, სადაც მხოლოდ აქა-იქ მოჭიატებს დღის სინათლე, უკან სულაც არ უნდა გამობრუნება – იმ სინათლეებისაგან ხომ ისე ლამაზად იჩითება გახავსებული გული.

– „ვაი, უნუგეშო შეყვარებულებს,

ვაი, სიტყვაში თავშეფარებულებს?"

ელა: **– სიყვარულის გამო მე ვიყავი ძალიან მართალი. იგი მშვენიერია იმ ვაებითაც.**

***

ბავშვობა გაატარა ასე: დაიბადა და გაიზარდა კახეთის ლამაზ სოფელში – ვაჩნაძიანში. სწავლობდა კარგად, ანუ პატიოსნად, იმიტომ რომ დედა ასწავლიდა საძულველ ფიზიკას და საერთოდაც, დედას ხომ არ შეარცხვენდა. პირველი ლექსი კავკასიონზე დაწერა – იდგა ფანჯარასთან, ჩანდა დათოვლილი კავკასიონი, ლამაზი იყო. ფილოლოგი დეიდა იყო მისი ნაცოდვილარის მეჭაშნიკე. მერე რაიონულ გაზეთშიც დაიბეჭდა, „ახალგაზრდა კომუნისტშიც". პიონერთა სასახლეში ფაცია პაჭკორიასთან დადიოდა, ლიტერატურულ წრეში. პირველი რეცენზენტი – ბადრი ჭოხონელიძე იყო – ო, რა ამაყად დადიოდა.

ცოცხალ ტილოებად დარჩა მის მეხსიერებაში:

ბებიას მიჰყავს ვენახში ის და მისი და ანუ პატარა გოგოცუნები. წინ ღელე უდევთ. ოო, მთელი რიტუალია მოდიდებულ ღელეზე გადასვლა – სად ქვები უნდა მოიძიო, სად ფიცარი გადახიდო, კანკალ-კანკალით, ბორძიკ-ბორძიკით გადახვიდე. ეს ის ბებიაა, რომელმაც

„უდარდელობა დაიბრალა და ხალხს ისე ემალებოდა.

ვერ გაიტანა დარდი გულიდან",

რადგანაც „შემოხიზნული კატა და დარდი ცოდვით შინიდან არ გაიგდება".

ბიჭი მოუკვდა ბებოს – ოთარი, და ... კიდევ ერთი სურათი, სივრცეში მოთახთახე:

„დუღდა ზამთარი ჩაიდანში,
თუხთუხებდა,
და ორთქლზე ხელებმიფიცხებული
33 წლის ბიჭი –
ლოთი და ნიჭიერი –
ბიძა იყო ჩემი...

ბიძია ოთარი სიყვარულით ნიბლიას ეძახდა. სწორედ ნიბლიას გაყუჩებით შესცქეროდა უცნაურად ნიჭიერი კაცის ქმედებებს – როგორი ყურება იცოდა, როგორი მოსმენა და ... როგორი კითხვა... ახლა ის სურათები სივრცეში თახთახებს...

ელა: **პასუხისმგებლობას მაინც და მაინც საწყალი ბიძაჩემის წინაშე ვგრძნობ, სულ ვფიქრობ, – მოვეწონებოდი ასეთი? რას იტყოდა ჩემს ლექსებზე?**

„დღეს ვინ არის თქვენი ნიბლია
არც არავინ –
თმენის ქალი
და
სიკვდილის პოეტი.
და არცერთი ეპატიება,
რადგან ღმერთს მაინც
სულ სხვა ჰქონდა ჩაფიქრებული
ადამიანი – ცოცხალმშობიარე.

\- - -

ელა: **ყველაზე დიდი ბედნიერებაა: მიყვარხარ – მეც მიყვარხარ და წყვილთა სრული ჰარმონია.**

**ყველაზე დიდი ბედნიერებაა: შვილი! – შენი და მისი ნაწილი და ამით – სრული.**

**მე ნაკლული ქალი ვარ – არ მყავს მეწყვილე და არ მყავს შვილი. მე არდაბადებულ შვილს მივმართავ:**

„ვაპატიოთ ერთმანეთს, რომ
ერთმანეთი ვერ გავაჩინეთ...

\- - -

ელა გოჩიაშვილი წერს:

„მე ლექსებს ვწერდი,
როცა ჩემი თავი ვიყავი...

მაგრამ ამ ოხერ წუთისოფელში, სადაც „სიხარულები – ძვირი, დარდი – სრულიად მუქთად" არის, ბევრჯერ ყოფილა იგი სხვა და „გასხვისებული თითების ტრაგედიით" უკეთებია საქმე.

ეჰ, გარეთ ცივა და დარდი ნამდვილად არ გაიგდება გარეთ, ცოდოა, ისედაც მობუზულია, საცოდავი...

და კიდევ ერთი მოციაქცაკე სურათი, გონებაში ღრმად ჩაბეჭდილი:

მუხლებზე იდაყვებდაყრდნობილი ელა გოჩიაშვილი, ყავის ჭიქაზე თითებშემოჭდობილი, ჩუმი მღელვარებით რომ კითხულობს ლექსებს.

მე მისი პოეზიის მოთაყვანე ვარ.

მანანა ჭარიძე

ელა გოჩიაშვილი

## ადამიანი – ცოცხალმშობიარე

მე იმ სახლში,
ბების სახლში,
ნიბლია მერქვა.
სახლი კი შუა ზამთარში გვედგა.
ჩუმად თოვდა
სათონეზე, ლობეზე, ბლებთან.
დუღდა ზამთარი ჩაიდანში,
თუხთუხებდა,
და ორთქლზე ხელებმიფიცხებული
ოცდაცამეტი წლის ბიჭი –
ლოთი და ნიჭიერი –
ბიძა იყო ჩემი.
ნაციმბირალი დიდი პაპა
აღარ იყო უკვე ცოცხალი,
რომელიც ჩემმა დიდმა ბებიამ
დღეობაში გაიცნო თურმე,
„ჩოხა მხარ-იღლიავ გადაეგდოო" –
იხსენებდა,
და უბრწყინავდა
უბერებლად ლურჯი თვალები.
დაუსრულებლად თოვდა გარეთ...
არ ილეოდა სხვენში თაგვი
და „თამრო" მსხალი.
მთელი ზამთარი ირჩეოდა
სიმინდი ჩვენსა,
ირჩეოდა ნება-ნება,
თავის შექცევით.
ლამის ჩვენთან იზამთრებდნენ
უბნის ბებრები:
მაშო, ნანია.
ჩაის დროსაო – ბრძანებდა პაპა,
წიგნში ფანქარს ჩაატანებდა;
გადმოვიღებდით ატმის მურაბას –
ჩაშაქრებულს და სანვალებელს;
ნაკვერჩხალში შემწვარ გოგრას
ბებო ნაცარს ჩამოაფხეკდა
და თოვდა გარეთ...
ნიბლია ჩიტს ეძინებაო –
იტყოდა ბიჭი – ორთქლზე
ხელებმიფიცხებული,
ლოთი და თვინიერი,
რომელიც ბიძა იყო ჩემი,
და რომელსაც
მხოლოდ დიდმა სისუსტემ და
უმწეობამ
მისცა ძალა
ცხოვრებაზე ხელის ჩაქნევის.
...ორთქლზე ხელებმიფიცხებული –
ჩემს ხსოვნაში ასეთად დარჩა.
ნიბლია გოგოს ეძინებაო –
შეაყრყოლებდა სინაზისგან
ფუძის ანგელოზს,
მომიწვებოდა მერე ბებია,
ბამბაზიის და ზღაპრების
სურნელით სავსე,
ჩურჩულებდა დაკარგული
ობლების ამბავს;
კირით შეფეთქილ კედელზე კი
იძერწებოდა სამყარო,
მხოლოდ ჩემთვის ხილული,
და ისე ტკბილად მეძინოდა...
ჩემი ბებია –
ცხოვრებისგან გადაქანცული,
გაუხარელი, უბედური დედისერთა.
უდარდელობა დაიბრალა
და ხალხს ასე ემალებოდა.
ვერ გაიტანა დარდი გულიდან,
ლობე-ლობე ვერ გამოფინა.
შემოხიზნული კატა და დარდი
ცოდვით შინიდან არ გაიგდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კოსმოსი ჩვენთან კონტაქტზე მოდის

*სანამ ქ-ნ გალინა ფარბერს შევხვდებოდი, ბევრი მქონდა წაკითხული მის ფენომენზე და გულწრფელად უნდა გითხრათ, ზოგ რამეს ფანტასტიკის სფეროს ვაკუთვნებდი, მაგრამ როცა პირადად შევხვდი და რამდენიმე საათის მანძილზე დაძაბული ყურადღებით ვუსმენდი და თვალებში ვუცქერდი, ყველა ეჭვი გამიქრა, რადგან ძნელად თუ შეიძლება წარმოიდგინო ასეთი მართალი თვალები, ასეთი დამაჯერებელი ხმა და ამგვარი უპრეტენზიობა, როცა საქმე სრულიად არაორდინარულ, ძნელად წარმოსადგენ და გასაოცარი ფენომენის მატარებელ პიროვნებას ეხება.*



***

ბედი ბავშვობიდანვე ჩანს, რაღაც განსაკუთრებულს უმზადებდა.

პატარა რაია რაევსკაიას მშობლები ლენინგრადიდან ომში გაიწვიეს. მამა წყალქვეშა ნავის კაპიტანი, დედა იმავე ნავზე სამხედრო ექიმი იყო. ბავშვს ბებია ზრდიდა და, როცა მან თავისი ქალიშვილის — რაიას დედის დაღუპვა გაიგო, ინფარქტით გარდაიცვალა.

გოგონა ბავშვთა სახლში აღმოჩნდა.

ამ დროისათვის ერთმა ოჯახმა მისი ტოლა გოგონა დაკარგა. გამწარებულ მშობლებს მეზობელმა, რომელიც ბავშვთა სახლში დამლაგებლად მუშაობდა, უთხრა: გუშინ ჩვენთან მშვენიერი გოგონა მოიყვანეს, ჩუმად მოგიყვანთ, გაზარდეთ თქვენი გოგონას სახელზეო.

ასე იქცა რაია რაევსკაია გალინა ფარბერად. საქმე, ცხადია, არალეგალურად გაკეთდა და არსად არანაირი საბუთი არ დარჩენილა. კვალი გაქრა.

ფარბერებმა საცხოვრებლად საქართველო აირჩიეს და თბილისში გადმოსახლდნენ. ომის ქარცეცხლს გადარჩენილმა მამამ, რომელიც, სხვათაშორის, საბჭოთა კავშირის გმირი იყო და ომის შემდეგაც წლების განმავლობაში საზღვარგარეთ მუშაობდა, ბევრი ეძება რუსეთში პატარა რაია, მაგრამ უშედეგოდ.

არც გალინას ეცოდინებოდა რაიმე თავისი წარმოშობის შესახებ, დედობილს სიკვდილის წინ რომ არ ეთქვა სიმართლე. როცა ის მშობლების ძებნას შეუდგა, მამამისი 2-3 წლის გარდაცვლილი აღმოჩნდა.

— დრო და დრო მქონდა შეგრძნება, თითქოს მე ის არ ვიყავი, ვინც ვიყავი,მაგრამ ვინ გამიგებდა ასეთ რამეს? არც იმ პატარ-პატარა „უცნაურობებს“ ვაქცევდი ყურადღებას, დრო და დრო რომ მემართებოდა, მაგალითად, ჰიპნოზის უნარი და მისთ.

სხვა მხრივ თითქოს ჩვეულებრივი ბავშვი ვიყავი: ძირითადად ბებია მზრდიდა — დედობილის დედა. უკეთილშობილესი ქალი. მინერგავდა გარშემო ყველასა და ყველაფრის სიყვარულს. ეს არის ის ძირითადი, რაც ბავშვობიდან გამომყვა: გიყვარდეს, რაც არის და როგორიც არის!

ყველაფერი „სხვანაირი“ ჩემი კლინიკური სიკვდილის მომენტიდან დაიწყო.

24 წლისას, მეორე ბავშვზე მშობიარობის დროს, საკეისრო გამიკეთეს და გული 20 წუთით გაჩერდა. ექიმებს მკვდარი ვეგონე და ურიკით მორგში წასაღებად გამამზადეს. ის, რაც მაშინ განვიცადე, წლების განმავლობაშიც არავისთვის მომიყოლია, რადგან ვშიშობდი, გიჟად არ ჩავეთვალეთ.

აი, რა მოხდა მაშინ: მიწიდან ამოვარდა ჰაერის ძლიერი ტალღა და გამაყრუებელი გრუხუნით აიჭრა ცაში. მეც ამიტაცა. გარშემო მთლად უკიდეგანო შავი სივრცე იყო. შორეული ხმა შემომესმა: ჯერ შენი დრო არ არის, უკან დაბრუნდიო. შემოვტრიალდი და გრძელი დერეფანი ვიხილე, რომლის ბოლოშიც ჩემი პატარა გოგონა იდგა, ჩემკენ ხელებს იწვდიდა და მიხმობდა: დედა, მოდი ჩემთან, მე შენ მიყვარხარ!

და უცებ თითქოს ვიღაცის დარტყმამ გამომაფხიზლა.

ამის შემდეგ 12 წელი გავიდა. უცნაური რამ მემართებოდა. სარკეში ვხედავდი თითქოს ჩრდილო ინგლისში ვცხოვრობდი. 1850 წელი იყო. მამულში ლამაზ ვიტრაჟებიანი სახლი იდგა. აივანზე მხვიარა ვარდებით. ეზოში დიდი მუხის ხე. ხმა მეუბნებოდა: აი, შენი საძინებელი. აი, როიალი. აი, შენი ძალლი. მამა სოფლის ექიმია. მიყვარს ხატვა და მუსიკა.

მამამ შინ ახალგაზრდა ოფიცერი მოიყვანა, ჩემთვის საქმროდ უნდა. მე კი სხვა ბიჭი მიყვარს. და აი, ერთხელ თეატრიდან გამოსულმა ოფიცერმა ესროლა ჩემს შეყვარებულს და მოკლა ჩემს თვალწინ.

ყოველივეს ისე მკვეთრად ვხედავ სარკეში, თითქოს ეკრანზე ფილმს ვუცქერდე და ხმა კვლავ მეუბნება: „ეს შენ ხარ წინა ცხოვრებაში“.

ახლა გიამბობთ პირველ, კოსმოსთან დაკავშირებულ ხილვაზე.

გვიანი ღამე იყო, მაგრამ არ მეძინა. ჩემს საწოლთან თვალი მოვკარი უცხო ადამიანს და პირველი, რაც გავიფიქრე, იყო: ასეთები ჩვენს ქალაქში არ არიან, ამ უჩველო არსებას ბრწყინავი ტუნიკი ეცვა, ცალი მხარე შიშველი ჰქონდა. მაღალი, ბრგე, გრძელი ღია ფერის თმით. დაჟინებით მომჩერებოდა. თვალი მაგრად მოვხუჭე, მერე საბანში შევიმალე, ამაოდ, არსება არ ჰქრებოდა.

გავიდა კიდევ რამდენიმე ხანი და ჩემს ბინაში დაიწყო ანომალური მოვლენები, მესმოდა უცნაური ტკაცუნი, თითქოს ვიღაცა ფოტოაპარატით სურათს იღებდა, ზოგჯერ ყრუ სიცილი. ეს ხმები უშუალოდ მე „დამყვებოდნენ“. მუდმივად ვგრძნობდი, რომ ვიღაც უხილავი ზურგს უკან მედგა. ისეთი შეგრძნებაც მქონდა, რომ ვიღაც მეხებოდა. მეგონა, ჭკუიდან ვიშლები-მეთქი. მეშინოდა ბინაში მარტო დარჩენა და როგორც კი ქმარი სამუშაოზე წავიდოდა, მაშინვე გათხოვილ შვილთან გავრბოდი.

ერთხელ, როცა „მორიგი გაქცევა“ დავაპირე, მოულოდნელად გავიფიქრე: მაინც რატომ უნდა გავიქცე? ავდგები და დავრჩები, და უცებ მესმის ხმა: „სწორადაც მოიქცევი! დაჯექი, აიღე ფანქარი და დახატე!“ შიშისგან გავოგნდი, მაგრამ ხმა იმდენად მბრძანებლური იყო და იმავდროულად მშვიდი და კეთილმოსურნე, რომ ჩემდა უნებურად, დავემორჩილე. ავიღე კალამი, ქაღალდი და მაგიდას მივუჯექი. თუმცა ვთქვი, რომ ხატვა არ შემეძლო. „შეძლებ“ — მომესმა ხმა.

ცოტა ხანში ვიგრძენი, რომ ჩემს ხელს ვიღაც ამოძრავებს და რაღაც იხატება. ნახატი ქალიშვილს ჰგავდა. „დაწერე სახელიც, რომ არ დაგავიწყდეს: ლუ-ო! — კვლავ მიბრძანეს. დავწერე, მაგრამ ეს არ იყო ჩემი ხელწერა. თითქოს პირველკლასელს გამოჰყავდა ქაღალდზე აჩხაბაჩხა ასოები.

კიდევ დამახატინეს რამდენიმე უცნაური კაცუნა და ნახატის კედელზე გა-

# მასწავლებელი კოსმოსიდან ქუ, ლუ-ო და სხვები

კვრა მიბრძანეს.

დილით, როცა ვიღვიძებდი, ამ ნახატებს მივმართავდი: „გამარჯობათ, ჩემო კოსმოსელო მეგობრებო!" სინამდვილეში რა ხდებოდა, თვითონაც არ მესმოდა.

მაგრამ ბედს დავემორჩილე და ყოველდღე ვჯდებოდი საწერად. ვწერდი, რასაც მკარნახობდნენ და ბევრი რამ იმ დაწერილისა არ მესმოდა. როცა ჩანაწერები საკმაო რაოდენობით დამიგროვდა, გადავწყვიტე, მეჩვენებინა მეცნიერთათვის. ინფორმაცია უმეტესად ეხებოდა ასტროფიზიკას, ასტრონომიას, მედიცინას, ფილოსოფიას და ა. შ.

ამ დროიდან კოსმიურ სტუმრებთან მუდმივი კონტაქტი მაქვს.

ისინი ბევრნი არიან. უპირველეს ყოვლისა, მყავს კოსმიური მასწავლებელი სახელად „ქუ". ხოლო ვისაც ვხატავდი, შემდგომში იმათაც ვეცნობოდი. როგორ გამოიყურებიან ისინი? მათ შორის არიან ძალიან ლამაზები, მაღლები და, როგორც ისინი გვიხსნიან, აქვთ გამარტივებული შინაგანი ორგანოები. ისინი კეთილნი არიან. არიან სხვანაირებიც — თავი პატარა, თვალები — ხვრელებივით, ხელები — როგორც მარწუხები, მაგრამ ძლიერი, განვითარებული თითებით, რომლებიც ჩონჩხის ხელის მტევნებს მოგაგონებთ.

ერთი სიტყვით, მათ გარეგნობაში, ჩვენი გაგებით, ძალიან ცოტაა ესთეტიკური.

კოსმიურ არსებებს შორის ბოროტებიც გვხვდებიან, ხოლო იმათ, რომლებიც წარმოსადეგი გარეგნობის და ლამაზები არიან, შეუძლიათ მატერიალიზება და ყოფნა ჩვენს პლანეტაზეც და სხვა პლანეტაზეც.

ვფიქრობ, რომ მე მაკისრია გარკვეული მისია, მივიტანო ხალხამდე მათი ინფორმაცია და რეკომენდაციები. კონტაქტის დროს აკრძალული თემებიც არსებობს, რომლებზეც ხალხთან საუბარს გვიკრძალავენ. მაგრამ იძლევიან ხოლმე რჩევებს, რეკომენდაციებს, გვატყობინებენ, გვაფრთხილებენ, გვიცავენ რაღაცისგან. ეჭვი არ არის, რომ კოსმოსმა ჩვენზე ყველაფერი იცის!

...ქ-ნ გალინას სკოლა და ინსტიტუტი თბილისში აქვს დამთავრებული, მაგრამ ამგვარი ფენომენის აღმოჩენის შემდეგ მან დაამთავრა გალპერინის სახელობის სამედიცინო ცენტრის ფსიქოლოგიის ფაკულტეტი და ტიბეტური სკოლა მოსკოვში. მიღებული აქვს საერთაშორისო სერტიფიკატი პარაფსიქოლოგიაში, რაც იშვიათი შემთხვევაა, და გალინამ იგი ორი წლის მანძილზე იქვე წარმატებული მუშაობით დაიმსახურა.

მისი სტატიები იბეჭდებოდა მოსკოვში, კიევში, პოლონეთში, გერმანიაში, ისრაელში, საბერძნეთში.

მოსკოვის ტელევიზიამ საერთაშორისო არხისთვის გადაიღო პროგრამა გალინას მონაწილეობით „ამო" /ამოუცნობი მფრინავი ობიექტები/.

მეცნიერებას გვერდი არ აუვლია გალიანას ფენომენისათვის. წარსულს ჩაბარდა დრო, როცა ქვეყანაში ყველაფერი, რისი ახსნაც მეცნიერებას იმ ეტაპზე არ შეეძლო, იყო მხოლოდ მისტიკა და სასტიკად გასაიდუმლოებული უნდა ყოფილიყო ადამიანებისათვის.

თუმცა ყველაფერი ახლაც არ აიხსნება, მაგრამ მცდელობა ხომ არის, ზოგჯერ საკმაოდ წარმატებულიც!

ადამიანები განსხვავდებით ერთმანეთისაგან.

ზოგი ადამიანი არჩევს მხოლოდ შავ და თეთრ ფერს /დალტონიკები/.

რამდენ ფერს არჩევდა, ვთქვათ, სეზანი?

ზოგიერთ ჩვენგანს ესმის სამყაროს მუსიკა.

მაგრამ როგორ აღმატებულად ესმოდა იგი, ვთქვათ, მოცარტს, შოპენს?

ჩვენ ვხედავთ ადამიანის სახეს, ნაოჭებს თვალების ირგვლივ...

ქ-ნი გალინა კი ხედავს აურას, ადამიანის გარშემო, გრძნობს, სად და რამდენადაა იგი დაზიანებული და იცის, როგორ უშველოს მას, რათა დაიცვას ავადმყოფობისაგან. იგი ასევე უშეცდომოდ გრძნობს პათოლოგიას ადამიანის ორგანოებში და შეუძლია უშველოს მას. მისი თქმით, ამაში „კოსმოსელები" ეხმარებიან.

უძველესი სიტყვებია „გათვალვა", „ჯადო", „თილისმა". როგორ გგონიათ ტყუილად შექმნა და შემოინახა იგი ენამ და ფოლკლორმა? არა მარტო ქართულმა, ცხადია. რა თქმა უნდა, მისტიკის ბურუსი აქ საგრძნობია, მაგრამ სინამდვილეშიც რომ არის ავი და ბოროტი თვალი, ჯადო და ჩხიბვა?!

და აი, ქალბატონი გალინა ასე ჩამოთვლის თავისი მუშაობის მიმართულებებს:

მე გახლავართ პარაფსიქოლოგი, ბიოენერგოკორექტორი, კონტაქტიორი.

ვკვეთებ მრავალი დაავადების დიაგნოსტიკას, ვმკურნალობ მათ თვითშთაგონებით, ფსიქოთერაპიით და მუსიკით.

აღვადგენ და კორექციას ვუკეთებ ადამიანის დაზიანებულ აურას. ვაკეთებ მძლავრ დამცავ თილისმას ტიბეტური ასტროლოგიის მიხედვით, აგრეთვე თილისმას, რომელიც დაგიცავთ ოჯახში, ბიზნესში, უბედური შემთხვევისაგან. ვხსნი ნებისმიერ ნეგატიურ ზემოქმედებას, ჯადოს, გათვალვას, ვაკეთებ ბინების, ოფისების ენერგეტიკულ გაწმენდას.

საოპერაციო ავადმყოფებისა და სუსტი ბავშვებისათვის ვმუხტავ წყალს. მარილს, ბლოკირებას ვუკეთებ გეოპათოგენურ ზონებს, რომლებიც აზიანებენ ჯანმრთელობას.

შემიძლია ენერგეტიკული არხების გახსნა პირად ცხოვრებასა და საქმიანობაში წარმატების მისაღწევად, იმ ინდივიდუალური კოდის საშუალებით, რასაც მე გამოვთვლი.

გალინა ფარბერს აქვს კიდევ ერთი გასაოცარი უნარი: მას შეუძლია ინფორმაცია მიიღოს პარალელური სამყაროებიდან. ანუ კონტაქტს ამყარებს გარდაცვლილი ადამიანის სულთან. /ნეკრომანტია/ მაგრამ ეს უფრო მეტად ხდება სპონტანურად, და არა დაკვეთით. ანუ სულები თვითონ გამოდიან მასთან კონტაქტზე. მაგრამ ამ კონტაქტზე იმდენი სულიერი ენერგია ეხარჯება, რომ ცუდად ხდება და ახლა თავს არიდებს მას.

უამრავი სამუშაო ჰქონდა ქ-ნ გალინას აფხაზეთის ომის დროს. არა ერთ შეწუხებულ ცოლს და დედას, სურათის მიხედვით ეუბნებოდა ცოცხალი იყო თუ არა მათი ქმარი თუ შვილი, და თუ არა, სად იყო მისი გვამი. ეს იყო უაღრესად დამქანცველი საქმე, მაგრამ გალინას არ შეუძლია უარი უთხრას შეწუხებულ და გამწარებულ ადამიანს.

მას შემდეგ, რაც რამდენიმე ხნის წინ /ნარკოზით/ მძიმე ოპერაცია გაიკეთა, გალინას უჭირს ნათელხედვა და ხაზგასმით მთხოვა, ეს დამეწერა, რათა მკითხველი უნებლიეთ შეცდომაში არ შემეყვანა.

ხოლო რაც შეუძლია, ადამიანებისთვის არასოდეს და არაფერს იშურებს.

ასეთია ჩვენი თანამოქალაქე, მრავალი ადამიანური სათნოებით შემკული და ჭეშმარიტად არაჩვეულებრივი ქალი გალინა ფარბერი.

**ნარგიზა მგელაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მე ვიზრდები!



**ამბობენ, როცა ბავშვები ძილში ფრენენ, სიმაღლეში იზრდებიანო.**

საერთოდ როგორ მიდის ზრდის პროცესი და შეიძლება თუ არა მის საბოლოო შედეგზე ზემოქმედება?

ყველაზე სწრაფად ემბრიონად ყოფნისას ვიზრდებით. 50სმ წელიწადში. შემდეგ ტემპი კლებულობს. 1-2 თვეში პატარა 38სმ-ის სისწრაფით, მომდევნო ორ თვეში – 28სმ-ის სისწრაფით იზრდება. ასე რომ პირველ წელიწადს იმატებს 25სმ.

შემდეგ ეს ტემპი შენელდება, მაგრამ მატება მაინც სახეზეა. ასე გრძელდება სქესობრივ მომწიფებამდე. გოგონები სწრაფად იზრდებიან – 11-12 წლის ასაკში 8,3 სმ წელიწადში. ბიჭები რევანშს 13 წლიდან იღებენ. 14 წლის ბიჭები უკან იტოვებენ თავის აწოწილ ამხანაგ გოგონებს და წელიწადში 9,5 სმ-ით მაღლდებიან. ეს ტემპი მათთვისაც რეკორდულია. მერე ზრდის სისწრაფე ბიჭებშიც კლებულობს. ზრდას პირდაპირ კავშირი აქვს სქესობრივ სიმწიფესთან. რაც უფრო ადრე ხდება სქესობრივი მომწიფება, მით უფრო ადრე კლებულობს ზრდის ტემპი.

### ორი საბაბი შეშფოთებისათვის

ზრდასთან დაკავშირებული პრობლემები სქესობრივ მომწიფებამდეც იჩენს თავს, მაგრამ, სამწუხაროდ, ზრდაზე ზრუნვას მოგვიანოდ იწყებენ. არადა ზრდის ჰორმონის დეფიციტის არსებობა 4-6 წლის ასაკშიც ვლინდება. სკოლის დაბალ კლასებში უკვე შეიძლება განისაზღვროს როგორი სიმაღლის გაიზრდება ბავშვი: დაბალი, საშუალო თუ მაღალი.

ბავშვის გაზომვა ყოველ ნახევარ წელიწადშია საჭირო. გაზომვა არა თვალდათვალ ან პრიმიტიულად, არამედ სპეციალურ მოწყობილობაზე ფეხშიშველი, ზურგით შტატივზე აკრული. თავი ოდნავ წინ წამოწეული. აქ წარმოგიდგენთ გრაფიკს, რომელზეც ნაჩვენებია ნორმის ვარიანტები გოგონებისა და ბიჭებისათვის. მთავარია, ხაზი ნარნარი იყოს და არა ტეხილი.

დიდებსაც გვაქვს ჩვენი ზრდის ნორმა. მამაკაცებისათვის საშუალოა 175სმ (შესაძლოა გადახრა 162-188), ქალებისთვის 150-174სმ.

### მთავარია, ნორმის ფარგლებში ჩატევა

საბაბი შეშფოთებისათვის ორია. ერთი, როცა ბავშვი მკვეთრად ჩამორჩება ზრდაში ნორმას და მეორე, როცა ზრდა ძლიერ უსწრებს ნორმას. ასეთ შემთხვევაში მშობელმა უნდა მიმართოს პედიატრს ან ენდოკრინოლოგს.

დიდი ამბავი, – იტყვის მავანი, – კალათბურთელად ხომ არ ვზრდი? იყოს მინიატურული. მაგრამ ზრდის ტემპი პირდაპირ კავშირია ჯანმრთელობასთან. თუ ტემპი მკვეთრადაა დარღვეული, ე.ი. ჯანმრთელობის თვალსაზრისით ყველაფერი რიგზე არ არის. ეს ცხადია. მეორეს მხრივ ავადმყოფობა, ჰორმონალური დისბალანსი, სტრესები ხშირად იწვევს დარღვევებს. ზოგჯერ საკმარისია ბავშვი რომელიმე ქრონიკული დაავადებისაგან განიკურნოს, რომ ზრდის პრობლემა მოიხსნება.

---

# ფსიქოლოგის ნაბიჯი

**ბავშვთან ალარაფერი გაგდით? ეცადეთ პრობლემის ნამდვილ არსს ჩასწვდეთ და დაამყაროთ მასთან კონტაქტი**

ყველა მშობელს სურს მისი შვილები კეთილები, წესიერები, შრომისმოყვარენი გაიზარდონ და ჰგონიათ, ყველაფერს აკეთებენ ამისათვის. მაგრამ, სამწუხაროდ, ხშირია შემთხვევა, როცა ბავშვის საქციელი, ხასიათი, შეხედულებანი სრულიადაც არ არის ისეთი, როგორსაც ველოდით. და მშობლები იწყებენ ბრძოლას შვილებთან (როგორც ჰგონიათ ბავშვისვე კეთილდღეობისათვის), რათა „მოაქციონ" ისინი სწორ გზაზე. როგორც წესი, ამ ბრძოლაში ორივე მხარე წაგებული რჩება და მათ შორის გაუცხოების ცივი კედელი აღიმართება ხოლმე.

ფსიქოლოგთა დაკვირვებით ამ პრობლემებს წარმოშობს მშობლების მოუნდომებლობა გაუგონ ბავშვს, შეხედონ საკუთარ თავს მათი თვალებით. ბავშვებთან მათი ზრდის პროცესში სწორი ურთიერთობის დამყარების უუნარობა.

არაიშვიათად ბავშვის საქციელის შესაცვლელად საჭიროა თვითონ მშობლების ქცევის და შეხედულების შეცვლა. თუმცა ამის გაგება და მით უფრო გაკეთება, ადვილი არ არის, რადგან საჭიროა საკუთარი სტერეოტიპების ინერციის დაძლევა.

გთავაზობთ რამდენიმე ტიპიურ ცხოვრებისეულ სიტუაციას და გამოცდილი ფსიქოლოგების რჩევებს – როგორ უნდა გადავდგათ ნაბიჯი ბავშვისაკენ.

### პატარა კუმირი

მაშიკო სამწლინახევრისაა. ოჯახში ერთადერთი ნანატრი ბავშვია და მის აღზრდაში შვიდი უფროსი მონაწილეობს.

იგი უფროსივით გამოიყურება და იქცევა. თანახმაა მარტო დარჩეს ფსიქოლოგთან. ფსიქოლოგი გოგონას სურათებს უჩვენებს და ეკითხება, რა ხატია სურათზე. ბავშვი უპასუხებს: ეს ძაღლია, ეს ხე, ეს – შეშა. მაგრამ შეკითხვაზე: რა უნდა ძაღლს შეშაზე? ვერ უპასუხებს, სურათს უკან აბრუნებს, მეორეს იღებს, ვერც მეორეზე უპასუხებს. ვერც ერთხელ ვერ ხსნის ცხოველთა საქციელის მიზეზს, ე.ი. ბავშვს არა აქვს ანალიზის, განზოგადების, დასკვნის გამოტანის უნარი. მალე მოიწყენს. იგი მიჩვეულია ქებას (ჩანს, შინ ყველა აქებს) ფსიქოლოგმა კი არასაქებარი სიტუაცია შექმნა. ბავშვი დედას ითხოვს.

როცა ექიმი დედას ესაუბრება, გოგონა ხელს უშლის, დედას რაღაცის დახატვას სთხოვს. დედა ემორჩილება.

დედასთან საუბრისას ივვეთება პრობლემის არსი. ორი წლის მაშიკო მძიმედ გამხდარა ავად. ცხადია, მთელი ოჯახი ცდილობდა მისი ყოველი კაპრიზის შესრულებას. ავადმყოფი, საბედნიეროდ გამოჯანმრთელდა, მაგრამ ჭირვეული და მბრძანებელი პრინცესას სტატუსი შეინარჩუნა. დედა ველარ ერევა ბავშვს, თუკი რაიმეს არ შეუსრულებს, გოგონა ლანძღავს და რაც უნდა მაინც იმას აკეთებს.

რადგან მაშიკო ხელს უშლიდა დედამისთან საუბარს, ექიმმა თხოვა მას, ქაღალდი დერეფანში მდგარ ურნაში ჩაეგდო.

ბავშვმა დავალება ვერ შეასრულა. დედა წამოხტა მის მისახმარებლად, მაგრამ ექიმმა დედა შეაჩერა და მაშიკოს უთხრა:

– შენ დიდი გოგო ხარ, თვითონაც შეძლებ. დერეფანში გადი და მარჯვნივ წადი. მაჩვენე შენი მარჯვენა? ყოჩაღ, აბა, წადი, ურნისაკენ.

როცა მაშიკო დაბრუნდა, ექიმის ოთახში საუბარი დასასრულს უახლოვდებოდა. ფსიქოლოგმა ურჩია დედას ოჯახის ყველა წევრისათვის აეხსნა, არ შეესრულებინათ ბავშვის მოთხოვნა, თუკი ის სხვათა ინტერესს ეწინააღმდეგებოდა, თან მოთმინებით აეხსნათ უარის მიზეზი. ბავშვს ისე უნდა მოექცნენ, როგორც მოზრდილს, ასწავლონ მას სხვათა სურვილების გათვალისწინება. ცხადია, არ იქნება იოლი, რადგან გოგონა ისეა აღზრდილი, თავი სამყაროს ჭიპი ჰგონია. მაგრამ თუ უფროსებს ეყოფათ მოთმინება და ნებისყოფა, დროთა განმავლობაში მაშიკო აუცილებლად შეიცვლება.

### „მინდა პატარა ვიყო"

კიდევ ერთი ტიპიური სიტუაცია. ოჯახში ორი ბავშვია. ტატა ორწლინახევრისაა, აკა – ცხრა თვის. მშობლებს მიაჩნდათ, რომ ერთმანეთს მიყოლებული ბავშვების აღზრდა უფრო ადვილი იქნებოდა, მაგრამ რეალობა სხვაგვარი აღმოჩნდა. დედამ ფსიქოლოგს მიმართა: ტატას ბაღში სიარული აღარ უნდა, ტირის, არც ჭამს, როცა შინ რჩება, ითხოვს ყურადღების ცენტრში ყოფნას, დედას უფლებას არ აძლევს აკას მოუახლოვდეს (ცემს პატარას) და იძახის: „მინდა პატარა ვიყო!" ყველაფერს ჯიბრზე აკეთებს, თუ აცმევენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

## როგორ არ უნდა გავხდეთ ფოტომოდელი

პრობლემის თავიდან ასაცილებლად სხვა ფაქტორებიც საჭიროა: სრულფასოვანი ჯანსაღი კვება, ჯანსაღი ცხოვრების წესი, კარგი ძილი. სამწუხაროდ, არ არსებობს ერთი რაიმე ჯადო საჭმელი, ან რაიმე ერთი ვარჯიში, რომელიც გოლიათად გაქცევთ. აქ რჩევა ტრადიციულია. მშვიდი ოჯახური ატმოსფერო, სტრესების არქონა, ფიზიკური აქტივობა.

ზრდის ჰორმონის სეკრეცია დაკავშირებულია ცენტრალური ნერვული სისტემის ფუნქციასთან.

გოგონები, რომლებიც შიმშილობენ, რათა ფოტომოდელივით გამხდარი და მაღლები იყვნენ, ამაოდ ირჯებიან. ამ გზით სიგამხდრეს შეიძლება მიაღწიო, სიმაღლეში ზრდას – ვერა.







## ფორმულები მომავლისათვის

ზრდას სხვა სპეციფიკური პრობლემებიც ახლავს. ბევრია დამოკიდებული დედის ორსულობის პერიოდზე. პლაცენტის ფუნქციის დარღვევები ნაყოფის ზრდის შეფერხებას უწყობს ხელს. მაგრამ უკვე დაბადებული ბავშვის წონა და ზომა არ განაპირობებს მომავალში მის სიმაღლეს. 3კგ-მდე დაბადებულმა ჩვილმა შეიძლება ბევრად გაუსწროს სიმაღლეში 4,5 კილოიან მის თანატოლს.

სხვათაშორის, საშუალო სიმაღლე შეიძლება ასე გავიანგარიშოთ:

ბიჭებისათვის: 1/2 X /მამის სიმაღლე + დედის სიმაღლე + 12/+3სმ.

გოგონებისათვის: 1/2 X /მამის სიმაღლე + დედის სიმაღლე – 12/+3სმ.

## რა შეუძლია ზრდის ჰორმონს?

ზრდის სწორი დინამიკისათვის მნიშვნელოვანია მკვეთრი ჰორმონალური რეგულაცია. ზრდის ჰორმონზე გავლენის მოხდენა შეუძლია ასევე ენდოკრინული ჯირკვლის ფუნქციის უკმარისობას. აქ საჭიროა სპეციალისტის დახმარება.

ამიტომ უნდა მიმართოთ ექიმს, როგორც კი შეატყობთ ნორმიდან გადახრას, ვიდრე ზონები არ დახურულა – გოგონებისათვის 16 წლამდე, ბიჭებისათვის 18 წლამდე.

მეცნიერებს დღეს აქვთ საშუალება შექმნან ზრდის ჰორმონის პრეპარატები. მათი ორგანიზმში შეყვანა იწვევს ჩვეულებრივი ჩამორჩენის აღმოფხვრას და ისეთ პათოლოგიასაც კი შველის, როგორიც ლილიპუტობაა. თუმცა ხელოვნურად შექმნილი პრეპარატი ძალზე ძვირია, მაგრამ ბავშვებს დიაგნოზით „ჰიპოფიზარული ნანიზმი" მკურნალობა უფასოდ უტარდება. ისინი ვინც წელიწადში 1-2 სმ-ით იზრდებოდნენ, მკურნალობის შემდეგ 10-15 სმ-ით იზრდებიან.

სასწაულია? დიახ.

თანამედროვე მეთოდები გენეტიკასაც ჯაბნიან. ტანმორჩილი მშობლების შვილი შეიძლება მაღალი გაიზარდოს.

# კონსულტაცია ბავშვისაკენ

ტანისამოსს იგლეჯს, თვითონ არ ჭამს: „შენ მაჭამე!" – თხოვს დედას. პატარას სათამაშოსართმევს. დედას მოთმინება ღალატობს და ტატას სჯის. გოგო უფრო ჯიუტი ხდება.

ფსიქოლოგთან ტატა ჯერ ხმას არ იღებს. ფსიქოლოგი დედას ეუბნება: „რა კარგი გოგო გყავთ. ალბათ, ყველაფერში გეხმარებათ." მერე გოგონას მიმართავს. შენ ალბათ დედას ეხმარები პატარის გაზრდაში. აკას ზღაპრებს უამბობ-ხოლმე?

გოგონა თავს იქნევს, კიო.

ო, რა კარგი გოგო ყოფილხარ!

დღეს წვნიანს თვითონ შეჭამ და აკასაც აჩვენებ, როგორ უნდა ჭამოს, ხომ?

ბავშვი თითქოს შეცვალესო, ექიმს აჩვენებს: აი, პური ამ ხელში, კოვზი – მეორეში, კიჭებით ასე უნდა დაღეჭოს.

ფსიქოლოგი კვლავ აქებს გოგონას და დედას ეუბნება: ტატა თვითონ გვიჩვენებს მისი აღზრდის „საიდუმლოს". აუცილებლად უნდა ჩართოთ პატარის მოვლის პროცესში. დაე, იგრძნოს პასუხისმგებლობა, „ასწავლოს" პატარას, რაც თვითონ იცის. მშობლებმა უფრო ხშირად უნდა შეაქოთ და დაეხმაროთ პრობლემის გადაწყვეტაში.

ხომ ფაქტია, რომ პატარა ძმის დაბადების შემდეგ გოგონას მოაკლდა ყურადღება და ალერსი. ესაა მისი ჭირვეულობის ნამდვილი მიზეზი. თუ დედა ბავშვებს შორის ურთიერთობის სისტემას შეცვლის, ამით ბევრს მოიგებს.

სამწუხაროდ, დედები არ აძლევენ პატარებს თვითმომსახურების საშუალებას. მიაჩნიათ, რომ ამას მეტი დრო და ნერვები სჭირდება, მაგრამ ბავშვის განვითარება მხოლოდ პირადად მისი საქმიანობის პროცესში ხდება. მხოლოდ ამ დროს ხდება მისი ცოდნის, ჩვევების, იმ თვისებათა ჩამოყალიბება, რაც მისი შემდგომი ცხოვრებისათვის აუცილებელია.

## ბავშვების შედარება არ შეიძლება

ორი ბავშვის დედა ერთად მივიდა ფსიქოლოგთან. მისაღებში ერთმანეთს გაესაუბრნენ. შემდეგ ფსიქოლოგმა ბავშვები მიიწვია თავისთან. როცა გასინჯვა დამთავრდა, აღელვებულმა კოკას დედამ ჰკითხა ექიმს: „ჩემი შვილი განვითარებით ხომ ნამდვილად ჩამორჩება სოსოს?"

ამ შეცდომას მშობლები ხშირად უშვებენ. ბავშვები ხომ ერთმანეთისაგან განსხვავებულნი არიან. არა უკეთესი და უარესი, არამედ სხვადასხვა. სხვადასხვა თანდაყოლილი ტემპერამენტის მქონენი. ზოგი სწრაფია, აქტიური, სხვა ჩაკეტილი და ჯიუტი. ისინი სხვადასხვა ოჯახებში, განსხვავებულ პირობებში იზრდებიან. როცა მშობელი თავის შვილს სხვისას ადარებს და ფიქრობს, ჩემი უარესიაო, ეს დედისათვის პრობლემაა, ბავშვისათვის კი – ნამდვილი ტრაგედია.

ამ შემთხვევაშიც კოკას დედა ბრაზობდა და ტუქსავდა შვილს, რადგან ის მიცემულ დავალებას ისე სწრაფად ვერ ასრულებდა, როგორც სოსო. ბავშვიც თავის მხრივ ბრაზობდა და ტიროდა, რადგან ვერ ხვდებოდა, რაში იყო დამნაშავე. ის ხომ ისე ვერ განავითარეს, როგორც სოსო.

ბავშვს დაეწყო თვალების უნებლიე ხამხამი (ნერვული ტიკი). ცუდად ეძინა, უხეშობდა, ჩხუბობდა. ამ შემთხვევაში ბავშვის დასჯა სიტუაციას ართულებს. კოკას ექიმმა დაუდგინა ნერვული აშლილობის დასაწყისი სტადია და დაუნიშნა მკურნალობა. ავადმყოფობა უმიზეზოდ არ ჩნდება. კოკას დედის პრეტენზიამ, კოკა ისეთივე ყოფილიყო, როგორც სოსო, ბავშვში გამოიწვია დაურწმუნებლობა თავის შესაძლებლობებში. უნდა კი, რომ დედას ასიამოვნოს, მაგრამ არ იცის, როგორ. სხვათაშორის, არც დედამ იცის, რა უნდა ჰქნას ამ შემთხვევაში.

ექიმმა ურჩია წაეკითხა ბავშვისთვის ზღაპრები, სეირნობის დროს შვილის ყურადღება გაემახვილებინა ბუნების მოვლენებზე. „აი, ნახე ხეებზე კვირტები დასკდა, ყვავილები იშლება, ფრინველები გალობენ, იმიტომ, რომ გაზაფხულია. შემდეგ მოვა ზაფხული, ხილი დამწიფდება" და ა.შ. და ა.შ. ბავშვი თვითონვე დასვამს შეკითხვებს, მიღებული პასუხები დაეხმარება თვითგანვითარებაში. მთავარია, შეუქმნათ ბავშვს სიტუაცია, რომელშიც წარმატებას აღწევს. ეს დადებითი ემოციების წყაროა.

აი, შედარება სხვა ბავშვთან კატეგორიულად არ შეიძლება, ისევე როგორც არ შეიძლება მოვთხოვოთ ისეთი რამის შესრულება, რაც მას არ შეუძლია.

*მოამზადა* ნაიია გვასალია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბესიკ კეკელიძე

# გაყიდული ნატვრა

*ვუძღვნი ბაბუის გიორგი კეკელიძის ხსოვნას*

გიორგის დილაადრიანად გამოეღვიძა, საწოლზე წამოჯდა და დახურული დარაბის ღრიჭოებში შემოპარულ მზის სხივებს, რომელთაც ჩაბნელებულ ოთახში ოქროსფერი ძაფები გაეჭიმათ, ნამძინარევი თვალი გაუშტერა. იმ დილით დაბადებული ვარდობისთვის მზე ისე გაზრდილიყო, მოღონიერებულიყო, რომ ქუჩაში ველარ ეტეოდა, ყველას სახლში ჩაღვრას ლამობდა და ყოველი სულიერის გაზაფხულით ავსება სურდა. სიჩუმეს აფუსფუსებული ბელურების ჟივილ-ხივილი და მემაწვნე ვაჟის ზარის, რომელსაც ვირი „ნივაზე" გაეცვალა, ომახიანი შეძახილი: აბა, ჰე! – არღვევდა. შორიდან ნაგვის მანქანის ზარის რეკვა ისმოდა. მეუღლეს ეძინა. გიორგი წამოდგა, ხალათი გადაიცვა. სამზარეულოსკენ ჩუმი ნაბიჯით გასწია. საათს დახედა, რვის ნახევარი იყო.

– ჯერ ეძინება, – ჩაილაპარაკა. სიგარეტს მოუკიდა და ჩაიდანი გაზქურაზე დადგა. სკამი მოიწია, ჩამოჯდა. სიზმარი თავს დასტრიალებდა, შემდეგ მოგონებად გადაექცა და სადღაც შორს, ბავშვობაში გაასეირნა. ჩაიდანის კივილმა რეალობაში დააბრუნა. წამოდგა, ყავა დაისხა და ადგილს დაუბრუნდა.

– გიო, რა ადრე ამდგარხარ? – თავს წამოადგა მეუღლე.

– სიზმარმა გამაღვიძა.

– რა ნახე? – გვერდით ჩამოუჯდა ლელა.

– ბაბუაჩემი, გიორგი დამესიზმრა.

– მერე?

– ვითომ პატარა ვიყავი. ჩოხა-ახალუხი მომიტანა ცხონებულმა, ჩამაცვა. აქეთ-იქით მატრიალა, შენ გენაცვალეო, მეძახდა. ბედნიერი იყო. მიხუტა და მეფერა ბევრი.

– რას უნდა ნიშნავდეს? – გაიკვირვა ლელამ.

– არაფერს. საცოდავს მთელი ცხოვრება უნდოდა, რომ ჩოხა-ახალუხში ვენახე, მაგრამ ჩემმა მშობლებმა ნატვრა ვერ აუსრულეს.

– არაფერია, – ჩაილაპარაკა დიასახლისმა და ყავის დასასხმელად წამოდგა.

– ერთი, მარიკასთან დარეკე, ნიკუშას მინდა დაველაპარაკო, მერე მცხეთაში მივდივარ, ბაბუაჩემის საფლავზე სანთელს დავანთებ.

– ჯერ ეძინება.

– რას ამბობ, ბაბუ ენაცვალოს, მზესთან ერთად იღვიძებს, – ჩაეღიმა გიორგის.

ლელამ ნომერი აკრიფა:

– მარიკა, გაიღვიძე? როგორ ხართ, დედიკო? ნიკუშას დაუძახე, – გადასცა ყურმილი მეუღლეს.

– ბაბუ, დილა მშვიდობისა. კაკას? მოგიტან. კარგი, წაგიყვან, – პატარა ბავშვივით ენას იჩლექდა გიორგი, – ბაბუ, დედიკოს მიაწოდე ყურმილი. მარიკა, მამა, მოდი, ექვს მაისს, გიორგობას, მოვნათლოთ ნიკუშა. მე დაგაფინანსებთ, მამიკო. თქვენ ნათლიები გამიფრთხილეთ. დანარჩენი მე ვიცი. აბა, დროებით, გკოცნი, – დაკიდა ყურმილი. ყავა სულმოუთქმელად დალია და საძინებელი ოთახისკენ წავიდა. სახელდახელოდ ჩაიცვა და ისევ სამზარეულოში შებრუნდა:

– ლელა, სამსახურში დარეკე და გააფრთხილე, რომ ერთი საათით დამაგვიანდება.

– საღამოს ერთად წავიდეთ. ბავშვებსაც გავასეირნებთ.

– არა, საღამოს ბევრი საქმე მაქვს, – ჩაილაპარაკა და ნაჩქარევი ნაბიჯით სახლიდან გავიდა. ეზოში ჩაირბინა. მანქანა გაახურა და გეზი მცხეთისკენ აიღო. გზად „ხვანჭკარა" იყიდა. მცხეთაში ჩასული, სვეტიცხოველში შევიდა. მაცხოვარს სანთელი დაუნთო. ერთი ცალი სანთელი წამოაყოლა და შიო-მღვიმის გზას მცხეთის სასაფლაოსკენ აუყვა.

მანქანა საფლავთან გააჩერა. ღვინის ბოთლს პლასტმასის ჭიქა ჩამოაცვა, სანთელი აიღო და გადავიდა. სკამზე ჩამოჯდა. საფლავის ქვიდან ბაბუა უღიმოდა. ეს ის სურათი იყო, რომელზეც ორივე გიორგი, ერთი ასაკოვანი, მეორე კი სულ ერთი ციცქნა, ერთად იყვნენ გადაღებული, მაგრამ უსისხლხორცო სიკვდილმა გახია ფოტო და ორ უზარმაზარ სიყვარულს ერთმანეთი წაართვა. დიდი გიორგი უფლის გზას გაუყენა, პატარას კი პანღური უთავაზა და ბავშვობიდან გამოაძევა.

გიორგი სურათთან მივიდა, ხელი გადაუსვა. ქვა ზედმეტად ცივი ეჩვენა. შემდეგ სანთელი აანთო და ახლად თავამოყოფილი სარეველების ამოძირკვა დაიწყო.

– შენი ვინ იყო გიორგი?

შემოესმა უკნიდან. ხმისკენ მიიხედა. მის წინ მოხუცი იდგა. ორივე ხელით სახრე ჩაეჭიდა, ნიკაპი ზედ ჩამოედო და ცნობისმოყვარე თვალით შესცქეროდა. შორიახლოს ნახირი ძოვდა.

– ჩემი ბაბუა იყო, – წამოდგა გიორგი, მიწიანი ხელები დაიფერთხა, უცნობთან მივიდა და ხელი ჩამოართვა, – გიორგი.

– მე, პაპა ალექსი ვარ, – გაეცნო მოხუცი მენახირე, – კარგი კაცი იყო პაპაშენი. მთელი მცხეთის რაიონი ხელისგულზე ატარებდა ცხონებულს.

– პაპა ალექსი, მოდით, თითო ჭიქა წავუქციოთ, – მიიპატიჟა გიორგიმ.

მოხუცმა ზურგჩანთა მოიხსნა. ქაღალდში გახვეული ხმელი მჭადი და ყველის რამდენიმე ნაჭერი ამოიღო და სკამზე სათუთად დადო.

გიორგიმ ღვინის ბოთლს საცობი ამოაძრო და ალექსის ჩამოუსხა.

– პაპაშენის ხსოვნა იყოს, უფალმა გაანათლოს მისი სული, – წარმოთქვა მოხუცმა. ნახევარი შესვა, დანარჩენი კი საფლავზე გადაღვარა. შემდეგ მჭადს გვერდი ჩამოტეხა, ზედ ყველის ნაჭერი დაადო და გემრიელად ჩაკბიჩა.

გიორგიმ ჭიქა შეივსო, მჭადი მოიტეხა და ღვინოში ჩააწო:

– ხსოვნა იყოს, უფალმა გაანათლოს, – სასმისი ბოლომდე გამოცალა. ღვინიანი მჭადის ნაჭერი მიაყოლა, – კარგად იცნობდით ბაბუს? – ჰკითხა ალექსის.

– ფრონტზე ერთად წაგვიყვანეს. ორმოცდა სამში მძიმედ დაიჭრა, ძლივს გადაარჩინეს, შინ დაბრუნებული მცხეთის რაიონის სატყეო მეურნეობის დირექტორად დანიშნეს. მაგის სულს ვენაცვალე, – თვალები მოუწყლიანდა მოხუცს, – კაბინეტში ჩვენი რაიონიდან ფრონტზე წასული ბიჭების სია ედო. გვიანი შემოდგომიდან დაწყებული, გაზაფხულის ჩათვლით, ორ კვირაში ერთხელ, ყველას ოჯახს შეშით დატვირთულ მანქანას უგზავნიდა და ჭიშკართან უცლიდა. იმ საშინელ დროს მეომრების ოჯახები თბილად მაინც იყვნენ. მთელი რაიონი ლოცავდა ცხონებულს. სამსახურიდან კაცს არ გააგდებდა. სულ უვარგისიც რომ ყოფილიყო. იტყოდა, როგორ გავუშვა, როცა მაგის უკან ოჯახი დგასო. დაიბარებდა, დაარიგებდა. – ალექსიმ ჭიქა შეივსო. – საქმე? რამდენი კარგი გააკეთა. აქ, ქვევით თეატრონს რომ ეძახიან, ბაყაყების ბუდე იყო. ცხონებულმა ჭაობი ამოაშრო, ხეები დარგო, გააკოხტავა იქაურობა. ჯვარი? ჯვრის მოხრიოკებული ფერდობები ააყვავა. ეჰ, ვინ მოთვლის რამდენი კარგი გაუკეთებია პაპაშენს. მოდი, მაგის თამადობით ყველა კაცურ კაცს გაუმარჯოს, – მოხუცმა შესვა, ღვინო ჩამოასხა და გიორგის გაუწოდა.

– ჭეშმარიტად, გაუმარჯოს, – სიამაყით წარმოთქვა შვილიშვილმა და ბაბუის გაღიმებულ სურათს შეხედა.

– წავედი, შვილო, საქონელს მივხედავ. გაუფრთხილდით მაგ კაცის ხსოვნას, დიდი კაცი იყო პაპაშენი, – ზურგჩანთა მოიკიდა. სახრე დაიხელა და მძიმე ნაბიჯით ნახირისკენ წავიდა.

– ნახვამდის, – დაემშვიდობა გიორგი. სკამზე ჩამოჯდა. სანთლის ჩაწვას დაელოდა. შემდეგ ნასუფრალი აალაგა. გზის იქით, ნაგვის გროვას მიაყარა და მანქანაში ჩაჯდა.

რამდენიმე წუთში თბილისში ჩავიდა. კოლმეურნეობის მოედანზე, „პირიმზის" წინ გაჩერდა. მეოთხე სართულზე, ოქროს ბირჟაზე წმინდა ნინოს ჯვარი და ოქროს წვრილი ჯაჭვი შეიძინა. მანქანაში დაბრუნდა და რუსთაველის პროსპექტზე სამხატვრო სალონისკენ გაეშურა.

– პატარა ზომის ჩოხები გაქვთ?

– რამდენი წლისაა ბიჭი? – იკითხა გამყიდველმა.

– ორის, – ჩაეღიმა გიორგის.

– აი, ეს აიღეთ, – შვინდისფერი ჩოხისკენ ხელი გაიშვირა დახლს იქით მდგომმა მამაკაცმა.

გიორგიმ ჩამოახსნევინა. დაკვირვებით დაათვალიერა. კმაყოფილებას ვერ მალავდა:

– ქამარ-ხანჯალი, ჩექმები, ქუდი არ მოყვება?

– ქამარ-ხანჯალი გვერდით სექციაში, აზიურები თავისი ლეკვერთხებით და ქუდები პირდაპირ ეზოშია. იქ კერავენ და შეარჩევთ.

გიორგიმ გამყიდველს ანგარიში გაუსწორა და ხანჯლის საყიდლად გვერდით სექციასთან მივიდა. დიდხანს არჩია პატარა, კოხტა ორნამენტებიანი ხანჯალი. სალონიდან ნაჩქარევად გამოვიდა, ყველაფერი მანქანაში დააბინავა და რუსთაველის პროსპექტი გადაირბინა. „ბორჯომის" მაღაზიის ეზოში სამკერვალო მონახა. ყველაზე პატარა ზომის აზიური ჩექმები, ლეკვერთხები და თეთრი ბანჯგვლიანი ქუდი შეიძინა. სიხარულისგან გულს ბაგა-ბუგი გაჰქონდა. მანქანაში ჩაჯდა და შვილიშვილის სახლისკენ გააქროლა. ერთი სული ჰქონდა ნიკუშა ჩოხაში გამოწყობილი ენახა.

სულმოუთქმელად აირბინა კიბეზე. კარი ქალიშვილმა გაუღო, ხელში პატარა ბიჭი ეკავა.

– ბაბუ, კაკა მომიტანე? – წაიტიტინა ნიკუშამ.

– ეს რა არის? – გაიკვირა მარიკამ.

– ეს ჩოხა-ახალუხია, ჩემი შვილიშვილი ჩოხაში უნდა მოინათლოს, – შეაბიჯა ბინაში გიორგიმ. სახე გაბრწყინებოდა, – მოდი, მოვაზომოთ.

მამა-შვილმა რის ვაი-ვაგლახით ჩააცვეს, თან სიცილით იგუდებოდნენ. უამრავი ყაწიმი ძლივს შეკრეს. ჩექმაში წინ ბამბები ჩაუდეს.

– მოკლედ, კაცია, ამას შემოვევლე, – დაახურა ქუდი შვილიშვილს.

ნიკუშამაც შეიფერა მისთვის უჩვეულო ტანსაცმელი. ყველაზე ძალიან ხანჯლით და მასრებით იყო მოხიბლული.

– მამა, ესე იგი, ექვსში მოვნათლოთ?

– კი, გიორგობას, სვეტიცხოველში.

– რამდენ კაცზე გავშალოთ სუფრა?

– მამიკო, პატარა პურ-მარილი გავაკეთოთ, ნათლიები და ახლობლები დავპატიჟოთ. შენ და დედაშენმა სია მომიმზადეთ, მე და ვანო ბაზარს მივხედავთ. მინდა, რომ ყველაფერი ხუთიანზე ჩავატაროთ. მცხეთაში ჩასვლა-ჩამოსვლა პრობლემა არ არის, ყველას მანქანა ჰყავს. მერე დავსხდეთ და კარგად

ეროვნული ბიბლიოთეკა

მანანა ზარიძე



ავტორის ნახატი

# წვიმა და ასე შემდეგ

## მინიატურა

წამოვიდა წვიმა. აგუბდა ყანები. უკვე ტალახში ვკრეფდით მორჩენილ კარტოფილს. კვლებში წყალი ჩადგა. დამხმარეებს ვეხვეწებოდი, თქვენ მაინც ნუ-მეთქი, წადით, თივის ზვინს შეაფარეთ თავი!

არა და არა.

როგორც იქნა, მოვათავეთ...

სველი ნამჯით გავიწმინდეთ ხელები და შევეყუჟეთ ბულულს.

ვისხედით და უწადინოდ გავყურებდით წყლის ფარდას.

— დროზე წავსულიყავით შინ, — ვთქვი დანანებით.

მამას არაფერი უთქვამს.

მასაც. ეზარებოდა ლაპარაკი, ჩვენ სტუმრებსაც.

გავყურებდით წვიმის ფარდას და ფარდისმიღმა უცხოდ დახატულ სიურეალისტურ სურათს. გადადღაბნილიყო კონტურები მთებისა, მდინარისა. ულამაზო სახლები უცხოდ გამოლამაზებულიყო.

ხმაურიანი სიჩუმე იდგა, გულისწამლები სიჩუმე.

სხეული ისვენებდა, სხეულსაც ვუგდებდი ყურს – ცოტა ტეხდა, ცოტა დაბუჟებულიყო, მაგრამ ისვენებდა სასიამოვნოდ – თუმცაღა ნახევრად სველები ვიყავით, თივაც სველი იყო და უსიამოდ გვეკრობოდა თმებზე, ხელებზე. ვისხედით გაყუჩულები და შევცქეროდით სიურეალისტურ ნახატს.

უცებ ვიფიქრე – ნეტავ რას ფიქრობენ ესენი?

— რას ფიქრობ, მამა?

მამას ეზარებოდა ლაპარაკი.

— მითხარი, რას ფიქრობ, გეხვეწები?

— არაფერს.

— შენ რას ფიქრობ? – მივუბრუნდი ჩვენს სტუმარს.

ხათრი არ გამიტეხა, თორემ ეზარებოდა მასაც რამის თქმა.

— რა ვიცი, სადარდებლის მეტი რა მაქვს.

არა, ტყუილი იყო, გუმანით ვგრძნობდი, ის ამ წუთში არ დარდობდა; იჯდა და უბრალოდ შეჰყურებდა წყლის ფარდის მიღმა გაუცხოებულ პეიზაჟს.

ბავშვებიც ასე იყვნენ.

რა კარგი დასახატები ვიქნებით? – დალბობილი თმებით, უაზრო თვალებით – პირველყოფილი რომ იხატება, ისეთით. გადაღლაბნილ ყვითელ ფერში, თივის ზვინის ჩარჩოში მოთავსებულნი გაუცხოებული პეიზაჟის ფონზე. ჩვენც სიურეალისტური ნახატი ვიყავით.

მომინდა დახატვა, ძალიან.

მერე იმის დახატვაც მომინდა, რასაც ვუყურებდი – ფარდისმიღმა პეიზაჟის.

მერე იმის დახატვაც, რასაც თითოეული ხედავდა – იმის თვალითაც, ამისიც...

როგორც ყოველთვის, აქაც უგემური ვიყავი.

ვერ შევიმჩნოვე სიმყუდროვე, ხმაურიანი სიჩუმე, უცხო სილამაზით დატკბობა.

ვერ გავყუჩდი სხვებივით.

ვერ გავუნაწილდი ბუნებას.

და გავაფუჭე – რა? სახელი ვერ დავარქვი – ბუნებრიობა, სიმარტივე, სიწრფელე?.. რაღაც დიდი და კარგი კი ვერ შევიმჩნოვე და!..

---

ვიქეიფოთ, ბოლოს და ბოლოს, ერთხელ ინათლება ჩემი შვილიშვილი. ახლა წავედი სამსახურში. საღამოს მე და დედაშენი მოვალთ და სია ჩამოვწეროთ, – გიორგი ქალიშვილს მოეფერა, ნიკუშას აკოცა და უზომოდ ბედნიერი სახლიდან გავიდა.

***

სვეტიცხოვლის ეზოში უამრავი ხალხი ირეოდა. ტაძრის დიდებულებასა და ბრწყინვალებას, ერთადერთი ჩოხა-ახალუხში გამოწყობილი ნიკუშა ესადაგებოდა და ესისხლხორცებოდა.

გიორგი თვალს ვერ აშორებდა აბიბინებულ ბალახზე მორბენალ შვილიშვილს.

— „რა ცოტა უნდა ადამიანს ბედნიერებისთვის", – გაიფიქრა და პატარა ბიჭი ჩაიკრა, მოეფერა.

წირვის დამთავრების შემდეგ. მღვდელმა ყველანი ტაძარში შეიყვანა.

— გახადეთ ჩოხა-ახალუხი, – მიმართა ნათლიებს.

ნიკუშას ქამარ-ხანჯალი შეხსნეს. ძლივსძლივობით გაუხსნეს ყაწიმები. გახადეს ჩოხა, შემდეგ ახალუხიც. ლეკვერთხები გაანთავისუფლეს და აზიური ჩექმებიც გააძრეს.

ატირდა ბიჭი. კი არ ეშინოდა. როგორ თუ. გამაშიშვლეთო. გაბრაზებული კუშტი მზერით შეჰყურებდა მოძღვარს.

მოინათლა ნიკუშა. გიორგი მარიკას მიეხმარა და ისევ გამოაწყო ჩოხა-ახალუხში შვილიშვილი. რომელსაც გულს ხუთი ჯვარი უმშვენებდა. ოთხი ნათლიების და ერთიც – ბაბუას ნაჩუქარი.

— მამა. შენ და ვანომ სტუმრებს მიმიხედეთ. თბილისში წაიყვანეთ. დასხედით. თამადად ბუხუნა დანიშნეთ. მე და ნიკუშა ერთ ადგილას გავივლით და მალე შემოგიერთდებით.

გიორგიმ პატარა ქრისტიანი ხელში აიყვანა და მანქანისკენ წავიდა. მცხეთის სახაფლაოზე ავიდნენ.

— ბაბუ, აი მუუ, – ნიკუშამ თითი გაიშვირა ალექსის ნახირისკენ, რომელიც მოშორებით მდგარ ბორცვს შეფენოდა.

— კი, ბაბუ, ბევრი ძროხაა, – აკოცა შვილიშვილს და მანქანიდან გადმოიყვანა. საფლავის წინ სკამზე ჩამოჯდა, ბავშვი კალთაში ჩაისვა და ბაბუის სურათს კმაყოფილი მიაჩერდა. შემდეგ ბიჭი ჩამოსვა, ხელი ჩასჭიდა და აქეთ-იქით გაატარა. მიატრიალა, მოატრიალა, თითქოს ბაბუას უჩვენებდა, ნახე, ვინ მოგიყვანეო, მერე წაიჩურჩულა. – ხომ შეგისრულე ნატვრა.

— ბაბუ, კაკა მინდა.

— წავედით, დღეს შენი ყველა სურვილი ჩემთვის კანონია, – მანქანაში ჩაისვა ბიჭი.

გზად მაღაზიაში შეიარეს, კანფეტები შეიძინეს და ზოოპარკისკენ გაეშურნენ. ეზოში ფოტოგრაფთან მივიდა.

— ეს სკამი ხის ძირას რომ დავდგათ, შეიძლება? – იმ ხეზე მიუთითა. რომლის ძირშიც ბაბუასთან ერთად ჰქონდა სურათი გადაღებული.

— რაზეა. ჯიგარ. ლაპარაკი, – უპასუხა ფოტოგრაფმა და სკამის გადაადგილებაში მიეხმარა.

გიორგიმ ბავშვი კალთაში ჩაისვა. ზუსტად ისე ჩაიხუტა და იმ პოზაში გადაალებინა სურათი. როგორც თვითონ და ბაბუამისი იყვნენ ძველ ფოტოზე აღბეჭდილნი.

— როდის იქნება მზად?

— ზეგ გამოიარე. ჯიგარ.

ფული გადაუხადა და ნიკუშა ზოოპარკის დასათვალიერებლად წაიყვანა.

სახლში როცა მივიდნენ. სტუმრები გაქანებულ დროსტარებაში იყვნენ. თითქოს ვალი მოიხადა. თითქოს დიდი ტვირთი მოიხსნა. ისე ამოისუნთქა გიორგიმ. ბუხუნას განსხვავებული სიხოვა და უკვდავი ცვლის. პაპა-შვილიშვილობისა შესვა. შემდეგ მაგიდას მიუჯდა და სხვებთან ერთად ქეიფს შეუდგა.

***

თვე თვეს მისდევდა, დრო ისე გარბოდა, ისე იპარებოდა, როგორც პეშვში დაგროვილი წყალი – თითებს შუა. ზაფხული თავისი სააგარაკო პრობლემებით მიილია.

სექტემბრის თბილი საღამო იდგა. გიორგი სავარძელში გემრიელად მოკალათებულიყო და ტელევიზორში ფეხბურთს უყურებდა. ტელეფონის ზარი გაისმა:

— გისმენთ, ლევანს გაუმარჯოს. როგორ ხარ? დაისვენეთ კარგად? კი, ჩემებმაც. ჩემთვის ზაფხული ტანჯვაა, გზაზე ვარ გადებული. ხვალ? რამდენის ხდება? სამის? ნიკუშაზე ცოტათი უფროსია, ჩემი დეკემბერში, ბაბუ ენაცვალოს. გავიგე, მაკ-დონალდსში, სამ საათზე. აუცილებლად მოვიყვან, მაგრამ ჩვენ, ბაბუებმა არ ვიქეიფოთ? – გაეღიმა გიორგის, – კარგი, ძმაო, ხვალამდე, – დაკიდა ყურმილი. ქალიშვილის ტელეფონის ნომერი აკრიფა:

— მარიკა, მამიკო, როგორ ხართ? ჩემი ბიჭი რას შვრება? ხომ არ გაბრაზებთ? აკოცე ჩემს მაგივრად. მამა, ხვალ სამ საათზე ნიკუშა მაკდონალდსშია დაპატიჟებული. ჩოხა-ახალუხში გამომიწყვეთ, მე გამოვუვლი და საქეიფოდ წავიყვან. რაა? – გაფითრდა სახეზე გიორგი, – ჯინსები უყიდეთ? – ყურმილი დაახეთქა, სიგარეტს მოუკიდა და სკამზე ჩამოჯდა.

ხმაურზე ლელა შემოვიდა:

— მოხდა რამე? – გაკვირვებული შეჰყურებდა მეუღლეს.

— ბავშვს ჩოხა-ახალუხი გაუყიდეს და იმ ფულით ჯინსები შეუძინეს, – ხმა აუკანკალდა, თვალზე ცრემლი მოაწვა.

— დაწყნარდი. ხომ იცი. ახალგაზრდები არიან. იმათ თავისებურად ესმით, – დამშვიდება სცადა ლელამ.

— ნატვრა გამიყიდეს. სხვა კი არაფერი. – გიორგიმ სიგარეტი ჩააქრო. ხელი ჩაიქნია და ტელევიზორს მიუჯდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაია ორჯონიკიძე

## ტეზერი

ქართლის ლამაზი სოფელი,
მიყვარს მე ჩემი ტეზერი,
მშობლიური კერა ძვირფასი,
მისი ეზო და მესერი.
ზღაპარს გავს, ვარსკვლავიანი
ცის რომ დაჰყურებს თავანი,
როგორ არ უნდა მიყვარდეს
წინაპრის წმინდა სავანე.
ძველისძველ ციხე-კოშკებით,
ამბავს გვიყვება წარსული,
გვებრძოდნენ, მტრებით ყოფილა
ეს მიწა შემოგარსული.
ღვთის წყალობად და იმედად,
მთიდან დაგვყურებს ტაძარი,
ხარობდეს კაცის მარჯვენა,
მან შექმნა, ირგვლივ რაც არი.
გაშლილა სოფლის შარაგზა,
ჭადრის ჩრდილებით ნაბური,
შენ დაიფარე, უფალო,
ადგილი მამა-პაპური.

## ჩიტი

ჩიტი, დაჭრილი ფრთაში,
ციდან ეშვება ნაზად...
ეფრინა, ეგალობა –
სიცოცხლე სურდა მასაც.
ვიღაცა შველას ითხოვს,
ლაღობს, ბობოქრობს ვიღაც...
ვისიც გაჩერდა გული,
სიკვდილი არგებს ნიღაბს.
რად მოაშორეს ზეცას,
ვის რას უშლიდა ჩიტი?!..
ბოლო ერთი გვაქვს ყველას,
აქედან ყველა მიდის.

## რატომ?

წლები გადის, მე კი ისევ
შენთან ვრჩები, დარდო...
ხან ლექსებს ვწერ, ხან დღიურებს,
ხან – სხვის ბავშვებს ვართობ.
წლების მიღმა დარჩენილა
ჩემი სანავარდო,
იმ წლებს წლები ემატება,
მე შინ ვზივარ მარტო,
ისევ ჩემ თავს ვეკითხები –
ვისთვის, რისთვის, რატომ?
ნუთუ გულში სიხარულის
ჩაქრა ნაპერწკალი?!..
დღეს სარკეში ჩავიხედე
და იქ დამხვდა... ქალი,
მოწყენილი ქალი,
ნაღვლიანი ქალი.

## გული

გული ჯავრობს, გული დარდობს...
გულმა ჭმუნვა არ იცის?
გული აცყობს, გულში რა მაქვს
და დაკარგა ხალისი.
გული ჯავრობს, გული დარდობს,
გული მაინც გულია,
გული კვდება, გული რჩება,
გული დაჩაგრულია.

## სადღა გიპოვო...

ქროდა ქარები შემოდგომის,
            უმისამართოდ,
წვიმდა, ვფიქრობდი,
მოწყენილებს რაღა გაგვართობს...
ალვის ტოტები მიატოვა ყველა
            ფოთოლმა,
მერე გამოჩნდა ზამთრის პირი,
            კიდეც მოთოვა.
თოვლში, ქარბუქში, უიმედო,
            დავალ რა მარტო,
სადღა გიპოვო დაკარგული
            უმისამართოდ?!

## გული შენს სითბოს ითხოვს

ნეტავი სული არ მენახე,
შენთვის ვცოცხლობდი მხოლოდ,
ვნანობ, ეს ჩემი ოცნება
ფუჭი გამოდგა ბოლოს.
აპრილის ყვავილებივით
რას გავაცანე დღენი,
რას უპასუხებ, რას ეტყვი
გულს, განაწამებს შენით?
ათოვს მობუზულ ბეღურას,
დარდს მიზიარებს თითქოს,
მეც ვზივარ ბეღურასავით,
გული შენს სითბოს ითხოვს.

## ზღვის პირას

მზე წვავდა ბეჭებს,
გულს კი ისევ დარდი დაღავდა...
ვიჯექ ზღვის პირას,
ხმელეთის და ზღვის გასაყართან.
ვფიქრობდი ჩემთვის –
უბედობა როდემდე გასტანს,
ვიჯექ ხმელეთზე,
ვსაუბრობდი ბობოქარ ზღვასთან.
მე სხვებზეც ვწუხდი
და ცრემლები დამდიოდა ღვარად...
უცრად ტალღა აიქოჩრა,
მოვარდა ჩქარა.
შთანთქა ცრემლები,
ქარიშხალის ვუსმენდი სისინს;
წყალმა წაიღო მწუხარება –
ჩემიც და სხვისიც.

## დაბრუნდეს ის დრო

ვინმემ რომ მკითხოს –
      რას ვისურვებდი,
გულით რა უფრო მინდა?
ვეტყოდი: არ მსურს ფული,
      ქონება,
ის დრო დაბრუნდეს წმინდა.
ის დრო, ულრუბლო, მყუდრო
      ნეტარი,
ბავშვი ვიყავი როცა,
ასე პირქუში არ იყო ჟამი,
მუდამ იმ დღეებს ვლოცავ.
გულს მიხარებდა ტოლებთან
      ყოფნა,
ოცნებით ვფრენდი ცაში,
ცოტა ხნით მაინც დაბრუნდეს
      ის დრო,
როცა ვიყავი ბავშვი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩინური მედიცინა და ქართველი მანანები

***ამ ცენტრში ბევრმა აღიდგინა შერყეული ჯანმრთელობა და კმაყოფილმა დატოვა აქაურობა. რა მეთოდით მკურნალობენ — ძირითადად ჩინურით, რომელსაც ხუთი ათასი წლის ისტორია აქვს და სრულიად განსხვავდება კლასიკური მედიცინისაგან. ბოლო დროს მსოფლიო მედიცინაში ჩინურის პრიორიტეტი გამოიკვეთა.***

***ორი ქართველი ქალბატონი, ახალი აზროვნების ორი ექიმი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი მანანა ფრუიძე და მანანა დარასელია ჩინეთში დაეუფლნენ ამ ცოდნას და 1997 წელს თბილისში პირველი ჩინური მედიცინის ცენტრი დააფუძნეს.***



მანანა ფრუიძე — თბილისელი, ნევროპათოლოგი. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტი. შემდეგ ორი წელი ორდინატურაში ფსიქიატრიის კათედრაზე. მერე კი ნევროპათოლოგად მუშაობდა მე-9 პოლიკლინიკაში. ახლა ჩინური მედიცინის ცენტრის მეპატრონეა მანანა დარასელიასთან ერთად. იცის ინგლისური და ჩინური ენები. ჰყავს მეუღლე და ერთი შვილი.

მანანა დარასელია — თერაპევტი. სამედიცინო ტექნიკუმი ოდესაში დაამთავრა, უმაღლესი განათლება ლენინგრადში მიიღო. იქვე დაინტერესდა ჩინური მედიცინით, შემდეგ თბილისში გადმოვიდა, მე-9 პოლიკლინიკაში რეფლექსო-თერაპევტად. ჰყავს მეუღლე და სამი შვილი. იცის ჩინური და გერმანული ენები.

სამედიცინო ცენტრში მუშაობენ აგრეთვე ჩინელი ექიმი, პროფესორი ჯოუ შაო-სინ, რომელსაც საკუთარი კლინიკა აქვს პეკინში და მოწვეულია ჩინეთის საელჩოს მიერ, და უმაღლესი კატეგორიის მასაჟისტი ლეილა ქაჯაია.

დიაგნოზს სვამს ორივე მანანა და ის შეუცდომელია. ეს გადაჭარბებული ნათქვამი არ გეგონოთ. შემდეგ იწყება კომბინირებული მკურნალობა, ძირითადად მცენარეული პრეპარატებით, ნემსოთერაპიით და მასაჟებით. სეანსების ხანგრძლივობა 15 დღეა, გააჩნია დაავადების სიმძიმეს.

რას მკურნალობენ? ნევროლოგია, ბრონქიალური ასთმა, ჩიყვი, თმის ამოყვანა, გახდომა, სიმსუქნე, ასტიგმატიზმი, სქოლიოზი, ალკოჰოლი, ბავშვთა ცერებრალური დამბლა, ენურეზი, წნევა...

მანანა ფრუიძეს და მანანა დარასელიას პაციენტებმა გადამრჩენელი, ჰუმანური და კეთილი მანანები შეარქვეს. ეს ჩანს ჩანაწერებიდან:

*ძვირფასო მანანებო!*

*მე თქვენს სიკეთეს ვერასოდეს გადავიხდი, არა მაქვს ამის შესაძლებლობა, ეს თქვენც კარგად იცით, მაგრამ არაფერი დაიშურეთ. მქონდა ხერხემლის მძიმე დაზიანება (მეოთხე და მეხუთე მალას შუა ტრავმა, აქ ამომიჩინეთ), ატროფირებული კიდურები. რა თქმა უნდა, ვერ დავდიოდი. თქვენთან მოსვლის საშუალება რომ არ მქონდა, ქალბატონმა მანანა დარასელიამ სახლში წამიყვანა. იქ ვცხოვრობდი და თან მკურნალობდით. ოთხი თვის შემდეგ პირველად დავდექი ფეხზე ძმის ქორწილში. მერე ყოველ დღეს სიხარული მოჰქონდა. ახლა გათხოვილი ვარ. ჩემი პრობლემები კვლავ თქვენთან წყდება. რით გადაგიხადოთ ამდენი სიკეთე, ეს ჩემს ძალებს აღემატება. მე და ჩემი ოჯახი დიდ მადლობას გიხდით.*

*რ.ჩ. თბილისი*

ან კიდევ:

*მე თქვენთან ატირებული და სულიერად დაცემული მოვედი. როგორ აგიწეროთ ის ტკივილი, რასაც დედის გული განიცდის, როცა ავადმყოფ შვილს უყურებს, თანაც ისეთი დაავადებით, როგორიცაა ცერებრალური დამბლაა.*

*მეგობრის რჩევით ბავშვი ცენტრში მოვიყვანე, სადაც შვიდი თვე მკურნალობდით. აქ იყო ჩართული კლასიკური და არაკლასიკური მეთოდები. შვიდი თვის შემდეგ ჩემმა ვაჟმა ყვავილები მიუტანა გადამრჩენელ ექიმებს და დღეს ის ბედნიერი, ჯანმრთელი და სრულფასოვანია.*

*მადლობა თქვენ, ორივე მანანას ჩვენი ოჯახის სიხარულისათვის.*

*ნ.გ. თბილისი*

კიდევ ერთი ბარათი:

*ჩვენ რაიონიდან ჩამოვედით. ბავშვს მძიმე მდგომარეობა ჰქონდა — ვერ ლაპარაკობდა, თავს ვერ იჭერდა, პირიდან დუჟი მოსდიოდა და საერთოდ, მთლიანად დადამბლავებული იყო.*

*თქვენი შემწეობითა და სწორი მკურნალობით ჩემს შვილს სიკეთე მალე დაეტყო და სიცოცხლეში პირველად ალაპარაკდა, ხოლო სამი სეანსის ჩატარების შემდეგ ნელ-ნელა ყველაფერი აღდგა. ახლა ის 14 წლისაა, წელიწადში ორჯერ ჩამოვდივართ საკონსულტაციოდ. სრულიად ჯანმრთელია.*

*გმადლობთ იმ თავდადებისათვის, რასაც თქვენ მძიმე ავადმყოფების მიმართ იჩენთ.*

*ნ.გ. აჭარა*

წერილებიდან ჩანს, რომ ცენტრში მაღალ დონეზეა დიაგნოსტირება და მკურნალობა განსაკუთრებით მძიმე დაავადებების — ცერებრალური დამბლისა და ხერხემლის დაზიანების შემთხვევები. ნათლად ჩანს ის მისაბაძი ქველმოქმედება, თუ როგორ ეხმარებიან მანანა ფრუიძე და მანანა დარასელია გაჭირვებულებს.

დღევანდელ მძიმე სოციალურ პირობებში, როცა ყველა სათავისოდ ეძებს გამოსავალს და გასაჭირში მყოფი აღარ აგონდება, ამ დროს უფულოსა და დავრდომილს ხელს რომ გაუწვდი, დიდი მადლია. ამასწინათ, მანანებმა პენსიონერები მოიწვიეს სამკურნალოდ და მათი თავმოყვარეობა რომ არ შელახულიყო, ასეთი ფორმით დაპატიჟეს: უცხოელთა დაფინანსებით სპეციალური პროგრამაა მოსული — გულ-სისხლძარღვთა დაავადებების დიაგნოსტიკა და მკურნალობაო. ყველა პროფესიის ხანშიშესული სიამოვნებით მოვიდა, იმკურნალეს და ასეთი ჩანაწერი დატოვეს: იშვიათი წამოწყებაა, თითქოს ვალის მოხდაა დვაწლმოსილი ინტელიგენციის წინაშე.

ქველმოქმედების კიდევ რამდენიმე მაგალითი:

გასულ წელს ჩინური მედიცინის ცენტრმა ტელევიზიით გამოაცხადა, რომ უფასოდ უმკურნალებდნენ 16 წლამდე მოზარდებს შემდეგი დიაგნოზით — ხერხემლის გამრუდება. სამასამდე ბავშვი მოაწყდა ცენტრს, ამიტომ სასწრაფოდ ერთთვიანი პროგრამა ორთვიანად გადააკეთეს და ყველა მოზარდმა მკურნალობის თითო კურსი გაიარა. შედეგები შესანიშნავი იყო.

ორი წლის წინ ცენტრიდან მანანა ფრუიძემ ტყიბულის მაღალმთიან სოფლებში მოაწყო გასვლითი აქცია — დიაგნოსტიკა და ექოსკოპია. უფასო გამოკვლევები და მკურნალობა ჩაუტარდა 1600 კაცს. თორმეტი დღე, ღამის 12 საათამდე მუშაობდნენ ის, ნინო ცეცხლაძე და მარინა ბარათაშვილი, ხოლო 1998 წელს ორივე მანანა აჭარაში ორი თვე საზღვაო-სანაოსნოს მუშებს უფასოდ მკურნალობდნენ.

ჩინური მედიცინის ცენტრს ხშირად სტუმრობენ ინტელიგენციის თვალსაჩინო წარმომადგენლები: მსახიობები, რეჟისორები, ჟურნალისტები, მასწავლებლები, ელჩები და მათი მეუღლეები, უცხოელი ბიზნესმენები...

დღეს მიზანმიმართული ქალები იმარჯვებენ. მათ რიცხვში მანანა ფრუიძე და მანანა დარასელიაც შედიან და, ჩვენი აზრით, იმ უპირატესობით, რომ ისინი ქველმოქმედი ქალბატონები არიან.

ირმა ხოფიკაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# იფურცლება და იცრიცება ჩვენი ცხოვრება...



ნუნუ რუხაძე

*ადამიანის ცხოვრება წიგნივითაა. ყოველი დღე წიგნის თითო ფურცელია, შინაარსი კი ბედის მწერალმა იცის მხოლოდ. გარბის დრო, იფურცლება და იცრიცება ჩვენი ცხოვრება. ხან იმედით, ხანაც შიშით შევცქერით ხვალინდელ დღეს. მივუყვებით წუთისოფლის ვიწრო გზას, რომელიც ხან მაღალ მწვერვალზე აგვიყვანს, ხანაც უფსკრულში გადაგვჩეხავს. ჩვენ კი მაინც ჯიუტად მივიწევთ წინ.*

*ოჯახი, რომელზეც დღეს მინდა გიამბოთ, ნამდვილად არ არის ჩვეულებრივი. ამ ოჯახის ისტორიის მიხედვით საქართველოს უახლესი ისტორია შეიძლება დაიწეროს. ქ-ნი ნუნუ რუხაძე ქუჩაში შემთხვევით გავიცანი. პროფესიულმა ალღომ მიკარნახა და ინტერვიუ ვთხოვე. თავაზიანად დამთანხმდა და სახლში მიმიწვია.*

– თხრობას ცოტა შორიდან დავიწყებ... ბაბუას ოჯახი იმერეთიდან ბორჯომში გადასახლდა. სწორედ იმ ხანებში ბორჯომის ხეობა რუსეთის იმპერატორმა თავის ძმისშვილს მიხეილს აჩუქა. რომანოვი ბაბუას ოჯახს იმდენად დაუახლოვდა, რომ მამაჩემი მონათლა და თექვსმეტი წლისა პეტერბურგში წაიყვანა. მამა მეფის კარზე ცხოვრობდა და მათი რჩევით ინჟინრის პროფესია შეისწავლა. ხუთი წლის შემდეგ საქართველოში დაბრუნდა და ცოლად სოფია დოლანი შეირთო.

დედა მდიდარი ინდოელი ვაჭრის იაგორ დოლანის ქალიშვილი იყო. მათ ოჯახს ეკუთვნოდა სამსართულიანი სახლი ვორონცოვზე, სანაპიროზე ყველა წისქვილი, ლიმონათის ქარხანა და აბჯრის სახელოსნო. იმხანად მტკვარში ბევრი ადამიანი იხრჩობდა თავს. იაგორმა მეყინთავეები დაიქირავა, რომლებსაც წყალში გადავარდნილი ადამიანები ამოჰყავდათ. უფრო მეტიც, პირადად მან წყალკურთხევის დღეს მუხრანის ძველი ხიდი რომ ჩაინგრა, სამასი ადამიანი გადაარჩინა, რისთვისაც მთავრობამ ჯვრის ორდენითაც კი დააჯილდოვა.

აი, ასეთი წინაპრები მყავდა.

**– ბუნებრივია, რევოლუციის დროს დიდი უსიამოვნებები შეგხვდებოდათ.**

– უსიამოვნებებს ვინ ჩივის, შვილო, იქიდან იწყება ჩვენი ოჯახის უბედურება...

სამი თვის ვიყავი, კომუნისტები რომ დაეპატრონნენ ქვეყანას. მამამ ოჯახის გახიზვნა გადაწყვიტა, მაგრამ ბებიამ არ დაანება, ბავშვები გზაში დაიხოცებიანო. მამას გაქცევა არ შეიძლებოდა საქართველოში და საფრანგეთში გაიქცა. იმავე ღამეს, როგორც მენშევიკის ოჯახი, სახლიდან გამოგვაგდეს და ღია ცის ქვეშ ბედის ანაბარა დაგვყარეს. კიდევ კარგი, მამიდამ შეგვიფარა. ორი წელი უკიდურეს გაჭირვებაში გავატარეთ, მამამ ვერ გაძლო უჩვენოდ ემიგრაციაში და საქართველოში დაბრუნდა. სადგურშივე დააპატიმრეს და მეტეხის ციხეში ჩასვეს. ბაბუა – პეტრე რუხაძე გავლენიანი კაცი იყო, დიდ პატივს სცემდნენ, ქვეყანა შეაწრიალა და შვილი ციხიდან დაიხსნა.

კომუნისტები მალე მიხვდნენ, რომ არაპროფესიონალებით ქვეყანას ვერ ააშენებდნენ და განათლებული ხალხის დასაქმება დაიწყეს. მამასაც შესთავაზეს თანამშრომლობა, თან ბინასაც შეპირდნენ. მამა კარგა ხანს ყოყმანობდა, მაგრამ შემდეგ დედას რჩევით დათანხმდა. ტრამვაი-ტროლეიბუსების სამმართველოს მთავარ ინჟინრად დანიშნეს. ახალაშენებულ სახლში ოროთახიანი ბინაც მოგვცეს. მამა თბილისის სამხატვრო-პოლიტიკურ საბჭოშიც შეიყვანეს და საბჭოს მშვენებას ეძახდნენ.

დაიწყო ჩვენი ოჯახისთვის უბედნიერესი წლები. ვინ მოთვლის, რამდენი გამოჩენილი პიროვნება, ცნობილი მსახიობი თუ მწერალი სტუმრობდა ჩვენთან. დედა არაჩვეულებრივად მღეროდა და უკრავდა. მაგრამ ბედნიერება დიდხანს არ გაგრძელებულა.

**– დადგა ავბედითი 1937 წელი...**

– დიახ. 37-მა წელმა უამრავი უდანაშაულო და თვალსაჩინო ადამიანი შეიწირა. მამა დააპატიმრეს და რუსთავის გზაზე დახვრიტეს, – თვალები ცრემლით აევსო ქ-ნ ნუნუს.

– მამა იმხანად გორში მუშაობდა, – საუბარში ჩაერთო ნუნუს და ქ-ნი ნატა. – ჩემი ცხოვრების ათვლას სწორედ იქიდან ვიწყებ. ნუნუ მაშინ არდადეგებზე მამასთან იყო ჩასული. მე და დედა თბილისიდან გორში მატარებლით წავედით. მატარებელში დედა შეწუხდა, რაღაც უცნაურად გვიყურებენო. საქმე ისაა, რომ მგზავრები თითქმის ყველა ერთმანეთს იცნობდა.

სახლზე უზარმაზარი ბოქლომი დაგვხვდა. დედამ ფერი დაკარგა, ყველაფერს მიხვდა. მალე მეზობლებიც შეგროვდნენ და დედას უთხრეს, თქვენი მეუღლე წაიყვანესო. დედა საოცრად ამაყი ქალი იყო. არაფერი შეიმჩნია. ერთი კი თქვა, წაიყვანეს და მალე გამოუშვებენო. ამ დროს ატირებული ნუნუც მოვარდა, რომელიც მამის სანახავად იყო წასული შინსახკომში. იქიდან სულ ცემით გამოუგდიათ, წადი, თორემ შენც მამაშენთან ერთად ჩაგაძაღლებთო. დედამ კარზე ბოქლომი მოგლიჯა და სახლში შეგვიყვანა. იმ ღამეს მე და ჩემს დას ტირილში ჩაგვეძინა. დილით კი... ღმერთმა ნურავის ნუ მოასწროს იმის ნახვა, რაც ჩვენ ვნახეთ, მაგიდასთან ჩვენი ახალგაზრდა ლამაზი დედის ნაცვლად ღრმად მოხუცებული გაუბედურებული ქალი იჯდა. დედას დამბლა დაეცა და დარჩენილი სიცოცხლე ავადმყოფობაში გაატარა...

– ძალიან გვიჭირდა, – თქვა ქალბატონმა ნუნუმ, – მუსიკალური განათლება მქონდა და ეზოს ბავშვებს ვამეცადინებდი რაღაც კაპიკებზე. ნატა პლაკატებს ხატავდა დაკვეთით და სწავლის პარალელურად სამქროში ღამის ცვლაში მუშაობდა. ჩემი ძმა იაგორი, როგორც წარჩინებული, სევასტოპოლის გემთმშენებლობის ინსტიტუტში გაგზავნეს, მაგრამ მალე, ხალხის მტრის შვილის იარლიყით იქიდან გამოაგდეს და თბილისში ჩამოვიდა.

**– შემდეგაც გავიწროვებდნენ?**

– ინსტიტუტში დაუბრკოლებლად მიმიღეს, მაგრამ რა დამავიწყებს კომკავშირში მიღების დღეს, მაშინ კომკავშირში მიღება საზეიმოდ ხდებოდა. საგანგებოდ მოვემზადე. ზოგმა კაბა მაჩუქა, ზოგმა – ფეხსაცმელი და ასე გაპრანჭული ავედი სცენაზე. უცებ პარტერიდან პარტკომის მდივანმა დაიძახა: როგორ შეიძლება მისი კომკავშირში მიღება, ის ხომ მავნებლის შვილიაო. დარბაზიდან ატირებული გამოვვარდი. ჩემი ამხანაგები უკან დამედევნენ და სახლში მისვლამდე მამშვიდებდნენ.

ეჰ, ბევრი ტკივილი გადავიტანე, მაგრამ ღმერთის მაინც მადლიერი ვარ, რადგან ცხოვრების გზაზე დავით სეფიაშვილს შევხვდი.

ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ აღმასკომის საფინანსო განყოფილებაში ვმუშაობდი. სწორედ იქ გავიცანი ჩემი მომავალი მეუღლე. ადამიანი, რომელიც მთელი ცხოვრება სიკეთეს თესავდა. წარმოშობით ლეჩხუმელი იყო. საკუთარი სახსრებით ააშენა სოფელში სკოლა. უწყლობით შეწუხებულ სოფელში გამოიყვანა ოქრონიშის სახელით ცნობილი წყარო, რომელსაც ლევან გოთუამ „საქართველოს წყაროთა დედოფალი" უწოდა.

პურ-მარილის მეფეს ეძახდნენ. ვინ აღარ იკრიბებოდა ჩვენს ოჯახში. აი, ამ სურათზე დავითის 70 წლისთავია გადაღებული.

ნახეთ, რა ხალხია სუფრასთან: ირაკლი აბაშიძე, ნოდარ დუმბაძე, ჯანსუღ ჩარკვიანი, კაკო და არჩილ ძიძიგურები, შოთა ყავლაშვილი...

დროდადრო სურათებს მაწვდის ქ-ნი ნუნუ: აი, ჩემი თენგო სამი წლის რომ იყო. ეს დათიკო და ირაკლი... ირაკლი, ტკივილი, რომელიც არასოდეს განელდება. ჩემი შვილიშვილია, ბედისწერამ გამოგვაცალა ხელიდან. ესენია ჩემი ქალიშვილი ნათელა და სიძე გურამ დოჩანაშვილი.

**– როგორი სიძეა ბ-ნი გურამი?**

– არაჩვეულებრივი. სამოცი წლის ხდება და ახლაც ბავშვივითაა. – ეღიმება ქ-ნ ნუნუს. – რამდენი წელია ჩემი სიძეა და დღესაც დეიდა ნუნუს მეძახის. ერთი ლიმონიც რომ მივუტანო, ათას მადლობას გადამიხდის. გურამი პატიოსნების და სიკეთის განსახიერებაა. თავად რა აქვს და გაჭირვებულებს ლუკმას უყოფს. მისთვის ხუთ ლარს და ხუთიათასს ერთი ფასი აქვს.

ორი წლის თიკო გვყავს, რომელმაც ხალისი შემატა ჩვენს ოჯახს. ირაკლის სანაცვლოდ ღმერთმა გამოგვიგზავნა.

ვაჟი თენგიზი სამხატვრო აკადემიის აკადემიკოსია, დიზაინის და არქიტექტურის კათედრაზე მუშაობს. რძალი ნანა ნაჭყებია პროფესიით იურისტია.

ოთხმოცს გადავაბიჯე და ერთხელ ვიხუმრე, გინესის წიგნში შემიყვანეთ-მეთქი. რა დამსახურებებისთვისო, – გაუკვირდათ შინაურებს. მთელი ცხოვრების მანძილზე ყავა არ დამილევია, სიგარეტი არ მომიწევია, კოსმეტიკაზე კაპიკიც არ დამიხარჯავს, წამალი რა არის, არ ვიცი. ახლა პაპაზოლს ვსვამ ზრდილობის გულისთვის.

– მაშინ სიგარეტი არ იყო მოდაში, – შეეპასუხა ქ-ნი ნატა.

– მაშინაც ბევრი რამ იყო მოდაში, მაგრამ არ გამიკეთებია, – არ დაუთმო ქ-ნმა ნუნუმ. – 27 წელი სანაპიროზე ჯანმრთელობის ცენტრში დავდიოდი. ნახეთ ეს სურათი, აქ სიგრძეზე ვხტები, აქ კი ორძელზე ვვარჯიშობ. იმისთვის ვვარჯიშობდი, არ ვიკრუსუნო და ოჯახს ვემსახურო-მეთქი. ღმერთო, რამდენი წელი გავიდა მას შემდეგ – მოგონებებში ჩაიძირა ქ-ნი ნუნუ.

ქ-ნი ნატა ჩუმად გვისმენდა და თან გულმოდგინედ ქსოვდა.

**– რა ლამაზად ქსოვთ, – მივუბრუნდი მას.**

– მამა რომ დაიჭირეს სკოლას თავი დავანებე და არქიტექტურულ ტექნიკუმში შევედი. მალე ომიც დაიწყო და უყოყმანოდ გადავწყვიტე ომში წასვლა. ჩემი ძმა დამცინოდა, რეპრესირებულის შვილს ომში ვინ წაგიყვანსო. არ დავუჯერე და კომისარიატში გამოვცხადდი. აღრიცხვაზე ამიყვანეს და მეორე დღისთვის დამიბარეს. სიხარულისგან გამეცინა. გარშემო ყველას მოჟამული სახე ჰქონდა და გაუკვირდათ, რა გაცინებსო. ჩემმა ძმამ მითხრა, რეპრესირებულის შვილს ომში არ წაიყვანენო. ამის თქმა და კომისარიატიდან ჩემი გამოგდება ერთი იყო.

ფრონტის ნაცვლად ტროლეიბუსების სამმართველოში მხაზველად დავიწყე მუშაობა. მამას ნაცნობმა საწყობიდან ძაფის ნარჩენები მომცა. არც ქსოვა ვიცოდი და ჩხირებიც არ მქონდა. ეკონომისტმა ქალებმა ჩხირები მაჩუქეს და ქსოვა მასწავლეს. იმ დღიდან ვქსოვ. პირველად ჩემთვის ჟაკეტი რომ მოვიქსოვე, ასე მეგონა, ჩემზე ძვირფასი ტანსაცმელი არავის ეცვა.

ომის დროს თუჯის ჩამოსასხმელი საამქრო გაგვიჩერდა. ერთმა რუსმა ებრაელმა დიდი თანხის სანაცვლოდ შემოგვთავაზა დეტალის ნახაზი, რომლითაც საამქროს ავამუშავებდით.

ბ-ნმა მიხეილ გურგენიძემ, რომელიც ჩვენი უფროსი იყო, ჩუმად მითხრა, მოდი ნახაზი მოვიპაროთო. პატარა გოგო ვიყავი, პატრიოტული გრძნობით ანთებული და, რა თქმა უნდა, დავთანხმდი. მე და „ზოსიმიჩმა“ იმ საამქროში შევაღწიეთ, სადაც საჭირო დეტალები მზადდებოდა და ზომები ჩავიწერეთ. ერთი სიტყვით, ვიქურდეთ. მთელი ღამე გავათენეთ, ნახაზი შევადგინეთ, იმის მიხედვით საჭირო დეტალი დავამზადეთ და ღუმელი ავამუშავეთ. დავიწყეთ თუჯის გადადნობა და წარმოება გადავარჩინეთ.

ინსტიტუტში ჩაბარება რომ გადავწყვიტე, სამსახურიდან წასვლის განცხადებაზე ბ-ნმა მიხეილმა ძაღლი დამიხატა: აი, ეს ძაღლი არ გიშვებს სამსახურიდანო.

მამის ხათრით სამთოელი გავხდი. წლების განმავლობაში ჯერ ტყვარჩელში ვმუშაობდი, შემდეგ კი „სამთო ქიმიაში“.

**– თქვენი ოჯახის შესახებაც გვიამბეთ.**

– მეუღლე ოთარ ბერეჟიანი ენერგეტიკოსი იყო. მაღალი ძაბვის ხაზებს აპროექტებდა. სამი ვაჟის დედა ვარ.

უფროსი ვასილი – ბიოლოგია, მეორე – გია მამის კვალს გაჰყვა და ისიც ენერგეტიკოსია, უმცროსი დავითი კი ვენდისპანსერის მთავარი ექიმია.

**– მამა რეაბილიტირებულია?**

– დიახ, ახლახანს ორმოცდახუთი ლარი პენსიაც კი დაგვინიშნეს, – სიმწრით აღმოხდა ქ-ნ ნუნუს. – მაგრამ ყველაზე საოცრება ის არის, რომ როცა სტალინი გარდაიცვალა ტირილში გავათენე ღამე.

– პატრიოტებად გვზრდიდნენ, – დაუმატა ქ-ნმა ნატამ. – მახსოვს, ჭიქა რომ გამიტყდებოდა, ბებია დამტუქსავდა, რას შვრები, რა ქნას სოსომ (სტალინს გულისხმობდა), რამდენი ჭიქა უნდა გააკეთოსო...

– ის თუ გახსოვს, – გაეღიმა ქ-ნ ნუნუს, – პიანინო როგორ ვიყიდეთ. დედამ მამას სთხოვა, პიანინო ვიყიდოთ, ბავშვები მუსიკას ისწავლიანო. ერთხელ მამა ნასვამი მოვიდა სახლში და გამოგვიცხადა: პიანინოს ვიყიდით, თუ მთელი წელი ლობიოს შეჭამთო. დათანხმებით კი დავთანხმდი, მაგრამ დარდით მთელი ღამე არ მეძინა, რადგან საშინლად არ მიყვარდა ლობიო. მეორე დღეს მოვიდა მამა და ქათამი მოიტანა...

**მოგონებას მოგონება მოჰყვა. მოგონებები, რომლებიც ხან ღიმილს მოჰგვრის, ხანაც ცრემლს აუკიაფებს თვალებზე ჩემს მშვენიერ მასპინძლებს, ისევ მათი ნატვრით მინდა დავამთავრო, რომელიც ლოცვას უფრო ჰგავს.**

– ღმერთო, გააერთიანე და გააძლიერე ქართველები. მხოლოდ ერთობით და თანადგომით თუ ეშველება ჩვენს საქართველოს!

მარინე ნაკაიძე



ნუნუ რუხაძის ბებია-ბაბუა



ნუნუ მეუღლესთან და შვილებთან



ნუნუ და დავითი ირაკლისთან

21994

ეროვნული ბიბლიოთეკა



# აქა ვდგავარ და



ნატო და თენგიზი

ვეებერთელა აფიშა ფილარმონიის ფასადზე იუწყება – სახელმწიფო და რუსთაველის პრემიების ლაურეატის, საქართველოს სახალხო არტისტის თენგიზ არჩვაძის საიუბილეო თარიღს, თუმცა მსახიობი ჯერ 69 წლისაა. რატომ იჩქარეს? რატომ მაინცდამაინც ფილარმონია და არა რომელიმე დრამატული თეატრი? კინოსა და თეატრის ცნობილი მსახიობი დამსახურების გამო სწორედაც ღირსია სათანადოდ აღნიშნოს ქართველმა ხალხმა მისი იუბილე ისე, როგორც ეკადრება, ისე, როგორც შეიყვარა მაყურებელმა მისი კინოფილმები: „კეთილი ადამიანები“, „ერთი ცის ქვეშ“, „ხევისბერი გოჩა“, „ხევსურული ბალადა“, „მე ვხედავ მზეს“, „ვედრება“, „ჯვარცმული კუნძული“, „დიდოსტატის მარჯვენა“, „დათა თუთაშხია“, რუსთაველისა და მარჯანიშვილის თეატრების სცენებზე განსახიერებული მრავალი როლი. გვესაუბრებიან ბატონი თენგიზის ქალიშვილები – ნატო და ნათია:



კადრი ფილმიდან „წიგნი ფიცისა“ – მარცხნივ ლიანა ასათიანი



„წიგნი ფიცისა“ – თენგიზ არჩვაძე და ზურაბ ქაფიანიძე

**ქ-ნო ნატო, ორიოდე სიტყვა თქვენს დიდ ოჯახზე?**

– ჩვეულებრივი ტრადიციული ქართული ოჯახია, დედა – ნელი ფილიშვილი ათი წელი მარჯანიშვილის თეატრის მსახიობი იყო, მერე ფილოლოგიური ფაკულტეტი დაამთავრა და დიდხანს ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის რედაქციაში მუშაობდა. დედა ძალიან ლამაზი იყო, მამა და დედა თანაჯგუფელები არიან, თეატრალური ინსტიტუტი ერთად დაამთავრეს. ვამაყობ დედაჩემით, ოჯახისადმი მისი თავდადებით, მთელი არსებით ჩვენ შეგვეწირა. ნათია უცხო ენების სპეციალისტია, მე თეატრალური ინსტიტუტი დავამთავრე, ჩვიდმეტი წელი რუსთაველის თეატრში ვმუშაობდი, ახლა კინომსახიობთა თეატრში ვარ, პარალელურად ჰუმანიტარულ-ტექნიკური უნივერსიტეტის კათედრაზე ტელეწამყვანის ოსტატობას ვასწავლი.

**– თქვენი პირადი ცხოვრება?**

– ერთი შვილი მყავს, ანა ქებურია. სამხატვრო აკადემიის მოდელირების ფაკულტეტის სტუდენტი. გათხოვილია, უკვე ბებია ვარ.

**– ხოლო შემოქმედება?**

– ვფიქრობ, ჩემი შესაძლებლობების რეალიზება ჯერ არ მომხდარა, თუმცა კარგა ხანს რუსთაველის თეატრში ნუგზარ ბაგრატიონთან ვიმუშავე და რამდენიმე სახასიათო როლი განვასახიერე.

**– როგორი ურთიერთობა გაქვთ მამასთან? თუ თქვენი შესანიშნავი დუეტის მიხედვით ვიმსჯელებთ, ასეთივე შეხმატკბილებული მამაშვილობა უნდა გქონდეთ.**

– ხასიათით ერთმანეთს ვგავართ – სიყვარულში გამოუხატავები, თუმცა შინაგანი განცდა ორივეს საკმაოდ მომეტებულად გვაქვს. მამა სიტყვაძუნწი, თავშეკავებულია, თუმცა სცენაზე საპირისპიროდ გამოიყურება. მაყურებელი გრძნობს მის შინაგან მუხტს.

***საუბარში ნათია გვერთვება:***

მამამ საოცარი გატანა იცის, ულალატო, გვერდში დგომა, ჩუმად, უხმაუროდ აკეთებს ყოველივეს, როცა მიჭირდა, წუთითაც არ მივუტოვებივარ, არასოდეს შეგაწუხებს დარდით, ტკივილით, თავად უნდა მიუხვდე. სულმთლად თუ არ გალურჯდა, იმასაც არ იტყვის, წნევა მაქვსო. მამა ზაფხულში 70 წლის ხდება. ვინც შემოგვთავაზა ამ თარიღის აღნიშვნა ბატონი ჯემალ ბაღაშვილია. სხვას არავის გახსენებია. მადლობის მეტი რა გვეთქმის, ვინც გვთავაზობს, ჩვენც ვღებულობთ, არავის ვაწუხებთ, თუმცა დღეს ვერავის გაამტყუნებ, ნებისმიერი ღონისძიების მოწყობა დიდ თანხებთანაა დაკავშირებული, რასაც თავზე ვერ მოახვევ.

... ბედნიერი ბავშვობა გვქონდა, ოთხივენი ერთად დავდიოდით ქალაქგარეთ, მამამ შემოგვატარა მთელი საქართველო, შეგვაყვარა ბუნება, გული სტკიოდა, ბიჭი რომ არ ჰყავდა, უნდოდა ვაჟკაცურად გავეზარდეთ. ის კი არა, თამადებადაც გვწვრთვნიდა, გვასწავლიდა ცხენზე ჯდომას. როცა „დიდოსტატის მარჯვენაში“ იღებდნენ, საკუთარი ცხენი ჰყავდა „თეთრი არაბია“, საგულდაგულოდ უვლიდა კინოსტუდიის ეზოში. უხდება ცხენზე ჯდომა, კარგი მხედარია.

**– განაწყენებული მამა გინახავთ?**

– თითქმის არასოდეს. როცა მარჯანიშვილის თეატრიდან დაითხოვეს, ერთი სამდურავი არავისზე წამოსცდენია, გულში რას ფიქრობდა – ვერ გეტყვით. გვერდში მდგომი გულშემატკივარი ადამიანები არასოდეს დაჰკლებია – რეზო ჩხეიძე, გიგა ლორთქიფანიძე, სოფიკო ჭიაურელი, კოტე მახარაძე, გივი ბერიკაშვილი (ცარიელი გულია). სოფიკომ და კოტემ რამდენჯერმე შესთავაზეს, მოდი ჩვენს თეატრში, რაც გინდა გააკეთეო. განა ეს ცოტას ნიშნავს დღევანდელ შეჭირვებაში, ასეთი სახელოვანი ოჯახის კარი გაგიღონ, დაგაფასონ, ხელი გაგიმართონ!

**– რაზე გიჯავრდებოდათ, როცა პატარები იყავით, როგორია ოჯახში ბატონი თენგიზი?**

– მამა ზომაზე მეტად ხალასია, სიტყვაძუნწი, ემოციებს ნაკლებად გამოხატავს, ნებისმიერ საქციელში თავშეკავებული, ფარული გრძნობების მატარებელი „დიდი ბავშვი“, გულანთებული ქართველი, ბუნების შვილი, არასოდეს იკადრებს ტყუილს, ვერ ეგუება მლიქვნელობას, ორპირობას, ცბიერებას. ამას ჩვენც გვინერგავდა. ჩვენი ურთიერთობა მართლაც შესაშური იყო.

**– როგორი მეუღლეა, დედას ხომ არ აძლევდა ეჭვიანობის საბაბს?**

– „დოქის ტუჩი ურჩევნია ქალისას“... არავის შევუწუხებივართ, არაფერი გვიგრძვნია. თუმცა იცის ქალის ფასი, თაყვანისცემა. ქალი მისთვის იდეალია, რაინდულად სცემს პატივს.

***ნათია იგონებს:***

– ერთხელ მამა, სანდრო ჟორჟოლიანი, აკაკი კვანტალიანი და ვასო გოძიაშვილი პურის საჭმელად შესულან რესტორანში. თავიდან ვასოსთვის ფული უთხოვიათ, გვასესხეო, ვასოს უარი უთქვამს, სესხებას მირჩევნია, მეც წამოვიდეო. ორი ბოთლი ღვინო შეუკვეთავს აკაკის და ათასნაირი საჭმელი (აკაკი ცნობილი გურმანი იყო), სუფრა სულ გაუვსიათ. მამას წყენა ვერ დაუფარავს, ორი ბოთლი რას გვეყოფაო. დაწყნარდი, თენგიზ! საჭმელს არავინ გამოგვიგზავნის, ღვინოს კი ნახავ, არავინ მოგვაკლებსო. მართლაც ასე მომხდარა – უსასრულოდ მოდიოდა და მოდიოდა ბოთლები, ვინ იყო იმის დამლევი.

**– ქ-ნო ნატო, თქვენს ოჯახში ყველაზე დასამახსოვრებელი, ნიშანდობლივი რამ, რას მოიგონებთ?**

– როცა ძალიან ჭირს ცხოვრება, ვცდილობთ შევინარჩუნოთ პრინციპი, არ დავკარგოთ თავი, შევინარჩუნოთ ის ფასეულობა, რითაც

# სხვაგვარად არ ძალმიძს



„დილის ნისლივით" – კოტე მახარაძე და თენგიზ არჩვაძე

ვიცხოვრეთ ამდენ ხანს, როგორსაც იცნობენ თენგიზ არჩვაძეს, როგორებიც იყვნენ ჩვენი მამა-პაპანი. მამას უყვარს გამოთქმა – „აქა ვდგავარ და სხვაგვარად არ ძალმიძს!"

**– ბატონი თენგიზის საინტერესო, მრავალმხრივი შემოქმედება, შესანიშნავი გარეგნობა, ხმის ტემბრი. კიდევ რით გამოირჩევა?**

– მამა საკმაოდ კარგად ხატავს, გამოირჩევა პოეზიისა და საქართველოს ისტორიის ღრმა ცოდნით, ბევრს კითხულობს. თეატრალურ ინსტიტუტში ასწავლიდნენ აკაკი ხორავა, აკაკი ვასაძე, შალვა ნუცუბიძე, ლილი იოსელიანი. ამ ადამიანებმა უთუოდ დიდი როლი ითამაშეს მის დაოსტატებაში.

**– ვისთან მეგობრობს, რომელი კინორეჟისორები უფრო წყალობენ?**

– შოთა მანაგაძე, გიგა ლორთქიფანიძე, ნიკოლოზ სანიშვილი, ვახტანგ ტაბლიაშვილი, არჩილ ჩხარტიშვილი, თემურ ჩხეიძე... ისეთი ადამიანია, უამრავი მეგობარი ჰყავს.

**– რა არის მისი ჰობი?**

– დიდი პატივისმცემელია ტრადიციული ქართული სუფრის. საკმაოდ მჭერმეტყველი, კარგი მოსაუბრეა, შესანიშნავი თამადა. ადამიანს აფასებს განურჩევლად მისი სოციალური მდგომარეობისა. კინოსტუდიის ეზოში რამდენიმე ძირი ვაზი ახარა, რუდუნებით უვლის, პატარა მოსავალიც მოიწია.

**– ქ-ნო ნატო, თქვენ, როგორც მამის კოლეგა და პარტნიორი, როგორ ფიქრობთ, დარჩა რაიმე სათქმელი თუ ბოლომდე დაიხარჯა?**

– მამა ისეთ ასაკშია, ბევრად უფრო რთული და საინტერესო როლების შექმნა შეუძლია. რა დასანანია, რომ ფილმებს აღარ იღებენ ჩვენი რეჟისორები, ფაქტიურად დაუსაქმებელია. მსახიობის პროფესია ტკივილიანია, ბევრი უსამართლობა თან სდევს, ნებისმიერ ქვეყანაში ასეა. ჰქონია ტკივილი და არ იმჩნევდა, მისი ყველაზე დიდი მონაპოვარია, რომ ყველაფერს უსიტყვოდ გაუძლო და „მეობა" არ დაკარგა, ღირსეულად უჭირავს თავი შინ და გარეთ.

**– ქ-ნო ნატო, უხერხული ხომ არ იქნება გკითხოთ, ბატონი თენგიზი, ასეთი მომხიბლავი, თაყვანისმცემლებით გარშემორტყმული, ოჯახის ერთგული დარჩა ბოლომდე?**

– მართლაც ძალიან ბევრი თაყვანისმცემელი ჰყავდა მამას, ურეკავდნენ, მაგრამ, რამდენადაც ვიცი, ბოლომდე გვიერთგულა.

უდიდესი პასუხისმგებლობით უდგება თავის საქმეს, ისეთი განცდა იცის, ჩემს არც ერთ სპექტაკლს არ დასწრებია. 100-ზე მეტ ფილმშია გადაღებული. მისი ღირსეული პარტნიორები იყვნენ: ლია ელიავა, სოფიკო ჭიაურელი, ლეილა აბაშიძე, ლალი ბადურაშვილი. მჯერა, ის რომ ჰოლივუდის მსახიობი ყოფილიყო, დღეს მწირი ხელფასის მოლოდინში ნამდვილად არ იქნებოდა, თუმცა არ უყვარს წუწუნი და ვერ იტანს უმადურობას.

**– განსაკუთრებით რომელ ფილმში გიყვართ და მოგწონთ მამა?**

– „ხევსურულ ბალადაში" – ლამაზი, ახალგაზრდა, მომხიბლავი იმედა – თენგიზ არჩვაძე. კადრები ძირითადად ფასანაურსა და ხევსურეთშია გადაღებული. მთელი ოჯახი ერთად ვიყავით, სასტუმროში ვცხოვრობდით. მახსოვს, ყელამდე თოვლში ორი წლის ნათია როგორ დავკარგეთ. ძლივს გადაურჩა ტრაქტორით გაჭყლეტას, ნახევრად გაგუდული ვიპოვეთ.

განსაკუთრებით პოპულარულია „დათა თუთაშხია", რომელიც საქართველოს ფარგლებს გასცდა, თუმცა არანაკლები აღიარება ჰქონდა „ხევსურულ ბალადას", რაც სოფიკო ჭიაურელის დამსახურებაა, პარიზშიც კი აჩვენეს. მამა არც ერთ ქვეყანაში არ ყოფილა. არ ვიცი, რა მოსაზრებით, არსად არ უშვებდნენ. ჩემი აუხდენელი ოცნებაა, მქონდეს იმდენი ფული, რომ შევძლო მამა გავახარო, წავიყვანო, მაგალითად, იტალიაში.

**– მე, როგორც მაყურებელი, ვფიქრობ, თუ საქართველოში ვინმემ სუფთად, გაულანძღავად იცხოვრა, ერთ-ერთი იმათგანი თენგიზ არჩვაძეცაა. და მაინც, თუ დარჩა რამე განუხორციელებელი მიზანი, თუ იცით რაზე სტკივა გული?**

– უთუოდ დარჩა ბევრი განუხორციელებელი ოცნება, როლი. მას ისე უყვარს თავისი ხალხი, საქართველო, მზადაა, მისთვის ყველაფერი გაიღოს, ბოლომდე დაიხარჯოს, თუმცა ამის საშუალებას არ აძლევს დღევანდელი კატაკლიზმები, რამაც მოიცვა ჩვენი სამშობლო.



„დათა თუთაშხია" – გრაფი სეგედი – იური იარვეტი, მუშნი ზარანდია – თენგიზ არჩვაძე



ნატო არჩვაძე – „ბერნანდა ალბას სახლი"

რომ იცოდეთ, როგორც პარტნიორი, როგორი პროფესიონალია, შინაგანად მგრძნობიარე, დახვეწილი, ყველა ამპლუაში მამა საინტერესო, ყოველ მხრივ დახვეწილი პიროვნებაა. ნუ მიწყენთ, თუ ამ სიტყვებს ხმამაღლა შვილი ამბობს, არა მგონია, საწინააღმდეგო აზრი ჰქონდეს, ვინც მას იცნობს.

ამას გვიდასტურებს ნათია, რომელიც თავისი ოჯახით დღემდე ერთ ჭერქვეშ ბედნიერად ცხოვრობს მამასთან.

ნანული ზუკია

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გადმოსაღვრელი ცრემლი



სოხუმიდან ვარო, – ახალგაზრდა ქალმა დამირეკა, – თქვენი სტუდენტობისდროინდელი სურათები უნდა მოგიტანოთ. თქვენ რომ პრაქტიკას გადიოდით აფხაზეთის გაზეთში. იმ დროს რედაქციაში მამიდაჩემი მუშაობდა, გარდაცვალების წინ მთხოვა: ფოტოარქივი მაქვს, ნაწილი ჩვენებს დაუწვავთ, ეშინოდათ აფხაზებმა არ აგვაწიოკონო. რაც დამრჩა, გთხოვ მოძებნო, ვინც ამ ფოტოზეა აღბეჭდილი და მათ გადასცე. ადვილად იპოვი, თბილისში, რედაქციებში მუშაობენო. პირველად თქვენი სახელი მითხრა და აი, მოგძებნეთ!

მთელი ღამე სოხუმი მესიზმრებოდა თუ მელანდებოდა, ზუსტად ვერ გეტყვით. მაჭარივით ზღვა და მისი უსაზღვრო ლურჯი, გამჭირვალე ცა, აყვავებული ოლეანდრები და კამელიის ყვავილები, თეთრი მარმარილოსაგან გამოთლილს რომ ჰგავდა და გულისწამლებ სურნელს აყენებდა გარშემო. და ქართული გაზეთის (მაშინ, რასაკვირველია, „საბჭოთა აფხაზეთი" ერქვა) რედაქცია კოპწია თეთრი შენობის მესამე სართულზე, სადაც ჩვენ, თბილისის უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტები, პრაქტიკას გავდიოდით.

ამ რედაქციაში მშვენიერი ჟურნალისტები და არაჩვეულებრივი ადამიანები მუშაობდნენ. უსაზღვროდ უყვარდათ თავისი საქმე და ამ. სიყვარულს ჩვენც გვიზიარებდნენ.

მათი სიყვარულითა და მზრუნველობით წათამამებულებს თავი სრულფასოვან ჟურნალისტებად მიგვაჩნდა. აქ ვიგრძენი პირველად გაზეთის გავრცელებაზე ხელმოწერისა და სტამბის საღებავების სუნით გაჟღენთილი პირველი სასიგნალო ეგზემპლარების ხელში აღების სიხარული, რაც დღემდე გამომყვა. ახლაც, ამდენი ათეული წლის შემდეგაც, გული მითრთის, როცა სტამბიდან მოსულ პირველ ეგზემპლარს ვათვალიერებ.

გაზეთის რედაქტორი იყო ყოველი ღირსებით შემკული პიროვნება ხუტა ახალაია. ეს კეთილშობილი კაცი, ჭიანჭველას რომ არ დაადგამდა ფეხს, ისეთი ბუნებისა გახლდათ, გაბრაზებული და განრისხებული არავის უნახავს. კოლეგები ხუმრობდნენ: მანქანას რომ მართავს, გზაჯვარედინთან ჩამოდის და აქეთ-იქით იცქირება, ვინმე ხომ არ მოდის, შემთხვევით არ დავეჯახოო.

მთელი ჯგუფი ტყავში ვძვრებოდით, რათა ისეთი წერილი დაგვეწერა, რედაქტორის მოწონება დაგვემსახურებინა. ისიც ქებას არ იშურებდა დამწყები ჟურნალისტების ნაცოდვილარის მიმართ.

როცა პრაქტიკა დამთავრდა, დიდხანს ვფიქრობდით, რა სუვენირი შეიძლებოდა მიგვერთმია რედაქტორისათვის.

მე და ჩემმა მეგობარმა ლია გოდერძიშვილმა გალაკტიონის იმხანად ახლადგამოსული ერთტომეული ვიყიდეთ, მეორე დილით რედაქტორის მოსვლამდე ჩუმად შევედით მის კაბინეტში და მაგიდაზე დავუდეთ წარწერით: „გალაკტიონი ჩვენი პოეტური ღვთაებაა და მას კრძალვით გიძღვნით თქვენ".

საღამოს, როცა სადგურში წასასვლელად ვემზადებოდით, კარზე კაკუნი გაისმა. გავიხედეთ და, ჩვენს გასაცილებლად მოსული ბატონი ხუტა და ჩვენი განყოფილების გამგე პავლე ჯაფარიძე დავინახეთ.

– ეს რა მიქენით, როგორ შემარცხვინეთო, – ბატონმა ხუტამ თქვა. ჩვენი ჩემოდნები აიღეს და სიცილით, ხუმრობით დავადექით სადგურისაკენ მიმავალ გზას სოხუმის მშვენიერ მთვარიან საღამოს. ლია ჯავრით აღარ იყო: რამ წამომათრევინა ეს მძიმე ჩემოდანი. კაცს მხარი ჩამოწყდა მისი თრევითო.

აი, ეს ყოვლად უწყინარი და ყველას მოყვარული ინტელიგენტი კაცი დაუნდობლად დახვრიტეს აფხაზებმა თავისსავე სახლში.

პავლე ჯაფარიძეს ბოლომდე არ შეუწყვეტია ჩვენთან მეგობრობა. როცა აფხაზეთში მივლინებით მივდიოდით, ყველა ჩვენს საზრუნავს პავლე აგვარებდა. სასტუმრო დაჯავშნული გვხვდებოდა ანდა შინ მისი მშვენიერი ცოლი ოლია გველოდა. სასტუმროში, სადილობის წინ, პავლეს ვაჟი, ვოვა მოგვაკითხავდა: ჩვენები სადილზე გელიანო. ქალბატონი ოლია ბერძენი იყო და, როცა ერთხელ ბერძნებს საქართველოდან ასახლებდნენ, პავლემ მოახერხა აკაკი მგელაძესთან (მაშინდელ პარტიის საოლქო კომიტეტის პირველ მდივანთან) შესვლა და საყვარელი მეუღლის დახსნა. ო, რა ჯოჯოხეთი გაიარა მაშინ! ალბათ იმ ჩემმა მოგვარემაც იგრძნო რა ალალმართალ კაცთან ჰქონდა საქმე და იხსნა ახალგაზრდა ოჯახი დანგრევისაგან. ნეტავ ასეთი კეთილი საქმე ბევრი თუ ჰქონდა გაკეთებული?

როცა ქართულ-აფხაზური კოშმარი დაიწყო, უკვე დავაჟკაცებული ვოვა ჯაფარიძე ქართული არმიისათვის იარაღს შოულობდა. სულ ბოლოს მოახერხა ოჯახის გამოყვანა სოხუმიდან.

პავლე ჩემთან „საქართველოს ქალის" რედაქციაში მოვიდა და თვალიდან არ მშორდება, როგორ ტიროდა კაცი, როცა იმ ჯოჯოხეთს – თავის თანამშრომლების მკვლელობას და სოხუმის დაცემას იხსენებდა.

მერე შვილს მოსკოვში გაჰყვა. იქიდან ამბავი მომივიდა (თავისი დისთვის დაებარებინა) გადაეცი ჩემს მეგობრებს, ცოცხალი ვარო. მაგრამ წარმოდგენილი მაქვს, რა იქნებოდა მისთვის სიცოცხლე უსამშობლოოდ, სოხუმის გარეთ, სადაც ყოველი ხე და ყოველი სახლი უყვარდა. საერთოდ, ყველა და ყველაფერი უყვარდა, ყველას შემწე და დამხმარე იყო.

პირველად ბინა რომ ავიშენე თბილისში, სპეციალურად ჩამოვიდა სოხუმიდან. კი ავიშენე – ორი პატარა ოთახი, მაგრამ შიგ არაფერი მედგა და ნათურაც შიშველ მავთულზე მეკიდა. საქმეზე ვარ გასასვლელიო, – მითხრა, რამდენიმე ხანში მობრუნდა და ჩემთვის საჩუქრად ნაყიდი ჭაღი თავისი ხელით დაჰკიდა.

# სენსაციური აღმოჩენა

# ქვეყანა უმამაკაცოდ



მშვენიერი პუბლიკაციების ავტორი იყო, კარგი ჟურნალისტი. მოსკოვის უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტი მოგვიანებით დაამთავრა დაუსწრებლად, როცა უკვე ჩამოყალიბებული ჟურნალისტი იყო.

როცა დიპლომის აღების შემდეგ მოსკოვიდან სოხუმში ბრუნდებოდა, რაღაც მიზეზის გამო, მგონი ფეხბურთზე დასასწრებად, თვითმფრინავის ბილეთი უკან დაუბრუნებია და მეორე დღისათვის გადაუდევს გამომგზავრება. თურმე, ის თვითმფრინავი, რომელსაც პირველად უნდა გამოჰყოლოდა, დაიღუპა.

– აბა შენ რაღა მოგკლავს, ასი წელი იცოცხლებ-მეთქი, – ვეხუმრებოდი.

და აი, ჩემმა სტუმარმა აფხაზეთიდან სამწუხარო ამბავი მომიტანა: პავლე ჯაფარიძე გარდაიცვალაო. ორი-სამი თვის წინ მომხდარა. ბოლოს ცოტა ავადმყოფობდაო, – ისიც დასძინა, გაზეთმა „აფხაზეთის ხმამ" ნეკროლოგი დაბეჭდა, მაგრამ სურათი ვერ უშოვიათო. გული ჩამწყდა, „აფხაზეთის ხმაც" აქვე, ჩემს რედაქციასთან არის განთავსებული და პავლეს სურათიც, თუმცა ძველი, ჩვენი პრაქტიკისდროინდელი, უამრავი მქონდა შინ.

ახალგაზრდა ქალბატონმა ეს სურათი გადმომცა, რომელიც 1959 წელს არის გადაღებული სოხუმში, ერთ-ერთი ექსკურსიის დროს. აქ ჩვენი ჯგუფი და „საბჭოთა აფხაზეთის" რედაქციის თანამშრომლები ვართ აღბეჭდილი. (პავლე ჯაფარიძე პირველ რიგში დგას მარცხნივ). რედაქციის თანამშრომლების უმრავლესობა ცოცხალი აღარ არის. ზეციურ საქართველოშია აგრეთვე ჩვენი პრაქტიკის ხელმძღვანელი და საყვარელი ლექტორი ტარიელ კვანჭილაშვილი და ჩვენი ჯგუფელი ორი მშვენიერი ვაჟკაცი – ოთარ ლორთქიფანიძე და ჯუმბერ ბაქრაძე.

ოთარი (სურათზე კუბოკრულ საყელოხახსნილი პერანგით) ჩვენი კურსის მშვენება იყო. რეპრესირებული მსახიობის ელგუჯა ლორთქიფანიძის ერთადერთ შვილს მამის გამო შუა აზიაში მოუწია გადასახლებამ და ჩვენთან რომ შემოვიდა უნივერსიტეტში, იქიდან ახალი დაბრუნებული იყო. სადაც უნდა გაეელო მაღალსა და მხრებში გაშლილს, ყველას ყურადღებას იქცევდა. ერთხელ უზბეკეთში მოგვიწია ერთად გამგზავრებამ ჟურნალისტთა სემინარზე. არ დარჩენილა მდედრობითი სქესის არც ერთი მონაწილე, ოთარისაკენ რომ არ გაქცეოდა ხარბი მზერა. ვეხუმრებოდი; ბიჭო, შენ აქ ერთი მცველი რას გეყოფა, მთელი რუსეთი და შუა აზია შენ გესევა-მეთქი.

ალბათ, ბევრი ჰქონდა განცდილი, ძალიან ახალგაზრდას უმტყუნა გულმა.

აი, ასეთი ნაღვლიანი მოგონებები ამიშალა აფხაზეთიდან ჩამოსული სტუმრის მიერ მოტანილმა სურათმა, რომელსაც აქვე გთავაზობთ. ჩემი ეს ცრემლიც მინდა დაეცეს ჩვენგან თავის დროზე ვერდატირებულ ძვირფას კოლეგებს აფხაზეთიდან.

ღმერთო, რა უიღბლო იყო მაშინ ჩვენი აფხაზეთის უძირო ცა. რა ბედნიერები ვიყავით ყველანი!..

**ნარგიზა მგელაძე**

წელს ავსტრალიელმა და ამერიკელმა მეცნიერებმა მსოფლიო შეაშფოთეს: ადამიანის მოდგმა მამაკაცების მონაწილეობის გარეშეც შეიძლება გაგრძელდეს. მათ მსოფლიოს ერთდროულად გააცნეს თავიანთი წარმატებული ლაბორატორიული ექსპერიმენტები.

მელბურნის მონაშის უნივერსიტეტში კვერცხუჯრედის გასანაყოფიერებლად მამაკაცის სპერმის მაგიერ სომატური (ჩვეულებრივი და არა სასქესო) უჯრედი გამოიყენეს. იმ მომენტისათვის, როცა მეცნიერებმა თაგვებზე ჩატარებული ცდების შედეგები გაამჟღავნეს, სინჯარაში მიღებული ემბრიონები დედის საშოში გადაყვანამდე რამდენიმე დღის განმავლობაში ნორმალურად ვითარდებოდნენ. ვინაიდან ისინი მსოფლიოსათვის დღემდე უცნობი გზით გაჩნდნენ, ექსპერიმენტატორებს მთელი რიგი ახსნა-განმარტებები დასჭირდათ. გამოირკვა, რომ კვერცხუჯრედში მათ ზრდასრული სომატური უჯრედის ბირთვი (გული) მოათავსეს. ეს არც ისე ადვილია. მთავარი დაბრკოლება ისაა, რომ ადამიანის სომატური უჯრედი ქრომოსომების ორ ნაკრებს შეიცავს. მამაკაცის სასქესო სპერმატოზოიდი კი – ერთს. სქესობრივი განაყოფიერებისას მდედრობითი და მამრობითი ქრომოსომების თითო ნაკრები ერთდება და ემბრიონი ამ გზით თავისთვის აუცილებელ ორ ნაკრებს იღებს. ექსპერიმენტის შემთხვევაში კი საჭირო შეიქნა სპერმატოზოიდის როლის შემსრულებელი სომატური უჯრედის გათავისუფლება ერთი ზედმეტი ქრომოსომის ნაკრებისაგან. სწორედ ამ გზით მოხდა ქრომოსომების ერთი ზედმეტი ნაკრების გამოდევნა. ახალი წესით განაყოფიერების შემდეგ ავსტრალიელმა მეცნიერებმა მიიღეს გარეგნულად ნორმალური ემბრიონი მისთვის აუცილებელი ორი მემკვიდრეობითი ნაკრებით.

ავსტრალიელთა პარალელურად თაგვების არატრადიციულ გამრავლებაზე ამერიკელ მეცნიერთა ჯგუფიც მუშაობდა. თავიანთი ცდების შესახებ ნიუ-იორკის კორნელის უნივერსიტეტის მეცნიერებმა ერთი თაგვის კვერცხუჯრედში მეორე თაგვის სომატური უჯრედის ბირთვი მოათავსეს. ექსპერიმენტისას მათ ტრადიციული ხერხიც – სპერმატოზოიდით განაყოფიერებაც მოახდინეს. ავსტრალიელების მსგავსად სომატური უჯრედის ბირთვი ამერიკელებმაც ზედმეტი ქრომოსომების ნაკრებისაგან ქიმიური თუ ელექტრონული გზით გაათავისუფლეს. შედეგად მიიღეს ჯანმრთელი ემბრიონი, რომელმაც ლაბორატორიულ პირობებში რამდენიმე დღე იცოცხლა.

მეცნიერები აღნიშნავდნენ, რომ თავიანთი გამოკვლევებისას მოქმედებდნენ ჰუმანური მიზნებით. ავსტრალიელებს სურდათ ეშველათ იმ მამაკაცებისათვის, რომლებსაც არ ელირსებოდათ მამობა რაიმე ტრავმის, ავტოკატასტროფის ან ქიმიური თერაპიის გამოყენების გამო. არადა, სურდათ საკუთარი შვილები. ამერიკელებიც ზრუნავდნენ ადამიანებზე, კერძოდ იმ ქალებზე, რომლებსაც არ სურდათ გათხოვება ანდა მამაკაცებთან სქესობრივი ურთიერთობა და ნატრობდნენ დედობას.

მოკლედ, მეცნიერებმა კაცობრიობის მომავალზე იზრუნეს, მაგრამ მოხდა პარადოქსი: მესამე ათასწლეულის პირველ წელიწადს არცერთ მეცნიერულ აღმოჩენას არ გამოუწვევია ისეთი შეშფოთება და უნდობლობა, როგორც განაყოფიერების ახალმა წესმა მოახდინა. „როგორ, ბავშვები უმამაკაცოდ ჩაისახონ?", „მეცნიერები სპერმას საჭიროდ არ მიიჩნევენ" – ამ სათაურებით გამოვიდა ინგლისური გაზეთები „ტაიმსი" და „დეილი ტელეგრაფი".

დასავლეთი ზაფხულის მერე შეშფოთდა: თუ სიცოცხლე ხელოვნური განაყოფიერებით, მამაკაცის სპერმის გარეშე ჩაისახა, მაშინ მეცნიერები თაგვებზე განხორციელებულ ცდებს ადამიანებზე გადაიტანენ, მაშინ ... თუ ქალს არ ენდომება მამაკაცთან ურთიერთობა, ან ვერ შეხვდება თავის შესაფერ კაცს, შეიძლება რომელიმე ქალის სომატური უჯრედის ბირთვის გამოყენებით იყოლიოს შვილი (ამ შემთხვევაში ჩაისახება გოგო). ამან კი შეიძლება ერთი სქესის ადამიანთა სიყვარული წაახალისოს. არ არის გამორიცხული, რომ ჰომოსექსუალებმაც გამოიყენონ ეს ხერხი და იყოლიონ შვილი იმ განსხვავებით, რომ „დონორი" ანუ მშობიარე დასჭირდებათ.

რას მოუტანს ეს აღმოჩენა კაცობრიობას? საკითხავი ეს არის.

„მოსკოვსკიე ნოვოსტი"

*იბეჭდება შემოკლებით*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „ვიყო კუზიანი და მყავდეს კარგი მოდელიერი“



ეს სხარტი გამონათქვამი სილამაზის დიდ დამფასებელს, გონებამახვილ ფრანგს ეკუთვნის. მართალია, თვითნასწავლი მოდელიერი ქ-ნი მარიკა იაშვილი ფრანგი არ გახლავთ, მაგრამ ამ ფრაზას სულითა და გულით ეთანხმება და მთელი ცხოვრებაც მშვენიერების სამსახურში განვლო.

უფროს თაობას კარგად ახსოვს, 30-იან წლებში ესპანეთში მიმდინარე სამოქალაქო ომს რამდენი ოჯახი გამოერიდა და საბჭოეთს შეაფარა თავი. ქ-ნი მარიკას მშობლებიც (მამა – მფრინავი გამომცდელი გვარად სარასატი, მადრიდიდან გახლდათ) თბილისში დასახლდნენ და მალე ქართულ მიწაზე შავთვალა ესპანელი გოგონა იშვა. სამწუხაროდ, პატარა მარიკა მალე დაობლდა (დედა 9 თვისას გარდაეცვალა) და მიუხედავად იმისა, რომ მამა იძულებული გახდა ოჯახში დედინაცვალი შემოეყვანა, გოგონას აღზრდა მეზობლის ქალმა ითავა, რომელიც მოახლედ დაუდგა ოჯახს და ომში დაღუპული ერთადერთი ვაჟის სიყვარული ობოლზე გადმოიტანა. მარიკა თავიდანვე კარგად ხატავდა. იმდენად კარგად, რომ უფროსებისაგან სხვა რამ საქმიანობა აკრძალული ჰქონდა. მას კი თავში სულ სხვა აზრები უტრიალებდა და ქვეყნად ყველაზე მეტად კერვა იტაცებდა. სულ ერთი ციცქნა იყო, როცა საკუთარი ხელით შექმნილ თოჯინებს თავისივე ფანტაზიით შეკერილ სამოსელში აწყობდა, ხოლო თუ უფროსებს შინიდან გაიტყუებდა, ტაბურეტს „ზინგერის“ საკერავ მანქანასთან მიიდგამდა და ისე, რომ თითებსაც ძლივს აწვდენდა, საოცარ გვირისტს ავლებდა.

რვა წლისამ (!) მეზობლის პატარძალს შეუკერა საქორწინო კაბა. ახლაც ღიმილით იხსენებს ბექტაშვილების გაჭირვებულ ოჯახს, რომლებმაც მდიდარი სომხის ქალიშვილი მოიყვანეს რძლად. საპატარძლოს მამა გაჭირვეულებულა თურმე, ამდენი მზითევი მომიტანია და თუ ჩემს ქალს ერთ ხეირიან კაბას მაინც არ ჩააცვამენ, უკან მიმყავს და მზითევიც მიმაქვსო. შეწუხებულან სიძისანები, დატრიალებულან, შიფონის საკაბეც უშოვნიათ, მაგრამ არც ერთ მკერავს ხელი არ მოუკიდებია „შარიანი“ ქსოვილისთვის. ატირებული პატარძალი მარიკას ჩავარდნია მუხლებში, მიშველე რამე, თორემ წამიყვანენო. გოგონას მამისთვის გადაუხედავს. ჯანდაბას შენი თავი, ნუ წახვალ სკოლაში, შეკერე კაბაო, უთქვამს მამასაც. სიმაღლეში ვერ სწვდებოდა და ტაბურეტი მიუდგამს მარიკას, ოთახის შუაგულში დაუყენებია პატარძალი, სანტიმეტრის ხმარებაც არ იცოდა ხეირიანად, პაწია მტკაველებით ზომავდა ქსოვილს, მაგრამ ისეთი კაბა გამოსულა, მთელი უბანი მოდიოდა სანახავად.

მეშვიდე კლასში მასწავლებელს დაძენძილი კაბის სანაცვლოდ ახლის შეკერვა შესთავაზა, ქსოვილიც თავად მოუტანა სახლიდან (ბევრი გვაქვსო) და მეორე დილას კლასში ადრე მისულმა უკვე ტანზე მოარგო (ჩანთით წიგნების ნაცვლად მაკრატელი, სანტიმეტრი და ძაფები დაჰქონდა ხოლმე). ეს ვინ ყოფილაო, იხუვლეს მასწავლებლებმა და... იმ დღიდან სკოლის მკერავად იქცა. რა ენაღვლებოდა რა, ხუთები გარანტირებული ჰქონდა, თუმცა კაცმა რომ თქვას, შეღავათები დიდად არ სჭირდებოდა, ისედაც კარგად სწავლობდა.

მერე იყო და, თანასკოლელი გოგონა ისეთ კაბაში გამოაწყო, რომ გახარებული ფრენა-ფრენით მივიდა სახლში, მეზობლებში მოიწონა თავი და ახლა იქ ატყდა ერთი ამბავი... მეორე დღესვე მოუყვანა იმ თანასკოლელმა მეზობელი დეიდა მაკრინე, გეხვეწები, ამასაც შეუკერე კაბაო... მეზობელს სარძლოდ მოეწონა ხელმარჯვე გოგონა და მოზომავზე 19 წლის ვაჟი გამოიყოლა. ახალგაზრდებს თვალში მოუვიდათ ერთმანეთი და... ასე გაათხოვა კაბამ 16 წლის მარიკა სარასატი.

მას შემდეგ ქ-ნი მარიკა იაშვილის სახელი (იაშვილი მეუღლის გვარია, ორი ქალიშვილი მზია და მეგი ჰყავს) მთელ თბილისს მოედო და არ დარჩენილა ჩვენი ქალაქის მეტ-ნაკლებად ცნობილი ქალბატონი, მის ოქროს ხელებს რომ არ გაემშვენიერებინა. ყოველთვის საკუთარი დიზაინით ქმნიდა მოდელებს, არასოდეს უსარგებლია ჟურნალებით და დღესაც ყველაფერს ინდივიდის ხასიათის, მონაცემების გათვალისწინებით ქმნის, ცდილობს არ დაუკარგოს პაწია ღირსებაც კი და საუკეთესო წინ წამოსწიოს. ახლაც შენახული აქვს 20-25 წლის წინანდელი კაბები, რომელთა დეტალები და აქსესუარები დღესაც ნოვატორული და აქტუალურია.

ამჟამად ხელმარჯვე ქალბატონი არსად არ მუშაობს, ოთხი მოსწავლე გოგონა ჰყავს შინ (ნინო მუზაევა, ანა გოგნიაშვილი, ნინო მოლაშვილი, ნუციკო ესებუა. საერთოდ, მისი მოწაფეთა რიცხვი 200 აჭარბებს) და მათ მარტო მოდელირებას კი არა, ყველაფერს ასწავლის, რაც პროფესიონალ დიზაინერსა და უბრალოდ კარგ მეოჯახე ქალს სჭირდება (ყველაფერში: ჭრაკერვა, ქარგვა, ქსოვა, მაკრამე, კოლაჟები, რბილი სათამაშოების, ფეხსაცმელების, აქსესუარების დამზადება, პოდიუმზე სიარული, (ცეკვა, აერობიკა და... კულინარია იგულისხმება). ერთ დროს ცეკვასაც ასწავლიდა სკოლის მოსწავლეებს, ბავშვთა ანსამბლი „ცეროდენა“ ჰყავდა, თავადვე უკერავდა კოსტიუმებს და მისი მოსწავლეებიც ყველა ოლიმპიადა-სპარტაკიადის გამარჯვებულები იყვნენ.

მერე ისევ კერვის სიყვარულმა სძლია და... მეუღლის გარდაცვალების შემდეგ შინ დაჯდა, თუმც ერთი წუთითაც ვერ ძლებს უქმად, ცდილობს მოსწავლეებს გადასცეს წლობით დაგროვებული ცოდნა, რადგან მიაჩნია, რომ ხელოვანი ადამიანი ყოველთვის სუფთა და ახალგაზრდაა.

თანამედროვე ქართველ დიზაინერებს დიდად არ სწყალობს, რადგან მიაჩნია, რომ ახალს არაფერს ქმნიან და ჟურნალიდან აღებულ მოდელებს იმეორებენ მხოლოდ. სამაგიეროდ, დიდ პატივს სცემს მაღალი მოდის გრანდებს: ივ სენ-ლორანს, უნგაროს, ლაგრანს, ჯანი და დონატელა ვერსაჩეებს, მოსწონს კასილიევი და ბონდარენკო.

სამწუხაროდ, გასაგებ მიზეზთა გამო, უცხოეთში თავის გამოჩენის საშუალება არ მისცემია, თორემ ღრმად გვწამს, შეუმჩნეველი არ დარჩებოდათ იქაურ მეტრებს. ახლა თავისი არაჩვეულებრივად ნიჭიერი გოგონები ეიმედება ძალიან, ჰოდა, იმედი ნუ მოგიშალოთ ღმერთმა, ქალბატონო მარიკა!

მანანა იმესაშვილი

## ქორწილ-ქორწილ ამბები

ნერონს ჰყავდა ულამაზესი ცოლი პოპეა, რომელიც ყოველდღე უამრავ ნელსაცხებელსა და ფერუმარილს ხმარობდა. ქალბატონს განსაკუთრებით ვირის რძეში ბანაობა მოსწონდა და თუ მეუღლესთან ერთად სადმე მიემგზავრებოდა, მოსამსახურეებს თან ასობით ვირი მიჰყავდათ, მისი ჟინი რომ დაეკმაყოფილებინათ.

***

კოლუმბიის (მილბანდ-ზუნდის) მცხოვრებნი ქორწილს შუა ზღვაში ნავებში იხდიდნენ, რადგან სწამდათ, რომ ხმელეთზე ტყის დემონებს ვერსად დაემალებოდნენ და ნეფე-პატარძალი უშვილოდ დარჩებოდა.

***

გასულ საუკუნეში აშშ-ში გავრცელდა ქორწინების ცერემონიალის თეატრის სცენაზე ჩატარების ტრადიცია. შემოსავლის ნაწილი (თეატრს საკმაოდ ბევრი მაყურებელი ჰყავდა) მექორწინეებს, ნაწილი კი თეატრსა და ქორწილის ორგანიზატორებს რჩებოდათ. 1898 წელს ნიუ-იორკის ოპერის თეატრში 124 წლის ვინმე გირამ ლესტერმა 81 წლის მარიამ მორსლეიზე იქორწინა.

***

ძველად კუნძულ მადაგასკარზე ქალი უმდაბლეს არსებად ითვლებოდა, ასრულებდა ქმრის ყველა მოთხოვნას და არ შეეძლო მასთან ერთად სადილობა, ხოლო მეუღლის გარდაცვალების შემთხვევაში, ნათესავები თმებს უწეწავდნენ და ტანსაცმელს ახევდნენ. გლოვა მთელ წელს გრძელდებოდა.

სამაგიეროდ, აფრიკის სხვადასხვა ხალხებში ქალს ოჯახში მთავარი ადგილი ეკავა. იგი თავისუფალი იყო და შეეძლო ქმარს საკუთარი სურვილისამებრ გაყროდა. ჰქონდა ქმრის ცემისა და სახლიდან გაგდების უფლებაც.

კორეაში კი მზის ჩასვლის შემდეგ მხოლოდ ღედაკაცს შეეძლო ქუჩაში გამოსვლა. კაცები ამ დროს შინ იხდნენ და თუ რომელიმე მათგანი ამ წესს დაარღვევდა, მას ამათრახებდნენ ან ციხეში სვამდნენ.

*მოამზადა* გ. გასიტაშვილმა

ქორწილ-ქორწილ ამბები

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სინდისის ოთხი ხმა

მღვდელმონაზონი სერაფიმე (13.08.34 – 2.09.82) ერისკაცობაში ევგენი დენის როუზი „ასპროცენტიანი“ ჩვეულებრივი ამერიკელი, გაიზარდა სამხრეთ კალიფორნიაში, ჰოლივუდისა და დისნეილენდისაგან შორიახლოს. ოჯახში, სადაც მართლმადიდებლობაზე სიტყვაც არ სმენოდათ. დედა მხოლოდ ცხოვრებაში წარმატებას უსურვებდა თავის შვილს, მამა – ბედნიერებას. ის კი გახდა მღვდელმონაზონი. უდაბნოსმოყვარე ბერი, მოღვაწეობდა პალესტინაში, ჩრდილოეთ კალიფორნიის მთებში, სადაც მამა გერმანე პოდმოშენსკისთან ერთად დააარსა ღირსი გერმანე ალიასკელის ძმობა. მთელი თავისი მრავალმხრივი მოღვაწეობა მამა სერაფიმემ შესწირა ღვთისა და მოყვასის სამსახურს, რათა რაც შეიძლება მეტ ადამიანამდე მიეტანა მართლმადიდებლური სიტყვა და მათში ჭეშმარიტების სიყვარული გაეღვივებინა.

1974 წელს გამოვიდა სოლჟენიცინის წიგნი „არქიპელაგი გულაგი“. მამა სერაფიმემ უდიდესი ყურადღებით წაიკითხა ყველა ტომი და რომანის გრძელი კრიტიკული განხილვებიც გამოაქვეყნა. სულიერი თვალსაზრისით, ალბათ, არც არავის განუხილავს „არქიპელაგი“ ასე ღრმად. აი, რას წერდა მამა სერაფიმე: „არქიპელაგი გულაგი“ პოლიტიკური მხილება როდია. იმ საზარელ ამბებში, რომანში რომაა აღწერილი, კომუნიზმი წარმოდგება როგორც ბოროტების კერძო შემთხვევა. თითოეული ამ ურჩხულთაგანი (წიგნის „გმირები“) ბარბაროსულ დანაშაულს სჩადის არა იმიტომ, რომ იგი კომუნისტია, არამედ იმიტომ, რომ იგი კომუნიზმთან შედარებით კიდევ უფრო ღრმა და მომაკვდინებელი იდეოლოგიის მსხვერპლია. ამ ჯალათთა შორის ცოტას თუ ესმის ამ იდეოლოგიის ნამდვილი აზრი, რადგან მისი „ლოგიკა“ ძნელი გასააზრებელია. ამ ვირუსმა მოუწამლა „განათლებული XX საუკუნის შვილთ“ სისხლი და ხორცი. კომუნიზმი მხოლოდ ერთი იმ სისტემათაგანია, ეს იდეოლოგია ყველაზე სრულად რომ განახორციელა ცხოვრებაში“.

„ეს იდეოლოგია, – ხაზგასმით აღნიშნავდა მამა სერაფიმე როუზი, – სხვა არა არის რა, თუ არა ნიჰილიზმი, რომლის „ზეიმსაც“ წინასწარმეტყველებდა ნიცშე XX საუკუნეში. „არქიპელაგი გულაგი“ სწორედ ამ „ნიჰილიზმის ზეიმის“ ისტორიაა, „ზეიმისა“, რომლის სიმწარე თავის თავზე იწვნია ავტორმა...

სოლჟენიცინმა მართლაც პირდაპირ „XX საუკუნის ისტორია“ დაწერა. ისტორია ხომ პოლიტიკასა და ეკონომიკაში მომხდარი მოვლენების ჩამოთვლა არ არის; ეს, უპირველეს ყოვლისა, ადამიანთა სულებში მომხდარი ცვლილებებია (სიკეთისა თუ ბოროტებისაკენ), რადგან მხოლოდ ამის შემდეგ ვლინდება ეს ცვლილებები გარე სამყაროში. XIX ს-ში არსებობდა ორი „ისტორიული ტენდენცია“: მსოფლიო რევოლუციის ფართო იერიში (ანუ ურწმუნოების იერიში) და მისი თავიდან აცილების მცდელობა. XX ს-ში კი მხოლოდ ერთი, ერთადერთი ტენდენცია სჭარბობს: რევოლუციური ათეიზმის (უფრო ზუსტად, სოციალისტ პრუდონის ტერმინს თუ ვიხმართ, ანტითეიზმის, ე. ი. ღმერთმებრძოლეობის) განვითარება და ხელისუფლებაში მოსვლა. ყოველივე ამას წინააღმდეგობას უწევს ისევ ბოროტების ძალები, ოღონდაც სახეშეცვლილი: ჰიტლერი, მხოლოდ ამპარტავნება და შური რომ ამოძრავებდა, ან ანტანტა, თვალთმაქცურად რომ იბრძოდა მართალი საქმისათვის და გადამწყვეტ წუთებში კი უღალატა მას... თუმცა თვით ამგვარი წინააღმდეგობის გაწევაც კი მხოლოდ ეპიზოდური ხასიათისაა.

აფასებდა რა სოლჟენიცინის ღირსებებს, მამა სერაფიმე შენიშნავდა: „სოლჟენიცინი მნიშვნელოვანია ჩვენთვის როგორც მორალური ძალა. უშიშრად რომ უწევს წინააღმდეგობას ტირანიას და მოუწოდებს, ბოლოს და ბოლოს შეწყდეს ტყუილების თქმა, სიცრუე... ეს კარგია, მაგრამ საკმარისი როდია, ცხადია. მას არ ჰყოფნის ეკლესიური ცნობიერების სიღრმე. მას სურს გააერთიანოს რუსები, მაგრამ როგორც ჩანს, ვერ ხედავს, რომ ასეთ კავშირს წინ უნდა უძღოდეს ჭეშმარიტება. არ ეთანხმება რა სიცრუით ცხოვრებას, მას წარმოდგენაც კი არა აქვს იმაზე, თუ რა საშიშია, მაგალითად, შმენისა და მაიენდორფის სიცრუე, და საერთოდ, ყალბი მართლმადიდებლობა“.

***

იმავდროულად, როცა დასავლეთში მთელი ძალით გაისმა დიდი რუსი მწერლის მამაცი ხმა, თავისუფალმა სამყარომ რუსეთის დამონებული ხალხის „სინდისის სხვა ხმაც“ გაიგონა. ეს 21 წლის სერგეი კურდიაკოვი იყო. 1973 წელს გამოვიდა მისი წიგნი „მდევნელი“. იმავე წელს იგი დაიღუპა კიდეც იდუმალებით მოცულ ვითარებაში. ალბათ, სხვებზე მეტად ამაში სუკ-ის ხელი ერია.

სერგეი კურდიაკოვი რუსეთში გაიზარდა. ირწმუნა ცრუ კომუნისტური ლოზუნგები, კომკავშირში კარგი სახელი ჰქონდა და სპეციალური ჯგუფის მეთაურად დანიშნეს, რომელსაც მორწმუნეთა იატაკქვეშა შეკრებების დარბევა ევალებოდა: მათ ცემით სიკვდილის პირამდე მიჰყავდათ ქრისტიანები და სასულიერო ლიტერატურას ართმევდნენ.

ერთხელ, ხელით გადაწერილი სახარების რამდენიმე გვერდი წაიკითხა და იგრძნო, რომ მის სულში რაღაც შეიძრა. უკანასკნელი დარბევისას იგი მოხუც ქალს დაესხა თავს და გაიგონა, თუ როგორ ლოცულობდა ეს ქალი მასზე. ამან კიდევ უფრო გააბოროტა: ხელკეტი მოიმარჯვა მოხუცისათვის რომ ჩაეცხო და ადგილზე გაეთავებინა, მაგრამ უეცრად იგრძნო, რაღაც ძალა მის ხელს აკავებდა. წამიც და შეძრწუნებული სერგეი ცრემლებით ერთიანად დასველებული სახით, უკანმოუხედავად გარბოდა... მალე მან გადაწყვიტა თავი დაეღწია ამ კოშმარული სინამდვილისაგან და მიეცა კიდეც ამის საშუალება: კანადაში გაიქცა. თან მხოლოდ ხატი – მომაკვდავი დედის ლოცვა-კურთხევა წაიღო.

სერგეი კურდიაკოვისადმი მიძღვნილ სტატიაში მამა სერაფიმე წერდა, რომ ამერიკელები სამწუხაროდ, არ არიან მზად ასეთი ღრმა სულიერი ისტორიის აღსაქმელად. „თუ ყურადღებით მოვისმენთ სერგეის საუბრების ჩანაწერს კასეტებზე (ახლა ისინი უდიდესი რაოდენობითაა გამოშვებული), მის მგზნებარე მონოლოგებში სასოწარკვეთილების ნოტებსაც აღმოვაჩენთ! დიახ, მას აღფრთოვანებითა და ოვაციებით ხვდებიან, თითქოს-და ესმით კიდეც მისი, მაგრამ... გარეგნული კეთილგანწყობისა და თანაგრძნობის მიღმა ჩანს – მას ვერ უგებენ და ვერც გაუგებენ. ამას თვითონაც მშვენივრად გრძნობს.

ქვის გული მქონდა, დიდი უგრძნობი ქვა. მახსოვს, ერთხელ სახეში გავარტყი კაცს – ბიბლიას კითხულობდა. „ნუ მირტყამ, არ გინდა!“ – მთხოვდა იგი. მე კი ვურტყამდი, ვიდრე ცხვირიდან სისხლი არ წასკდა. ხელები სულ სისხლში ამომესვარა. შემდეგ მე და ჩემი მეგობარი დისკოთეკაზე წავედით, თითქოს არც არაფერი მომხდარიყო. მე ხელებიც კი არ დამიბანია! მერე რა, სისხლი დიდი ამბავი! – ვფიქრობდი ჩემთვის. თან ვსვამდი, ვჭამდი (რა საშინელებაა!) სისხლისაგან განუბანელი ხელებით. მე ბავშვობიდან მინერგავდნენ მშვენიერ აზრს რომ ყველა ადამიანი თანასწორია! მე კი ადამიანის სისხლიც არ ჩამოვიბანე!“

... მაგრამ ვის შეეძლო ამ გულთბილ ამერიკაში გაეგო ადამიანის სულის, ჭეშმარიტად ტანჯული სულის ეს ძახილი?! ბევრ ამერიკელს შეუძლია წარმოიდგინოს სახელმწიფო სისტემა, რომელშიაც ახალგაზრდა კაცს სამსახურში აწინაურებენ და სხვაგვარადაც ახალისებენ იმისათვის, რომ მას ხელები მორწმუნე ქრისტიანების სისხლში აქვს დასვრილი?! ბევრი ხვდება, თუ რა ადვილია ამ გზაზე დადგეს ჩვენი საზოგადოებაც?! „თქვენ არ გესმით! ეს კი საშინელებაა! – გვაფრთხილებს სერგეი კურდიაკოვი, – ასე ჩვენ ხელიდან ვუშვებთ გადარჩენის უკანასკნელ შანსს!“

სწორედ სერგეის ცხოვრებაში ხედავდა მამა სერაფიმე მომავლის მართლმადიდებლობის იმედს, რომელშიაც, ღვთის ნებით, მართლმადიდებლობისადმი სიყვარულით ანთებული გული ბევრს ექნებოდა. „ისინი გამოვლენ კატაკომბებიდან და ჭეშმარიტი აღმსარებლობითა და წარმოუდგენელი ტანჯვით გამოწრთობილნი, იქნებიან სულიერად ბევრად უფრო ძლიერნი, ვიდრე საზღვარგარეთის სულიერად დაკნინებული მართლმადიდებლები. იმ საზღვარგარეთისა, სადაც მარტო რუსები როდი იყენებენ ასე ფუჭად მათთვის ბოძებულ თავისუფლებას!“

*მასალა თარგმნა და მოამზადა*
ვახტანგ ახალაძემ
**მღვდელმონაზონ დამასკინის (ქრისტენსენის) წიგნის „არა ამა სოფლისაგანის“ მიხედვით**

## ტორტი ყავის კრემით

***მასალად საჭიროა:***

***ცომისათვის:*** 200 გრამი ფქვილი, მწიკვი მარილი, 1 ჩაის კოვზი სოდა, 100 გრამი კარაქი ან მარგარინი, 1-2 სუფრის კოვზი წყალი.

***გულისათვის:*** 1 სუფრის კოვზი ჟელატინი, 1/2 ლიტრი მაგარი ყავა, 10 სუფრის კოვზი რძე, 3 კვერცხი, 225 გრამი შაქრის ფხვნილი.

***მომზადების წესი:*** ცომის კომპონენტები უცებ აურიეთ ერთმანეთში და 1 საათით სიცივეში დადგით. მიღებული ფხვიერი ცომი გააბრტყელეთ და ყალიბში ისე მოათავსეთ, რომ გვერდები კედლებზე ამოუყვანოთ. გამოაცხვეთ ზომიერად გახურებულ ქურაში 20-25 წთ-ის განმავლობაში, ვიდრე ღია ყავისფერი არ გახდება.

ჟელატინი 1 ჭიქა წყალში დაალბეთ, დაუმატეთ ყავა და კარგად აურიეთ, ვიდრე სულ არ გაიქნება. დაუმატეთ მოცემული შაქრის ფხვნილის ნახევარი და რძე.

კვერცხის გული მორჩენილ შაქრის ფხვნილთან ერთად ათქვიფეთ და ორთქლის აბაზანაზე შედგით, თანდათან დაუმატეთ ჟელატინი და ფრთხილად აურიეთ ისე, რომ სქელი სოუსი მიიღოთ. ცალკე ათქვიფეთ ცილა და შეგრილებულ კრემს შეურიეთ. მიღებული კრემით ამოავსეთ გამომცხვარი ცომი და ზემოდან ნაღებით ან შაქრის ფხვნილთან ათქვეფილი არაჟანით მორთეთ.

## მარწყვის ტორტი

***მასალად საჭიროა:*** 5 კვერცხის ცილა, 1 პაკეტი ვანილი, 230 გრამი შაქრის ფხვნილი, 4 ჩაის კოვზი სიმინდის ფქვილი, 300 გრამი მარწყვი, 4 სუფრის კოვზი შაქრის „პუდრა", 1 1/2 ჩაის ჭიქა ცხიმიანი ნაღები ან არაჟანი, 1 სუფრის კოვზი ვისკი.

***მომზადების წესი:*** ოთხკუთხა თუნუქის ყალიბზე პერგამენტი დააფინეთ და ზედ 24 სმ დიამეტრის წრე დაახატეთ. ღუმელი $110^{0}$C-მდე გაახურეთ. ცილა და ვანილი ქაფივით ათქვიფეთ, თანდათან დაუმატეთ შაქრის ფხვნილი და თქვეფა განაგრძეთ, ვიდრე სქელ, უძრავ ქაფს არ მიიღებთ. ზემოდან სიმინდის ფქვილი დააყარეთ და ფრთხილად აურიეთ. აავსეთ საკონდიტრო პარკი ამ მასის ნახევარით და დახატული წრე ამოავსეთ – ეს ტორტის ძირი იქნება. მეორე ნაწილით კი ძირის გარშემო პატარ-პატარა გროვები მჭიდროდ დასვით. ბეზე ღუმელში საათნახევრის მანძილზე გამოაშრეთ, რის შემდეგ კიდევ 15 წთ-ით დატოვეთ ჩამქრალ ქურაში. გადარჩეული და გარეცხილი მარწყვის ნახევარი დასრისეთ, 2 სუფრის კოვზ შაქრის ფხვნილთან ერთად ათქვიფეთ და მოათავსეთ ტორტის ძირითად ნაწილზე. ნაღები და შაქრის „პუდრა" სქელ ქაფად აქციეთ, მოასხით ვისკი და ტორტი მთლიანად დაფარეთ. ზემოდან მარწყვებით მორთეთ.

## ლიმონის ტორტი

***მასალად საჭიროა:***

***ცომისათვის:*** 300 გრამი შაქრის ფხვნილი, 7 კვერცხი, 220 გრამი ფქვილი, ½ ჩაის კოვზი სოდა, ლიმონის ცედრა, წყალი.

***კრემისათვის:*** 300 გრამი რძე, 200 გრამი შაქრის ფხვნილი, 30 გრამი ფქვილი, 150 გრამი კარაქი, ლიმონის წვენი.

***მომზადების წესი:*** შაქრის ფხვნილს იმდენი წყალი დაასხით, რომ ოდნავ დაფაროს. მოხარშეთ სქელი სიროფი. ცილა ქაფივით ათქვიფეთ და მუდმივი მორევით ზემოდან ცხელი სიროფი დაასხით. შეურიეთ ათქვეფილი კვერცხის გული. შემდეგ დაუმატეთ სოდაგარეული ფქვილი და გახეხილი ცედრა. მზა ცომი ცხიმმოსმულ და ორცხობილამოყრილ ყალიბში გადაიტანეთ და საშუალო სიმხურვალის ღუმელში გამოაცხვეთ.

შეგრილებული ბისკვიტი სამად გაჭერით და კარგად დაკრემეთ. ზემოდან ლიმონის ნაჭრებითა და ნებისმიერი ხილით მორთეთ.

***კრემი:*** ფქვილი და მოცემული შაქრის ფხვნილის ნახევარი რძეში გახსენით და ხარშეთ საშუალო სისქის ფაფის მიღებამდე. კარაქი მორჩენილ შაქართან ერთად ათქვიფეთ, დაუმატეთ რამდენიმე წვეთი ლიმონის წვენი და ცივ კრემს შეურიეთ.

## ტორტი „კიევური"

***მასალად საჭიროა:***

***ცომისათვის:*** 10 კვერცხის ცილა, 1 ჭიქა შაქრის ფხვნილი, 150 გრამი დანაყილი ნიგოზი, 50 გრამი ფქვილი, კარაქი ან მარგარინი ყალიბზე მოსასმელად.

***კრემისათვის:*** 300 გრამი შაქრის ფხვნილი, 150 გრამი შესქელებული რძე, 3 კვერცხის გული, 2 სუფრის კოვზი წყალი, 200 გრამი კარაქი ან მარგარინი.

***მომზადების წესი:*** კვერცხის ცილა შაქრის ფხვნილთან ერთად ქაფივით ათქვიფეთ, დაუმატეთ ფქვილი და ნიგოზი, ფრთხილად აურიეთ და ცხიმმოსმულ ყალიბში გადაიტანეთ. გამოაცხვეთ $200^{0}$C-მდე გახურებულ ღუმელში.

კვერცხის გული შაქრის ფხვნილთან ერთად კარგად ასრისეთ, დაუმატეთ შესქელებული რძე და წყალი, დადგით ცეცხლზე, და მორევით ადუღებამდე მიიყვანეთ. გაციებულ კრემს შეათქვიფეთ ცალკე მიქსერით კარგად ამოყვანილი კარაქი, დაუმატეთ 1 სუფრის კოვზი კონიაკი და 20 გრამი კაკაო.

შეგრილებული ბისკვიტი შუაზე გაჭერით და კარგად დაკრემეთ. მორთეთ მოხალული ნიგვზით, ცუკატებით ან ნებისმიერი კენკრით.

## შაქარლამა „პალმირა"

***მასალად საჭიროა:*** 2 ჭიქა ფქვილი, 1 ჭიქა წყალი, 300 გრამი კარაქი ან მარგარინი, 1/4 ჩაის კოვზი მარილი, 8 წვეთი ლიმონმჟავა, კარაქისათვის ცალკე 2 ჩაის კოვზი ფქვილი, 1 ჭიქა შაქრის ფხვნილი.

***მომზადების წესი:*** ზემოთ მოცემული ინგრედიენტებით (შაქრის გარდა) მოზილეთ ცომი. გააბრტყელეთ ფიცარზე 2 მმ სისქესა და 25 სმ-ის სიგანეზე. ზემოდან მოაყარეთ შაქრის ფხვნილი და შუაგულამდე რულეტივით დაახვიეთ. შემდეგ იგივე გაიმეორეთ მეორე მხრიდანაც. რულეტის ორივე მხარე (ისე, რომ არ გაჭრათ ან არ დააშოროთ) ერთმანეთზე შეაწყვეთ, ოდნავ დააწექით ზემოდან, რომ შებრტყელდეს და 1 საათით მაცივარში შედგით, რის შემდეგაც ნაჭრებად დაჭერით, ერთმანეთის მოშორებით თუნუქის ფურცელზე დააწყვეთ და 220-$230^{0}$C-მდე გახურებულ ღუმელში 15-20 წუთით შედგით.



რედაქციის მისამართი:
380096, ქ. თბილისი,
მ. კოსტავას ქ. №14.
V სართული
რედაქტორის
ტელეფონი:
99-98-71

მასალები გადაეცა ასაწყობად — 14.11.2001წ.
ჟურნალი ხელმოწერილია დასაბეჭდად 22.11.2001წ.
ჟურნალში რეკლამების განთავსების მსურველებმა
დარეკეთ შემდეგ ნომერზე 93-43-02

ეროვნული ბიბლიოთეკა

*აგერ უკვე თხუთმეტი წელია, რაც დონა კარანი ახალ კოლექციაზე მუშაობის დაწყებისას, საკუთარ თავს ერთსა და იმავე კითხვას უსვამს: „თავად მე რას ჩავიცვამდი მომავალ სეზონში?“*

# ამერიკელი დონას საიდუმლოებანი

„სამწუხაროდ, ცხოვრება არ გვაძლევს იმის საშუალებას, რომ დღეში სამჯერ გამოვიცვალოთ“, – წუხს დონა კარანი და ალბათ ამიტომაც ცდილობს, მის სამოსელში ქალი დილიდან საღამომდე, სადაც გინდა იყოს – საქმიან სადილზე თუ წვეულებაზე – კომფორტულად გრძნობდეს თავს.

დონა ირწმუნება, რომ ახალგაზრდობაში არც უფიქრია მოდელიერობაზე, თუმც მშობლებს, მართალია ირიბად, მაგრამ მაინც ჰქონდათ რაღაც კავშირი მოდასთან: მამა მამაკაცის თეთრეულის გამყიდველად მუშაობდა, დედა კი ახალი მოდების დემონსტრირებას ახდენდა „შოუ-რუმში“. თვით დონას მამინაცვალიც (მამამისი გები ფესკი მაშინ გარდაიცვალა, როცა გოგონა სამი წლის იყო) მოდის ბიზნესით იყო დაკავებული. ასე რომ, „ოჯახურმა ტრადიციამ“ არც თუ უკანასკნელი როლი ითამაშა პროფესიის არჩევაში.

თავიდან ყველაფერი ბანალურად დაიწყო: დონა და მისი მეგობარი გოგონები სკოლაში საზეიმო საღამოსთვის ემზადებოდნენ და, რადგანაც მაღაზიაში შესაფერისი ვერაფერი შეარჩიეს, დონამ საკუთარი ფანტაზიით ისე შეიმოსა თავი და მეგობრებიც, რომ მეჯლისის ნამდვილ დედოფლებად იქცნენ.

მერე პარსონის სახელგანთქმულ დიზაინის სკოლაში ჩააბარა, მეორე კურსზე დონა ფესკი პრაქტიკაზე ენ კლაინთან მიიწვიეს, სამი წლის შემდეგ კი მადამ კლაინმა თავის მემკვიდრედ აღიარა. 1974 წელს, ენის გარდაცვალების შემდეგ, ნიჭიერი მოსწავლე „Anna Klein“-ის სახლის წამყვან დიზაინერად იქცა და იმავე წელს თავის ძველ მეგობარს მრაკ კარანს გაჰყვა ცოლად. ერთი წლის შემდეგ ქვეყანას პატარა გაბი მოევლინა და ახალგაზრდა დედა დიდ პრობლემას შეეჩეხა – აბსოლუტურად არაფერი ჰქონდა ჩასაცმელი.

„ყველა ქალს ვერ ექნება მოდელის აღნაგობა“, – დაასკვნა მისის კარანმა და სულ სხვაგვარად გაიაზრა თავისი შემდგომი კოლექციები, რამაც ნიუ-იორკის ყველა ჭარბწონიანი ქალბატონის ნამდვილ კერპად აქცია.

70-იანი წლების ბოლოს დონამ იმპოზანტური ამერიკელი მხატვარი სტივენ ვაისი გაიცნო, ცოლად გაჰყვა და სულ მალე ახალი კომპანია შექმნა, რომელსაც 1985 წელს „Donna Karan New-York“ – ეწოდა, სამი წლის შემდეგ კი მოდის სამყაროში უფრო მასობრივი და ახალგაზრდული „DKNY“ გაჩნდა.

დონამ პრაქტიკულად უცებ დაიპყრო ნიუ-იორკი, ათი წლის შემდეგ კი მთელი მსოფლიოც. კონკურენტები დიდხანს ცდილობდნენ მისი თავბრუდამხვევი წარმატების მიზეზში ჩაწვდომას, არადა საიდუმლო სრულიად მარტივი გახლდათ: ჯერ ერთი, რომ დონა კარანი ისეთი ადამიანებისთვის ქმნის სამოსელს, რომლებმაც არ უწყიან, დღის განმავლობაში სად ამოჰყოფენ თავს და მეორეც, ყოველთვის ზუსტად იცის თავისი კლიენტების სურვილი.

„ეს ხომ ძალიან ადვილია“, – ამბობს მოდელიერი, – უბრალოდ, ხშირად უნდა იდგე საკუთარი მაღაზიის დახლს მიღმა და თვალს ადევნებდე, რა ხდება დარბაზში“...



ეროვნული ბიბლიოთეკა

# მარიკა თხელიძე ერთნაირი სიყვარულით მიიღეს ჰოლივუდსა და თბილისში





